

3054  
2

6862

და ამ. წიგნის პლაზის გამოცემა, № 7.

ს. რ. გორგაძე.

# საქართველოს ისტორია

მოქადაგის სისტემატიკური კურსი  
მოხსენილთათვის.

## I

შესავალი. უუძველესი ისტორია.  
ძველი ისტორია.

საისტორიო ქარტით.

მეორე გამოცემა.

კავკასიონის მდგრადი განვითარების  
სამსახურის მიერ გამოცემა.

ქუთაისი

ქ. ვ. წ.-ქ. გ. ს. ქუთ. განკ. სტამბ.

1915 წ.

თ. მთაწიშვილისა და ამბ. წიგნის მაღაზიის გამოცემა № 7.

ს. 6. გორგაძე.

# საქართველოს ისტორია

მოკლე სისტემატიური კურსი  
მოზრდილთათვის.

I

შესავალი. უუძველესი ისტორია.....

ძველი წერილება:

საისტორიო ქარტით.

მეორე გამოცემა.

ქუთაისი

ქ. შ.-კ. გ. ს. ქუთ. განყ. სტამბა

1915 წ.

## ჭ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა ო ბ ა .

წინამდებარე წიგნი ჩვენ მიერ განზრახულის სახელ-მძღვანელოს პირველი ნაწილია, რომელსაც მეორე და მესამე ნაწილი უნდა მოჰყვეს. მეორე ნაწილში მოთა-ვსებული გვექნება საქართველოს საშუალო ისტორია და მესამეში—ახალი ისტორია (შეადარეთ ამ წიგნის „შესავალი“).

ეს წიგნი პირველად „ჯეჯილში“ დაიბეჭდა (1910 წ.) და შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა, მაგრამ მალე გაიყიდა. დღეს იგი მეორეთ იბეჭდება.

ჩვენი ისტორიის „უუძველესი პერიოდის“ შესწავ-ლის დროს ვხელვმძღვანელობდით, უმთავრესად, ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორიით“, გუგო ვინკლერის თხზულებით: „დასავლეთის აზია ძველ დროში“ და კარლ ნიბურის „ეგვიპტით“ (ორი უკა-ნასკელი თხზულება იხ. გელმოლტის კრებულში: „ისტორია კაცობრიობისა“, ტ. III, პეტერბურგი, 1904 წ.). ხოლო „ძველი ისტორია“ შედგენილი გვაქვს, უმთავრესად, ჩვენი თხზულების მიხედვით: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, რომლის პირ-ველი ნაწილი დაიბეჭდა უურნალ „მოამბეში“ (1905 წ. № № 9, 10, 11—12), ხოლო მეორე ნაწილი „ძველ საქართველოში“, ტ. I და II.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ამ წიგნში მიღებულის მეფეთა სიისა და ქრონოლოგიის შესახებ. როგორც მკითხველი შეამჩნევს, ეს სია და, განსაკუთრებით, ქრონოლოგია დიდად განსხვავდება დღემდე მიღებულის ქრონოლოგიისა და სიისაგან. ამ განსხვავების საბუთები მკითხველს შეუძლია პპოვოს ზემოაღნიშნულს ჩვენს

შრომაში: „წერილები საქართველოს ისტორიიდან“.

ტფილისი.

ს. გორგაძე.

# შ ე ს ა ვ ა ლ ი.

## I

### ტინასფარი ცხობები

**1. ქართული ენა.** დრო იყო, ადამიანები ერთ ენას ლაპარაკობდენ; მაგრამ, როცა გამრავლდენ და ერთმანეთს დაშორდენ, ენაც თან და თან შეეცვალათ: ერთის ნაცვლათ მრავალი ენა წარმოდგა. ამ ენებს დღეს მეცნიერები რამდენსამე ოჯახად ჰყოფენ, მათ შორის ჩვენთვის უფრო საგულისხმო შემდეგი სამი ოჯახია: სემური, იაფეტური და ინდო-ევროპული ანუ არიული. ყოველ ოჯახს თავ-თავისი შტოები და კილოკავები აქვს. მაგალითად, **სემურ ოჯახს** შემდეგი ენები შეადგენდა: ებრაული, ასურული, ბაბილონური, არამეული, არაბული და სხვანი; არიულს ანუ **ინდო-ევროპულს:** ბერძნული, სლოვენური, რომანული, გერმანული, ირანული (სპარსული, მიდიური), სომხური და სხვანი. **იაფეტურ ოჯახს** თავდაპირველად შემდეგი ენები ჰქონდა: ედამური, უუძველესი ადგილობრივი «სომხური», აფხაზური, ქართული, ჭან-შეგრული და სვანური; დღეს კი ამათგან ელამური და უძველესი „სომხური“ აღარ არსებობს: პირველი მკვდარია და მარტო წარწერებში ამოიკითხება, მეორე კი — შემოტანილს არიულ-სომხურს შერევია და მასთან ერთად შეუქმნია დღევანდელი სომხური; სვანურ შტოს მარტო ერთი ენა შერჩენია — სვანური; ჭან-შეგრულს ორი: მეგრული და ჭანური ანუ ლაზური; ძველი აფხაზურიც შეცვლილა და მისგან წარმომდგარა ახლანდელი აფხაზური; ხოლო საკუთრივ ქართული შტო მრავალ კილოკავად დაყოფილა და სივრცითაც ყველაზე მეტი ადგილი დაუჭირია. ქართულის კილოკავებია: იმერული, გურული, მესხური,

ქართლ-კახური, ინგილოური და ფშავ-ხევსურული. იაფეტური ოჯახის ენათა შორის მწერლობა დღეს მარტო ქართულ ენაზე მოიპოვება; სვანურათ და მეგრულად მოლაპარაკე ტომებიც ქართულ ენას სთვლიან თავის სამწერლო და საეკლესიო ენად; და, რადგან ამასთანავე ჩამომავლობაც ქართველებთან ერთი აქვთ, ამიტომ თავის თავს იგინიც ქართველებს უწოდებენ. ამგვარად, ქართული ენა დღეს იაფეტელთა უმეტესობის ეროვნული ენაა; ეს ენა აერთებს ქართული მოდგმის ყველა ტომს და ჰქონის მათგან ერთს ერს, რომელსაც დღეს ქართველი ერი ეწოდება.

2. **ქართველები.** ზემო-ნათევემის მიხედვით, დღევანდელ ქართველობას შემდეგი ტომები შეადგენენ: სვანები, მეგრელები, ჭანები ანუ ლაზები, გურულები, იმერლები, მესხები, ქართლელები, კახელები, ფშავ-ხევსურები, თუშები და ინგილონი. გარეგნობით ყველა იგინი ეგრეთ წოდებულს „კავკასიურ მოდგმას“ ეკუთვნიან. მათი საერთო რიცხვი დღეს ორ მილიონს არ აღემატება. ძველათ კი ქართველები რიცხვითაც მეტნი ყოფილან და ბევრ ტომადაც დანაწილებულნი. თავის პირვანდელ სამშობლოში მათ ქართები რქმევიათ; შემდეგ, როცა იქიდან გამოსულან, თან თა თან წვრილ-წვრილ ტომებად დაყოფილან. ამ ტომებს შეზობელი ერები, სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა სახელს ეძახდენ, რაზედაც ქვემოთ, თავის ალაგას, გვექნება საუბარი.

3. **საქართველო.** სიტყვა „საქართველო“ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა და იხმარება: ზოგჯერ იგი აღნიშნავდა იმ მიწაწყალს. სადაც უმთავრესათ ქართველები ცხოვრობდენ; ზოგჯერ კი ყველა იმ აღვილებსაც, რომელნიც ქართველებს ჰქონდათ დამორჩილებული. სხვანაირათ რომ ვთქვათ, საქართველო ქართველების სამკვიდრებელს ან მათს სამფლობელოს ეწოდებოდა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქართველების

ბინადრობა, სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეიცვალა, სანამ ქართველები დღევანდელ სამშობლოში (ამიერ კავკასიაში) დაემკვიდრებოდენ. ამიტომ სიტყვა „სა-ქართველო“ სხვა და სხვა დროსთვის სხვა და სხვა აღი-ლის აღსანიშნავად უნდა ვიგულისხმოთ: საქართველო იქ იყო, სადაც ქართველი ერი ფლობდა, ან ბინად-რობდა; იცვლიდენ თუ არა ბინა-სამფლობელოს ქართ-ველი ტომები, საქართველოც თანდათან საზღვრებს იცვლიდა. ამიტომაც საქართველოს ისტორია იგივე ქარ-თველი ერის ისტორია.

4. **საქართველოს ისტორია.** „ისტორია“ ბერ-ძნული სიტყვაა. იგი ნიშნავს ამბავს, მოთხრობას. რას მოგვითხრობს საქართველოს ისტორია? იგი მოგვით-ხრობს: სად და როგორ უცხოვრიათ ქართველებს უუძ-ველესი დროიდან, რომელ ერებთან ჰქონიათ დამოკი-დებულება, რა და რა ცვლილება გამოუვლიათ ცხოვ-რებაში და როგორ მოუწევიათ იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც დღეს იმყოფებიან. ყოველსავე ამას ისტო-რია მოგვითხრობს მწყობრად და დალაგებით, ანუ სის-ტემატიურად. მაშასადამე, მოკლედ რომ მოვჭრათ, საქართველოს ისტორია არის ქართველი ერის წარსული ცხოვრების სისტემატიკური მოთხრობა.

5. **საქართველოს ისტორიის ნაწილები.** ქართ-ველი ხალხის წარსული ცხოვრება ხუთ უმთავრეს ხა-ნად განიყოფა. ამის მიხედვით საქართველოს ისტო-რიაც ხუთი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ხანა იწყება უხსოვარი დროიდან და გრძელდება იმ დრომდე, როცა ქართველები საბო-ლოოდ დაემკვიდრენ თავის დღევანდელ სამშობლოში. ეს ხანა თავდება დაახლოვებით მე-IV-ე საუკუნეში ქრ. წინ. ამ ხანის ისტორიას ჩვენ დავარქმევთ საქართვე-ლოს უუძველეს ისტორიას.

როცა ქართველები თავის დღევანდელ სამშობლო-ში საბოლოოდ გადმოიკრიფენ და დაემკვიდრენ, მათ

კვლავ დაიარსეს სამეფოები. აქ პირველი ძლიერი სამეფოს დაარსება მოხდა 330 წლის მახლობლად ქრ. წინ. აქედან იწყება საქართველოს ისტორიის მეორე ხანა. იგი გრძელდება საქართველოში ქრისტიანობის დამყარებამდე, რაც მოხდა 326 წლის მახლობლად ქრ. შემდეგ. ამ ხანის ისტორიას შეგვიძლია დავარქვათ საქართველოს **ძელი ისტორია**.

მეოთხე საუკუნიდან ქრ. შემდეგ იწყება ჩვენი ერის წარსული ცხოვრების მესამე ხანა, რომელიც მე-13-ე საუკუნემდე გრძელდება. ეს ხანა იწყება აღმოსავლეთ საქართველოში რომაელთა მფლობელობის დამყიდრებით, რასაც თან მოჰყვა ქრისტიანობის დამყარებაც, და თავდება მონგოლების შემოსევით. ამ ხანის ისტორია შეიძლება იწოდოს საქართველოს **საშუალო ისტორიად**.

მე-13-ე საუკუნეში იწყება საქართველოს **ახალი ისტორია**, რომელიც გრძელდება მე-18-ე საუკუნის დამლევამდე. ამ ხანის განმავლობაში საქართველოს სამეფო ჯერ ორ სამეფოდ გაიყო, შემდეგ რვა პატარ-პატარა სახელმწიფოდ, ბოლოს კი რუსეთის სახელმწიფოს შეუერთდა (1801 წ.). ეს ხანა იწყება მონგოლთა ბატონობით და თავდები რუსთა მფლობელობის დამყარებით.

დასასრულ, უკანასკნელ ხანას შეადგენს რუსთა მფლობელობა ანუ მე-19-ე და მე-20-ე საუკუნე დღემდე. ეს არის საქართველოს **უუახლესი ისტორია**.

ასეთია საქართველოს ისტორიის უმთავრესი ნაწილები. თვითონეული მათგანი კიდევ რამდენსამე მცირე ნაწილად გაიყოფა, რაც ქვემოთ თავ-თავის აღგილას გვექნება აღნიშნული.

**კითხვები გასამეორებლად.** ენების რომელ ოჯახს ეკუთხნის ქართული ენა? რა და რა შტოები ჰქონია ძველად იაფე-ტურ ოჯახს? ამ ოჯახიდან დღეს რომელი შტოები დარჩენილა? ჩამოთვალეთ ქართული ენის კილოკავები. ჩამოთვალეთ ქართველი

ერის დღევანდელი ტომები. რომელ მოდგმას ეკუთვნიან ქართველები გარეგნიაბით? რას ნიშნავს სიტყვა „საქართველო“? რა არის ისტორია? რა არის საქართველოს ისტორია? რამდენ ნაწილად გაიყოფა საქართველოს ისტორია? უჩვენეთ თვითონაული ნაწილის დასაწყის-დასასრული.

## II

### საქართველოს ისტორიის წყაროები.

ახლა ვიკითხოთ: საიდან ჰქონდეთ საქართველოს ისტორია ცნობებს ჩვენი ერის წარსული ცხოვრების შესახებ? ცნობებს საქართველოს წარსულის შესახებ სამგვარი წყარო იძლევა: ნივთიერი ნაშთები, ზეპირსა ტექადა და შემცირდა.

**1. ნივთიერი ნაშთები.** ნივთიერ ნაშთს ეძახიან ყოველ ნივთს ან შენობას, რომელსაც ამა თუ იმ ხალხის წარსული ცხოვრებიდან ჩვენამდე მოუწევია. საქართველოს ისტორიის ნივთიერ წყაროებს ეკუთვნის: ძველი სამუშაო და საომარი იარაღები, საოჯახო და საეკლესიო ჭურჭელ-სამკაულები, ტანისამოსი, ძველი ფულები, სხვადასხვაგვარი შენობები ან მათი ნანგრევები, საფლავები, ძეგლები მათი წარწერებით და სხვანი. ამგვარ საგნებს საერთოდ ეწოდება **სიძველენი;** ხოლო იმ მეცნიერებას, რომელიც აღნიშნულ საგნებს იკვლევს, სიძველეთა მეცნიერებას ანუ არქეოლოგიას ეძახიან. არქეოლოგიის შემწეობით ჩვენ ვტყობილობთ, თუ რა სიძლიერისა და განათლების პატრონი ყოფილა ჩვენი ერი სხვა და სხვა დროს, რამდენად განვითარებული ჰქონია მეურნეობა ან ვაჭრობა, რა წესზე ჰქონია მოწყობილი ღვთისმსახურება და მიცვალებულთა დასაფლავება, რომელ მეზობელ ერებთან ჰქონია მისელა-მოსელა და სხვანი. ზოგიერთ ნივთებსა და შენობებზე ხანდახან წარწერებიც გვხვდება, მაგალითად: ძველ ფულებზე, შენობების ნანგრევებზე, საფლავის ძეგლებზე, პირდაპირ კლდეებზე და სხვ.

ზოგი ამ წარწერათაგანი უკვე წაკითხულია, ზოგის წაკითხვა კი დღემდე სრულიად ვერ მოუხერხებიათ ან სისწორით ვერ წაუკითხავთ. საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის ამგვარ ნაშთებს წარმოადგენს, ეგრეთ წოდებული, ხეთური ხატოვანი წარწერები (რებუსების მსგავსად) და გნის დურსმული მწერლობა. თუ ვინ იყვნენ და სად ცხოვრობდენ ხეთელები, ამაზედ ქვემოდ გვექნება საუბარი. აქ კი შევნიშნავთ, რომ ხეთური წარწერები ეგვიპტურს იყროვლითებს (ხატოვან მწერლობას) მოგვაგონებს, მაგრამ დასაწყისით კი მათთან არავითარი კავშირი არა აქვს. ხეთური წარწერები ქვებზეა ამოკრილი (ამობერილად). სამწუხაროდ, ამ წარწერების წაკითხვა სწავლულებს ჯერ-ჯერობით ვერ მოუხერხებიათ. ამიტომ ისტორიისათვის მათი შინაარსი საიდუმლოებას შეადგენს. მაგრამ, როგორც არქეოლოგიური ნაშთი, ხეთური წარწერები თავისთავად ღალადებს, რომ იმ ღრმას, როდესაც ეს წარწერები ეკუთვნის, ქართველების მოწინავე ტომები განათლების საკმაოდ მაღალ საფეხურზე ყოფილან ასული. - თითქმის ესევე უნდა ითქვას ვანის ლურსმული წარწერების შესახებაც. ეს წარწერები ნიშნებად ასურულს ლურსმულს (უკეთ რომ ვთქვათ, სოლის მსგავსს) ნაჭლევებს ხმარობს. ეს წარწერებიც ქვებზეა ამოკრილი, ზოგი პირდაპირ კლიფეზე. ისინი აღმოაჩინეს ვანის ტბისა და არარატის მიდამოებში, სადაც მე-IX—VII-ე საუკუნეში ქრ. წინ ქართველების რამოდენსამე ტომს ჰქონია ძლიერი სახელმწიფო (ურართუ). წარსულ საუკუნეში ამ წარწერების შესწავლა დაიწყო ფრანგმა მეცნიერმა ლენორმანმა, რომელმაც გამოსთქვა აზრი. რომ მათი ენა ძველი ქართულიაო. დღეს მათ სწავლობს რუსის მეცნიერი ნიკოლსკი, რომელსაც ის ენა ქართულის მონათესავედ მიაჩნია. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არც ამ წარწერების ენაა სისწორით აღდგენილი და შეუცდომლად წაკითხული, თუმცა არც

მთლად ისე საიდუმლოებით მოცულია, როგორც ხე-  
თური წარწერები. ყოველ შემთხვევაში, თავისი არსე-  
ბობით ვანის წარწერებიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა  
ზომამდე დაწინაურებული ყოფილა ზოგიერთი ქართ-  
ველი ტომი მე-9—7-ე საუკუნეში ქრ. წინ.

**2. ზეპირსიტყვაობა.** სანამ კაცობრიობა წერა-  
კითხვას ისწავლიდა, შესანიშნავ ამბებს ერთი თაობა  
მეორე თაობას ზეპირსიტყვიერად გაღმოცემდა ხოლმე.  
ზეპირი გადმოცემა ანუ ზეპირსიტყვაობა უუძველესი  
საისტორიო წყაროა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს,  
ვითომც გადმოცემა სხვა წყაროებზე უფრო სანდო  
იყოს. არა: როცა ძველი ამბავი გადმოცემით მამი-  
დან შვილზე გადმოდიოდა, შვილიდან შვილიშვილზე  
და ასე თანმოყოლით, იგი პირვანდელ სინაძღვილეს  
თანდათან შორდებოდა, რადგან გზა და გზა სახეს იც-  
ვლიდა: ზოგჯერ სხვა დროს მომხდარ ამბებს უერთდე-  
ბოდა და მათში ილესებოდა, ზოგჯერ საკუთარ და-  
წერილებითს ცნობებს ჰქარგავდა და მცირდებოდა და  
სხვ,— შემდეგში წერა-კითხვის მცოდნე პირებმა გად-  
მოცემას წიგნებში ჩაწერა დაუწეუს და რამოდენადმე  
ადრინდულს ცვლასა და რყევას გადაარჩინეს. ჩვენი  
ერისა და ქვეყნის შესახებ ორგვარი გადმოცემა მო-  
გვეპოება: ზოგი მათგანი უცხო ერებს ეკუთვნის (ბერ-  
ძნებს, სომხებს და სხვ.), ზოგიც ადგილობრივი—ქარ-  
თულია (ფარნავაზზე, ვახტანგზე, თამარზე, ერეკლე-მე-  
ფეზე და სხვებზე). — საისტორიო წყაროების ამავე  
ჯგუფს ეკუთვნის ხალხური შელოცვები, წმინდანების  
შესახები თქმულებანი, ის ზღაპრები, სადაც ღმერთებზე  
და საიქიო ცხოვრებაზეა ლაპარაკი, აგრეთვე ხალხური  
ლექსები, ანდაზები, გამოცანები და სხვანი. ამ წყა-  
როებში იხატება ქართველი ხალხის ძველი რწმენა-შე-  
ხედულება, ჭკუა-დაკვირვება, გონების სიმახვილე და  
სხვ. ამიტომ ჩვენი წარსულის შესასწავლად ამგვარ  
წყაროებს დიდი მნიშვნელობა აქვს. — ამავე წყაროებს

შეგვიძლია მივაკუთნოთ თვით ქართული ენა და მისი შტოები. რაგინდ ძლიერ განვითარებული იყოს ამა თუ იმ ერის ენა, მასში მუდამ მოიპოვდა ისეთი ძირი-თაღი სიტყვები და მთელი წინადადებანი, რომელნიც ამ ენას უუძველესი დროიდან შერჩენია, სხვა ენები-დან არ უსესხებია. ამგვარი სიტყვებისა და წინადადება-თა დაკვირვება გვიჩვენებს ამ ერის უუძველეს საზოგა-დოებრივს წყობილებას, ზნე-ჩვეულებას და გონებრივს მდგომარეობას. საგეოგრაფიო სახელების დაკრირვება გვიჩვენებს, თუ სად უცხოვრია თავდაპირველად ჩვენს ერს და რომელი ადგილები გამოუვლია, სანამ დღე-ვანდელ სამშობლოში დაემკვიდრებოდა. უცხო ენები-დან შეთვისებული სიტყვების გამორკვევა გვატყობი-ნებს, თუ რომელ ერებთან ჰქონია ჩვენს ხალხს დამო-კიდებულება და იმ ხალხთაგან ვის როგორი გავლენა ჰქონია ჩვენს ერზე; პირიქით, თუ ქართული სიტყვები რომელსამე უცხო ენაში აღმოჩნდება, ეს კიდევ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ქართველ ერს იმ ხალხთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია და სხვა.—ასეთია საზოგა-დოდ ზეპირსიტყვაობა და მისი მნიშვნელობა ისტო-რიისათვის.

**3. მწერლობა.** ზემოდ აღნიშნულ წყაროებთან შედარებით ყველაზე მეტს მასალას მწერლობა იძლევა. ჩვენი ისტორიის მწერლობითი წყაროები ორგვარია: **ქართული და არაქართული**, ე. ი. უცხოეთის მწე-რალთა ცნობები.

ისტორიულმა ბედმა ქართველებს იმ თავითვე განვითარებულ ერთა შორის არგუნა ცხოვრება. სანამ ქართველები საკუთარს მწერლობას გაიჩენდენ, მეზო-ბელ ერებს უკვე ჰქონდათ მწერლობა. ქართველებს ის ერები ზოგჯერ მტრობდენ და ეომებოდენ, ზოგჯერ კიდევ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ამიტომ თავის სამწერლო ნაშთებში ისინი ცნობებს ქართვე-ლების შესახებაც იძლევიან. ასეთი ცნობები გვხვდება,

მაგალითად, ევვიპტელების ხატოვან წარწერებში, ანუ იეროგლიფებში, ასურელების ლურსმულ მწერ-ლობაში, ებრაელების „დაბადებაში“, ბერძენ და რო-მაელ ისტორიკოსთა ნაწერებში, სომხურ, არაბულ, იტალიურ და რუსულ წყაროებში. ამ წყაროების მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისათვის დაუფასებელია. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ეს წყაროები სის-წორით არ გადმოგვცემს ჩვენებური აღგილებისა და ისტორიული პირების სახელებს, აქა-იქ საისტორიო ამბებსაც ურევს ერთმანეთში, მაგრამ ეს მხოლოდ იშ-ვიათი შემთხვევაა; უმეტესად კი უცხო წყარო-ებში საქართველოს შესახებ ისეთი ძეირფასი, უხვი და უტყუარი მასალა გვხვდება, რომლის მსგავსსაც არც ერთი ქართული წყარო არ იძლევა. ასეთია, განსაკუთ-რებით, უუძველესი პერიოდის შესახებ ასურული ცნო-ბები, ძელისა და საშუალო ისტორიისათვის—ბერძენთა და რომაელ ისტორიკოსთა ნაწერები (სტრაბონი, ტა-ციტი, რუფინი, პროკოპი კესარიელი), ხოლო ახალი ისტორიისათვის—იტალიელ მისიონერთა წერილები (ლამბერტი).

ახლა გადავიდეთ აღგილობრივი, ე. ი. ქართული საისტორიო წყაროების განხილვაზე. როგორც ქვემოთ თავის აღავს მოვიხსენებთ, საკუთარი ანბანი და „მწიგნობრობა“ ქართველებს ქრისტეს წინეთაც ჰქო-ნიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროიდან ჩვენამდე თა-ვისი პირვანდელი სახით არც ერთს სამწერლო ნაშთს არ მოუწევია. საბუთი კი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოკლე მწერლობითი ცნობები მეფეთა ვინაობისა და მათი მოღვაწეობის შესახებ ქართველებს ქრისტიანო-ბის მიღებამდეც უნდა ჰქონოდათ. შემდეგ, როცა ჩვენში ქრისტიანობა დამყარებულა, ჩვენს მწერლებს ზოგი იმ ცნობათაგანი თავის ნაწერებშიაც შეუტანიათ; მაგრამ ძველი ცნობები ბევრჯერ ისე შეუცვლიათ, რომ დღეს ძნელი გამოსაცნობია, თუ რა სახისა უნდა

ყოფილიყონ ისინი ქრისტიანობის წინა პერიოდში. ამიტომ ქართული მწერლობისა და კერძოდ საისტორიო მწერლობის მიმოხილვას, ჩვეულებრივ, ჩვენში ქრისტიანობის დამყარების შემდეგ იწყებენ. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ა) ქრისტიანობაშ საქართველოში მე-IV საუკუნის დამდეგს გაიმარჯვა (326 წლის მახლობლად). პირველ ხანად ჩვენში ქრისტიანი მწერლები უმთავრესად სასულიერო პირები იყვნენ. ამიტომ ისინი უფრო მეტ ურადღებას საეკლესიო ამბებსა და წმინდანების მოღვაწეობას აქცევდენ. ამგვარათ წარმოდგა უუძველესი ქართული საისტორიო წყარო—წმიდათა „ცხოვრება“, ე. ი. წმიდა მამათა და დედათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. შემდეგში ეს, სხვადასხვა დროს დაწერილი. «ცხოვრებანი» ერთ წიგნად შექმნიბეს და. ამგვარათ, წარმოდგა „მამათა ცხოვრება“, ე. ი. წმიდა მამების (და აგრეთვე დედების) თავგადასავალის აღწერა. ამ „ცხოვრებათა“ შორის ყველაზე უუძველესად ითვლებიან: «წმ. შუშანიკის ცხოვრება» (მე-5 საუკუნისა), შემდეგ ქსტატე მცხეთელისა (მე-6 საუკ.). მერე—აბო ტფილელისა (მე 8 საუკ.) და სხვათა. ქართველ წმიდათა „ცხოვრებანი“ ერთ წიგნად დაბეჭდა და მშენებირი სურათებით შეამკინია მიხეილ საბინინმა წარსულ საუკუნეში (1882 წ.). ამ წიგნს სახელად ჰქვია: «საქართველოს სამოთხე».

ბ) «მამათა ცხოვრების» შემდეგ ერთ უუძველეს ქართულ საისტორიო წყაროდ ითვლება პატარა ქრინიკა „მოქცევად ქართლისაც“. ეს ქრონიკა ამ ოციოდე წლის წინეთ ერთს ძველ ტყავის წიგნში აღმოაჩინეს. ეს წიგნი მე-10-ე საუკუნეში გადაუწერიათ შატბერილის მონასტერში (ჭორობის ხეობაში). ამიტომ თვით ქრონიკასაც ზოგიერთებმა „შატბერდული ქრინიკა“ უწოდეს. ეს წყარო უმთავრესად საეკლესიო ქრონიკაა, ამიტომაც შედარებით უფრო ვრცლად ქარ-

თველების «მოქცევის» ანუ მოქრისტიანების ამბავს მოგვითხრობს. მაგრამ, ამასთანავე, მოქლე-მოკლე ცნობებს ქართველი მეფეების შესახებაც იძლევა მე-4-ე საუკუნიდან ქჩ. წინ თითქმის მე-7-ე საუკუნემდე ქჩ. შემდეგ. ეს ქრონიკა შეუდგენია ვიღაც **გრიგოლ დიაკონს**, რომელსაც, მისივე სიტყვით, ხელში სხვა, უფრო ვრცელი ქრონიკა ჰქონია. მკვლევართა აზრით ამ ქრონიკის პირველი ნაწილი მე-7-ე საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი ქჩ. შემდეგ. მე-10 საუკუნეში კი იგი მხოლოდ გამოუწერიათ და შეუცნობიათ.

გ) «წმიდა მამათა ცხოვრებასთან» ერთად ქართველებმა «მეფეთა ცხოვრების» აღწერაც დაიწყეს. ძველი მეფეების ცხოვრება (მაგალ. ფარნავაზისა, მირიანისა, ვახტანგ I-ლისა), ქრონიკებისა და ზეპირგადმოცემის მიხედვით შეუდგენიათ; ახალი დროის მეფეებისას კი უმეტესად თავ-თავის დროს აღვენდენ. შემდეგ ეს, ცალ-ცალკე შედგენილი «ცხოვრებანი» ერთ წიგნად შეუკერიათ და ამგვარად წარმომდგარა „**ქართველთა მეფეთა ცხოვრება**“ ან შემოკლებით „**ქართლის ცხოვრება**“. ეს არის ქართველთა მატიანე, რომელშიაც უმთავრესად მეფეების თავგადასავალია მოთხოვილი. „**ქართლის ცხოვრება**“ ორ ნაწილად განიყოფა. პირველი ნაწილი მოგვითხრობს ქართველთ მეფეთა და მმართველთა თავგადასავალს ქართლოსიდან (ქართველების ზღაპრული წინაპრიდან), დაწყებული მე-X-ე საუკუნემდე ქჩ. შემდეგ. ეს ნაწილი პირველად დაბეჭდა და ფრანგულათაც გადათარგმნა წარსულ საუკუნეში ფრანგმა მეცნიერმა **ბროსსემ**. ბროსსემს შემდეგ აღმოჩნდა ამავე ნაწილის ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც მე-17-ე საუკუნეში გადაუწერიათ ქართლის დედოფლის მარიამისათვის. ამის გამო ამ ხელნაწერს „**მარიამის ვარიანტი**“ დაარქევს. დღეს ეს ვარიანტიც გამოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით.—«**ქართლის ცხოვრების**» მეორე ნაწილი შეკრიბა

და ქართულად დაბეჭდა წარსულ საუკუნეში პროფე-  
სორმა დავით ჩუბინაშვილმა, ხოლო ფრანგულად  
სთარგმნა და შენიშვნები დაურთო იმავე ბროსსემ. ამ  
ნაწილში მოთხრობილია ქართველ მეფეთა ცხოვრება  
მე-15 -- 18-ე საუკუნეები.

დ) ფრიად ძვირფას საისტორიო მასალას წარმოად-  
გენს ქართველ მეფეთა და კათალიკოზთა „სამართა-  
ლი“, ე. ი. საერო და საეკლესიო კანონები. უუძვე-  
ლესი მათგანი ეკუთვნის მე-12-ე საუკუნის დასაწყისს  
ქრ. შემდეგ (რუსი-ურბნისის საეკლესიო კრების დად-  
გენილებანი), ხოლო უუგვიანესი ვახტანგ VI-ის კანო-  
ნებია (მე-18-ე საუკუნის პირველ მეოთხედში). ქარ-  
თული „სამართლის წიგნი“ უკვე რუსულად გადაი-  
თარგმნა და ორჯერაც დაიბეჭდა, ქართულათ კი დღემ-  
დე (რუსი-ურბნისის კრების დადგენილებათა გარდა)  
არც ერთის მეფისა და კათალიკოზის „სამართალი“ არ  
დაბეჭდილა; ხელნაწერებად კი ბლომად მოგვეპოება.

ე) დასასრულ, მეტად ძვირფას საისტორიო წყა-  
როდ უნდა ჩაითვალოს: 1) ეგრეთ წოდებული სიგელ-  
გუჯრები, 2) ყოველგვარი მიწერ-მოწერა ქართველ  
მეფეთა და მათ ქვეშევრდომთა შორის ან უცხოეთის  
მეფეებთან და 3) ტაძარ-მონასტრების ან ძველი ფუ-  
ლების წარწერანი და ძველ წიგნებზე მინაწერები.

უუძველესი ქართული წარწერა, რომელსაც სა-  
ქრისტიანო ღროიდან ჩვენამდე მოუღწევია, მე-6-ე  
საუკუნე, ეკუთვნის (მეფის გურგენის ფული, ხუცუ-  
რის წარწერით); ხოლო უუძველესი გუჯარი მე-11  
საუკუნიდან შენახულია (ბაგრატ IV-ის გუჯარი ოპიზისა  
და მიჯნაძორის მონასტრებისადმი). შინაარსით სიგელი  
და გუჯარი — მეფეებისა და კათალიკოზ-ერისთავების  
წყალობის წიგნებს წარმოადგენს. ძველად ეს წიგნები  
გრძელსა და წვრილ ტყავზე იწერებოდა. შემდეგში კი  
ქაღალდზე დაუწყეს წერა.

ამ დარგის საისტორიო წყაროების ბეჭდვა დაიწ-

ყო წარსულ საუკუნეში ზემოდ დასახელებულმა ფრანგ-მა მეცნიერმა ბროსსექმ, განაგრძეს: ღიმიტრი ბაქრაძემ, პროფესორმა ალ. ცაგარელმა, დ. ფურცელაძემ და თევდორე უორდანიშ, ხოლო დღეს მუშაობს ე. თაყაიშვილი.

ასეთია საქართველოს ისტორიის უმთავრესი მწერლობითი წყაროები. საზოგადოდ კი საისტორიო მასალად გამოდგება ყველაფერი, რაც ქართულ ენაზე მოგვეპოება და ქართველ ხალხთან და საქართველოს-თან რაიმე კავშირი აქვს. მაგრამ ამ მასალას ექნება მხოლოდ მისახმარი, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. ზემო აღნიშნული მწერლობითი წყაროები კი—პირ-ველხარისხოვანი საისტორიო წყაროებია.

**კითხვები გასამეორებლად.** რამდენი გვარისაა საქართველოს ისტორიის წყაროები? რასა ჰქვია ნივთიერი ნაშთი? რომელი მეცნიერება იყვლება ამ ნაშთებს? რას ვტყობილობთ არქეოლოგიის შემწეობით? განმარტეთ ხეთურისა და ვანური წარწერების მნიშვნელობა.

რა არის ზეპირსიტყვაობა? რამდენად სანდოა ეს წყარო? რა და რა ენაზე მოგვეპოება ზეპირთქმულებანი ჩვენი ერის წარსულის შესახებ? რა მნიშვნელობა აქვს ენას, როგორც საისტორიო წყაროს?

რამდენგვარია მწერლობითი წყაროები? რომელ მეზობელ ერებს დაუტოვებიათ ჩვენს შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები?—ჰქონიათ თუ არა ქართველებს თავის ენაზე საისტორიო ობიექტების მიღებამდე? რა ღროიდან მოაღწია ჩვენამდე ქართულმა საისტორიო მწერლობამ? რა არის „მამათა ქართველება“? როგორ წარმოდგა იგი?—რას წარმოადგენს ქრისტიანი „მოქცევად ქართლისად“? როდის შეუდგენიათ იგი?—რა არის „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ ან მოკლეთ „ქართლის-ცხოვრება“? რამდენ ნაწილად განიყოფა იგი?—რა არის „სამართლის წიგნი“? რომელ საუკუნეს ეკუთვნის უუძველესი ქართული წარწერა?—რა არის სიგელი და გუჯარი? რომელი საუკუნიდან მოაწია ჩვენამდე უუძველესმა ქართულმა გუჯარმა?—ვის უშრომია დღემდე ქართული მწერლობითი საისტორიო წყაროების გამოსაცემად?

# უუქველესი ისტორია.

## I

კარიოდის განსაზღვრა და ჩართვების მიზა-წყალი.

საქართველოს „უუძველეს ისტორიას“ იმ ხანას ვეძახით, რომელსაც გაუვლია უხსოვარი დროიდან მცეთის მხარეში საქმაოდ ძლიერი სამეფოს დაარსებამდე. ეს პერიოდი თავდება 330 წლის მახლობლად ქრისტეს წინ. მთელი ის მიწა-წყალი, რომელზედაც ამ პერიოდის განმავლობაში ქართველ ტომებს ადგილგამოცვლით უსტოდრიათ, ოთხ ზღვას შუა მდებარეობს. ეს ზღვებია: შავი ზღვა, კასპია, სპარსეთისა და ხმელთაშუა ზღვა. ამ ზღვებს შემდეგი მდინარეები ერთვის: ტიგრი და ეფრატი (სპარსეთის ზღვას); ლალისი, კოროხი, რიონი და ენგური (შავ ზღვას); მტკვარი და არაქსი (კასპის ზღვას). ამ მდინარეთა აუზებში უცხოვრიათ სხვადასხვა დროს ჩვენს წინაპრებს. სახელდობრი: უუძველესი მათი სამკეილრებელი ქალდუ და შუამდინარე (მესოპოტამია) ყოფილა; ე. ი. ტიგრ-ეფრატის ვაკეები; შემდეგ—კაპადოკია (ლალისის აუზი) და ნიირ-ურართუ, ე. ი. ვანის ტბისა და არარატის არე-მარე; ბოლოს კი—ამიერკავკასია, ანუ კოროხ-რიონ-ენგურისა და მტკვარ-არაქსის აუზები.

—

კითხვები გასამეორებლად. რა დროიდან იწყება და როდის თავდება საქართველოს უუძველესი ისტორია? რომელ ზღვებს შორის მდებარეობდა ქართველების მაშინდელი მიწა-წყალი? უჩვენეთ ქარტაზე (და, თუ შეიძლება, კიდეც დ.ხატე) ეს ზღვები და მდინარეები, რომელთ აუზებშიაც ქართველებს სხვადასხვა დროს უცხოვრიათ.

## II

### ქართველები ქალდუსა და შუამდინარები.

#### 1. ქართველების პირვანდელი სამშობლო.

თავდაპირველად ქართველებს ქალდუს ქვეყანაში უცხოვრიათ. სხვანაირად ორმ ვთქვათ, ქალდუ ქართველების პირვანდელი სამშობლოა. ამ ქვეყანას თვით ქართველები და ზოგიერთი მეზობლებიც „ქარდუ“-ს ეძახდენ. ალბათ აქედან უნდა წარმომდგარიყო ჩვენი ხალხის სახელი „ქართული“ (მეგრულით „ქორთუ“), იგივე „ქარდული“, ე. ი. ქარდუს მუხოვრები, ქარდუდან გამოსული. ამ ქვეყნის ჰავა მეტად ცხელია; წვიმა იქ თითქმის არასოდეს არ მოდის: მაგრამ წვიმის მაგიერობას მდ. ეფრატი ასრულებს, რომელიც ყოველ წლივ გადმოდის ხოლმე ნაპირებზე და უხვად რწყავს სიცხისაგან გადამხმარს არე-მარეს. ძველი მწერლების მოწმობით, ეს მხარე მეტად ნაყოფიერი იყო; საპურე მცენარე აქ ერთი ორასად და ერთი სამასად აჯილდოებდა მიწის-მუშას. პურისა და ქერის ფოთლები ზოგჯერ ოთხი თითის სიგანე იზრდებოდა. მართალია, ქალდუში ხეები ნაკლებად იცოდა, მაგრამ აქ იზრდებოდა ფინიკის ხე, რომლის ნაყოფსაც მუხორებლები საზრდოდ ხმარობდენ; ზოგჯერ მისგან სასმელსაც ამზადებდენ. ამგვარად განთქმული იყო ქალდუს ქვეყანა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით; ამიტომ იმ თავითვე მრავალ ხალხს იზიდავდა. ჩვენი წინაპრები ამ ქვეყნიდან სემური მოდგის ერებმა გამოდენეს: აქ დაარსდა ძველს ისტორიაში ცნობილი ბაბილონის ძლიერი სახელმწიფო; ქართველები კი იძულებული გახდენ შუამდინარეში გადმოსახლებულიყვნენ.—როდის უცხოვრიათ ქართველებს ქალდუს მხარეში და როდის გადმოსახლებულან იქიდან, ამის შემდეგ არავითარი მტკიცე ცნობა არ მოვეპოება. ვიციო მხოლოდ, რომ 2000 წლის მახლობლად ქრ. წინ ქართველები უკვე

ქალდუს მხარეში, აღარ ცხოვრობდენ, მათი ქვეყანა ბაბილონელებს ეჭირათ. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: 2000 წლის მახლობლად ქართველების ერთი ტომი (მიტანნი) შუამდინარეში ცხოვრობდა და აქედან ებრძოდა ბაბილონის მეფებს. ჩანს, ქალდუ-დან ქართველების გადმოსახლება 2010 წელზე ადრე დათავებულა. თავისი პირვანდელი სამშობლო მხოლოდ ბრძოლის შემდეგ დაუთმიათ ქართველებს ბაბილონე-ლებისათვის.

**2. ქართველები შუამდინარეში. მიტანების სახელმწიფო.** შუამდინარეც (მესოპოტამია) ტიგრისა და ეფრატს შორის მდებარეობს, მხოლოდ მათი შუა-წელი უკირავს. ნაყოფიერების მხრივ ამ ქვეყანაზედაც იგივე ითქმის, რაც ქალდუს შესახებ ითქვა. აქ ბინა-დრობის დროს ქართველ ტომთა შორის ყველაზე მეტი ძალა და სახელი მიტანებმა მოიპოვეს. აქ მათ დაიარ-სეს საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, რომლის საზღვრე-ბიც აღმოსავლეთისკენ ტიგრამდე აღწევდა, ხოლო და-სავლეთისკენ თავრის მთებამდე. მათი დედა ქალაქი იყო **სარჩანი**, რომელიც ეფრატის ერთ-ერთ ტოტზე მდე-ბარეობდა. პირველი ცნობები მიტანების შესახებ ქრ. წინ 2000 წლს ეკუთვნის, როცა ივინი ბაბილონის მეფეებს ებრძოდენ. მაგრამ მიტანების ძლიერებამ უმაღლეს ხარისხამდე ქრ. წინ მე-15-ე საუკუნის მეო-რი ნახევარში მიაწია. ამ დროს თავი ისახელა მიტანე-ბის მეფემ **ტუშრატამ**. მაშინ მიტანებს ორი ძლიერი მეზობელი ჰყავდათ: ეგვიპტე და ბაბილონი. ეგვიპტეს-თან ტუშრატა-მეფეს მეგობრული განწყობილება ჰქონდა; ბაბილონს კი სასტიკს მეტოქეობას უწევდა. 1430 წლის მახლობლად ტუშრატამ ქალაქი ნინევია დაიპყრო, რომელიც ბაბილონის სახელმწიფოს წაარ-თვა. გამარჯვების ნიშნად, ტუშრატამ ნინევიდან იქა-ური ქალ-ღმერთის იშტარის კერპი წაიღო და ეგვიპ-ტის მეფეს ამენჭოტეპ მე-III-ს გაუგზავნა. ამ უკანას-

კნელს ცოლად ჰყავდა ტუშრატა-მათის ქალი და თავის სიმამრის, ერთგულობისათვის, მრავალ ოქროს უგზავნიდა ხოლმე.

მე-15-ე საუკუნის შემდეგ მიტანების ძლიერება თან და თან ეცემა. მე-13-ე საუკუნის პირველ ნახევარში (1300—1270 წლებს შორის ქრ. წინ) მიტანების სამეფოს ასურეთის გაძლიერებული მეფები იპყრობენ (რამან-ნირარი I და სალმანასარ I); მიტანები კი იძულებული ხდებიან ან შემოსულ უცხო ტომებს შეერჩიონ, ან შუამდინარე დასტოკონ და ეფრატის დასაცლეთით გადასახლდენ. მათს ადგილს კი, შუამდინარეში, ასურელები და ამათი მონათესავე არამელები იქცევენ. ამგვარად, თავისი პირვანდელი სამშობლო (ქალდუ) ქარველებმა ბაბილონელებს დაუტოვეს, ხოლო შუამდინარე—არამელებსა და ასურელებს.

**3. მაშინდელი კულტურა და სარწმუნოება.** როგორც ზემოდ შევნიშნეთ, ქალდუ და შუამდინარე მეტად ნაყოფიერი ქვეყანა იყო. მათი ნიადაგი განსაკუთრებით მიწის მუშაობას უწყობდა ხელს, ამიტომ შეგვიძლია ვთითქროთ, რომ ქართველები იქ ყოფნის დროს მიწის-მუშაობის მიმდევარნი უნდა ყოფილიყნენ.— მიწის-მუშაობის გარდა ქართველებს იქვე შესწავლილი ჰქონდათ მაღნეულის შემუშავებაც; განსაკუთრებით ბრინჯაოს ნივთები ყოფილა გავრცელებული. ოქრო და რკინა კი მარტო სამკაულად უხმარიათ.— უეკველია ქართველ ტომებში იმ დროს მეჯოგობაც უნდა ყოფილიყო ძელი დროიდან დარჩენილი. ამას, სხვათაშორის, ამტკიცებს მთვარის თაყვანის ცემა, რომელიც იმ დროს ქართველების ეროვნული სარწმუნოება ყოფილა: ლამის მნათობთა თაყვანისცემა კი უმთავრესად მეჯოგე ხალხის დამახასიათებელი ჩვეულებაა. მთვარის სახელობაზე ქალდუსა და შუამდინარეში ორგან იყო აგებული ტაძარი: ერთი ქალაქ ურში (ქალდუშია), მეორე—მიტანების დედა-

ქალაქს ხარრანში. მთვარე იმ დროის ქართველებს უმთავრეს ღმერთად მიაჩნდათ და, როგორც მამაკაც-ღმერთს, ისე უცქეროდენ.

**კითხვები გასამეორებლად.** სად იყო ქართველების პირვანდელი სამშობლო? როგორ წარმოდგა სიტყვა „ქართველი“? როგორ აღწერენ ძელი მწერლები ქალდუს ქვეყნის ნაყოფიერებას? დაახლოვებით როდის უცხოვრიათ ქართველებს ამ ქვეყნაში? მერე სად გადმოსახლებულან? ვის დაუჭერია მათი აზგილი.

რომელი ქართველი ტომი გაძლიერდა შუამდინარეში? მოიყვანეთ ამის მაგალითი მე-15 საუკუნიდან. სად იყო მიტანების დედა-ქალაქი? რომელ საუკუნეში დაეცა ეს სამეფო? ვინ დაიჭირა მიტანების მიწა-წყალი შუამდინარეში?

რა ხელობას მისდევდენ ქართველები ქალდუსა და შუამდინარეში? როგორი იყო მათი სარწმუნოება? რომელ ქალაქებში იყო ტაძრები მთვარის სახელობაზე?

### III

**დასავლეთის ქართველები მე-14—8-ე საუკუნეში დრ. ჭინ.**

მას შემდეგ, რაც ქართველები იძულებული გახდენ შუამდინარე სამუდამოდ დაეტოვებიათ, იგინი ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთი ნაწილი ეფრატის დასავლეთით გადასახლდა და იქ რამდენიმე სახელმწიფო დაიარსა; მეორე ნაწილი ტიგრის სათავეებისაკენ წამოვიდა და ვანის ტბისა და არარატის მთის მიდამოებში დაბინავდა. პირველთ ჩვენ დასავლეთის ქართველებს უწერდებთ, მეორეთ— აღმოსავლეთისას.

დასავლეთის ქართველთა შორის ისტორიაში ყველაზე მეტად შემდეგმა ტომებმა ისახელეს თავი: 1) ხეთებმა, 2) მუსკებმა ანუ მესხებმა, 3) ტაბალებმა ანუ თუბალებმა დი 4) კასკებმა ანუ კოლხებმა.

1. **ხეთები.** ხეთები პირველი ქართველი ტომია, რომელსაც ეფრატის მარჯვენა ნაპირები და კაპალოკია დაუსახლებია. ძველი კაპალოკია უმთავრესად მდ. ლალისის აუზებში მდებარეობს. იგი დაღარულია ლრმა

და ვიწრო ხევებით. წვიმები იქ ხშირი იყის, რის გა-  
მო ჰაერი ნოტიოა: სამაგიეროდ ეს მხარე მდიდარია  
მცენარეულობით. მისი ნიადაგი თანაბრად გამოსაღე-  
ვია როგორც მიწის მუშაობისა, ისე მეჯოგეობისათვის.  
მარტო კაპადოკიის შუაგული წარმოადვენს უწყლო  
ქვეყანას. ამის გამო აქ ზაფხული მეტად ცხელი იყის,  
ზამთარი კი ძლიერ ციცი. სწორედ ამიტომ, როცა  
ქართველი ტომები კაპადოკიისკენ გადმოსახლდენ,  
მათ უმთავრესად კაპადოკიის განაპირა აღვილები დაი-  
კირეს და არა მისი შუაგული, სახელდობრ: ყველანი  
ლალისისა და ეფრატის ზემო წელს შუა დაბინავდენ.  
ამ ტომთა შორის ხეთები ყველაზე უფრო სამხრეთით  
ცხოვრობდენ. სანამ შუამდინარეში მიტანების სახელ-  
მწიფო არსებობდა, ხეთები, ნათესაობის მიუხედავად,  
ხშირად თავს ესხმოდენ მათს მხარეს და მით ხელს  
უწყობდენ მიტანები დასუსტებას. რა თქმა უნდა,  
მიტანებიც ვალში არა რჩებოდენ და სამაგიეროს უხ-  
დიდენ, რის გამოც ხეთები მე-14-ე საუკუნემდე მო-  
კლებული იყვნენ ძალასა და მნიშვნელობას. მათ თავი  
მხოლოდ მას შემდეგ იჩინეს, როცა შუამდინარეში  
მიტანების სახელმწიფო დაეცა. ერთ სახელმწიფოდ  
ხეთების შეერთება მე-15-ე საუკუნეში დაიწყო. მაგრამ  
განსაკუთრებულ ძლიერების ამ სახელმწიფომ მე-14-ე  
საუკუნის დამლევსა და მე-13-ე საუკუნის პირველ ნა-  
ხევარში მიაწია. ამ დროს ხეთების სამფლობელო  
ჩრდილოეთით თათქმის შავ ზღვამდე აწევდა, სამხრე-  
თით ხმელთა-შუა ზღვამდე, დასავლეთით მდინარე ლა-  
ლისამდე, ხოლო აღმოსავლეთით ეფრატამდე. სატახ-  
ტო ქალაქად კარხემიში ითვლებოდა, რომელიც ეფ-  
რატის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა. ამ პერიოდში  
ხეთების ძლიერება უმაღლეს ხარისხზე იყო ასული:  
მათი „დიდი მთავრები“ ერთხანად ძლიერ მეტოქობას  
უწევდენ ეგვიპტის ფარაონებს; ხოლო მათი კულ-  
ტურა თანაბრად განსხვავდებოდა როგორც ეგვიპტუ-

რის, ისე ასურულ-ბაბილონურის კულტურისაგან. ხე-  
თებს ჰქონდათ საკუთარი ხატოვანი მწერლობა (რებუ-  
სების მსგავსად), რომელიც დიდად განსხვავდებოდა  
ეგვიპტელების იეროგლიფებისაგან. ამ ხატოვანი მწერ-  
ლობის რამდენსამე ნიმუშს ჩვენს დრომდეც მოუწევია,  
მაგრამ, სამწუხაოოდ, მეცნიერებს ჯერ კიდევ წაკით-  
ხული არა აქვთ. ხეთები გარეგნობითაც გაირჩეოდენ  
ეგვიპტელებისა და ასურ-ბაბილონელებისაგან. თავზე  
ნაწნაეს ატარებდენ, ხოლო ფეხებზე გრძელ-წვეტიანი  
წალები ეცვათ.

ხეთების შესახებ ყველაზე მეტს ეგვიპტური წყა-  
როები მოგვითხრობს. ახალ გაძლიერებულ ხეთებს ია-  
რალი პირველიად სამხრეთისკენ მიუმართავსთ. პალესტი-  
ნის ჩრდილო პროვინციებში იგინი შეტაკებიან ეგვიპ-  
ტის ფარაონს სეთოს I-ელს (1327—1317 წ.). ამ  
დროს ხეთების მთავრად **მაუტენერი** ყოფილა. როცა  
მაუტენერი გარდაცვლილა, ხეთის გამგეობა მის ძმას  
**ხეთასარს** დარჩენია. ამ დროს ეგვიპტის ტახტს სეთო-  
სის შეილი რამსეს მე-II განაგებდა (1317—1250 წ.  
ქ. წინეთ). ამას და ხეთასარს შორის 1296 წლის  
მახლობლად მოხდა მშვიდობიანი მორიგება და დაიწე-  
რა ხელშეკრულობა, რომლის ეგვიპტურ თარგმანს  
ჩვენს დრომდე მოუწევია. აი მისი დასაწყისი: „ეს ხელ-  
შეკრულობა დაუწერა ხეთის დიდმა მთავარმა, ძლი-  
ერმა ხეთასარმა, ხეთების დიდი მთავრის მარსარის ძემ  
და საფალულის ძის ძემ, ვერცხლის ფიცარზე ეგვიპ-  
ტის დიდ მბრძანებელს, ძლიერს აუმსესს, სეთოსის ძეს  
და რამსესის ძის ძეს, მშვენიერი სამშვიდობო და სა-  
კავშირო ხელშეკრულობა საუკუნოდ“. შემდეგ ჩამო-  
თვლილია ხელშეკრულობის პირობები, რომლის ძალი-  
თაც ორივე სახელმწიფო ვალდებული ხდებოდა საზო-  
გადო მტერთან ერთად ეომნა, ერთი-მეორის ძველ  
საზღვრებს არ შეხებოდა და ერთს მეორის მოლალატე  
ქვეშევრდომი თავის საზღვრებში არ შეეშვა. ამ ხელ-

შეკრულობით ხეთსა და ეგვიპტსს შორის ხანგრძლივი ზავი დამყარდა. ხეთასარი რამსეს ეგვიპტეში ეწვია, სა- დაც დიდი პატივით მიიღეს; ხოლო რამსესმა, კავში- რის განსამტკიცებლად, ხეთასარის ქალი შეირთო.

როგორც დავინახეთ, ხეთების ძლიერება უმთავ- რესად მე-13-ე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის. ამას შემდეგ იგინი თანდათან სუსტდებიან და მათ ნაცვლათ სხვა ქართველი ტომები ძლიერდებიან, სახელ- ღობრ: მუსკები (ანუ მესხები) და კასკები (ანუ კოლხები და კახები).

2. მუსკები ანუ მესხები. მუსკების მსოფლიო ისტორია პირველად მე-12 საუკუნეში იხსენიებს. ამ დროს მათ ეჭირათ ეფრატის დასავლეთით მდებარე აღგილები ლალისამდე, დაახლოვებით იმ აღგილის პირდაპირ, საღაც ეფრატის ორი სათავე ტოტი ერთ- დება და თვით ეფრატი პირდაპირ სამხრეთისკენ იწყებს დენას (ნახეთ ქარტაზე). მესხები ამ დროს ფრიად ძლიერი, მდიდარი და საკმარი განათლებულნი იყვნენ. მათი სამფლობელო რამდენსამე სამცფლდ იყო დაუ- ფილი და ქალაქებით მოფენილი. მუსკების უმთავრესი ხელობა მაღნეულის (განსაკუთრებით თითბრის) დამუ- შავება იყო; ამასთანავე ცურდენ მსხვილისა და წვრილ- ფეხი საქონლის მოშენება და ღვინის დაყენება. მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში მესხები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ასურეთსაც კი ღირსეულ მეტოქმბას უწევდენ. 1150 წლის მახლობლად მათ ასურეთის ორი მოხარკე ქვეყანა დაიპყრეს (ალმი და პურუუ- კუცე; ხოლო 1110 წლის მახლობლად, როცა ასუ- რეთში ტიგლატ-პილესარ I-ელი გამეფდა, მესხების ხუთი მეტე 20,000 მესხით ასურეთის მესამე მოხარკე ქვეყანას (კუმუხი) შეესია და დაიპყრო იგი. მაგრამ ეს გამარჯვება მესხებისთვის უკანასკნელი იყო: ასურეთის მეფემ მსწრაფლ შეჰყარა დიდალი ლაშ- ქარი, შემოვიდა კუმუხის ქვეყანაში, სასტიკად

დაამარცხა მესხები და 6000 ჯარისკაცი ტყველ  
წაიყვანა.

3. კასკები (ანუ კოლხები და კახები). მესხებ-  
თან ერთად, 1100 წ., ტიგლატ-პილესარ I-ელმა მეო-  
რე ქართველი ტომიც დაამარცხა, სახელდობრ კასკები  
ანუ კოლხები. კასკები მუსკების ჩრდილოეთით ცხოვ-  
რობდენ, ეფრატის დასავლეთით ღალისის სათავემდე.  
მესხებთან ერთად, ასურეთს ისინიც ძლიერს მეტოქო-  
ბას უწევდენ; მაგრამ 1100 წელს ტიგლატ-პილესარ-  
გა მათი ძლიერებაც დაამხო: 4000 კასკი დაატყვევა  
და ასურეთში გადასახლა. ამის შემდეგ მესხები და  
კოლხები თან და თან დასუსტდენ და მე-9-ე საუკუ-  
ნის პირველ ნახევარში უკვე ასურეთის მოხარკედ  
ითვლებოდენ (აშურ-ნასირ-აბალის დროს 885—860  
წწ. ქ. წინ). ამათ შემდეგ ჯერი მიღვა მეოთხე ქარ-  
თველ ტომზე—ტაბალზე ანუ თუბალზე.

4. ტაბალნი ანუ თუბალნი. ეს ქართველი ტომი  
მსოფლიო ისტორიაში სხვა და სხვა სახელით არის  
ცნობილი: ზოგი მას ტაბალს ეძახოდა, ზოგი—თობალს  
ანუ თუბალს; უფრო გვიან ტიბარი ან თიბერი უწო-  
დეს, საიდანაც წარმოდგა ბოლოდროს სახელები: ჰი-  
ბერი ანუ იბერი და სხვანი, რაზედაც ქვემოდ, თავის  
ალაგას გვექნება საუბარი. მე-9-ე საუკუნეში ქ. წინ  
ტაბალნი მუსკების სამხრეთით ცხოვრობდენ, ეფრა-  
ტისა და ღალისის შუა. მათი ქვეყანა 24 წერილ სამე-  
ფოდ იყო გაყოფილი. როცა მტერი შემოესეოდა, ეს  
სამეფოები ერთად იბრძოდენ. ტაბალების ქვეყანა  
მთიანი ადგილი იყო. მესხებივით ისინიც მაღნეულის  
დამუშავებას მისდევდენ: თუბალური რეინა და სპი-  
ლენძი უცხოეთშიაც კი გაქონდათ გასაყიდად, მაგა-  
ლითად ფინიკიაში (ქალაქ ტეირში) და სხვაგან. ამას  
გარდა ტაბალები მეჯოგობითაც იყვნენ ცნობილი: მა-  
თი ქვეყნის მაღალტანიანი, კარგი ჯიშის ცხენები მე-  
ზობელ ქვეყნებში განთქმული იყვნენ.

837 წელს ტაბალის ქვეყანას ასურეთის მეფე  
სალმანასარ მე-II შემოესია და ტაბალელმა მეფეებმა  
იგი დიდი საჩუქრით მოიშორეს თავიდან; მაგრამ 838  
წელს მაინც იძულებული გახდენ, ასურეთის მეფის-  
თვის ხარკი მიერთმიათ. ამას შემდეგ ტაბალები დრო-  
გამოშვებით ასურეთს ხარჯს აძლევდენ, თუმცა ხან  
და ხან მათი ბატონობისაგან თავს ითავისუფლებდენ  
ხოლმე. მაგალითად, მე-8-ე საუკუნის უკანასკნელ მე-  
ოთხედში, როცა ასურეთს სარგონი განაგებდა (722—  
705 წ. ქრ. წინ), ტაბალებმა თავი გაითავისუფლეს;  
მათ მესხებმაც მხარი მისცეს; მაგრამ სარგონმა ორივე  
დაამარტხა, ტაბალების ურთ-ერთი მეფე კიაკი ტკვედ  
წაიყვანა (718 წელს), ხოლო მესხებს ხარკი მოუშარა.  
ამასთან ერთად ორსავე მხარეში სარგონმა თავისი მო-  
ადგილენი და ხარის ამკრეფი მოხელეები დაადგინა.  
მართალია, იგი ხალხის შინაურ საქმეებში არ ერეოდა,  
ფრთხილად იქცეოდა და განსაკუთრებით ცდილობდა,  
ტაბალების გული მოეგო, — ერთ ტაბალელ მეფეს  
**ამბარისს** თავისი ქალიც კი მიათხოვა და მზითვად  
მთელი კილიკია მისცა, მაგრამ მაინც მიზანს ვერ  
მიაღწია: ტაბალების ერთგულობა ვერ დაიმსახურა.  
ამბარისი საიდუმლოდ გაეზრახა ურართუს მეფეს რუ-  
სას (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი): ასურეთის მეფის  
წინააღმდეგ ვიბრძოლოთ და წართმეული მიწები დავი-  
ბრუნოთო. ეს რომ სარგონმა შეიტყო, ჯერ ურარ-  
თუს მეფე რუსა დაამარტხა (714 წ.), ხოლო 70! წელს  
ამბარისი და ტაბალელი დიდებულები დაატკვევა და  
თან წაიყვანა, მათი მამულები კი თავის ერთგულ ასუ-  
რელებს დაურიგა. ამას შემდეგ მესხებისა და ტაბალე-  
ბის მდგომარეობა სასიკეთოდ აღარ გიმობრუნებულა.

**კითხვები გასამეორებლად.** რამდენ ნაწილად გაიყვნენ  
ქართველები შუამდინარიდან გამოსულის შემდგა? რომელ ქეყ-  
ნებში დასახლდენ ისინი? სად ცხოვრობდენ **ხეთები?** რომელ  
საუკუნეში იჩინეს მათ თავი? სად ჰქონდათ სატახტო ქალაქი?

როგორი მწერლობა ჰქონდათ ხეთებს? რა ვიცით მათი გარევნობის შესახებ? რით არიან ცნობილი ხეთების მთავრები: **მაუტენერი და ხეთასარი?** რა საბუთმა მოაწია ჩვენამდე ხეთასარის დროიდან? როგორ ეპყრობოდა ხეთასარს ეგვიპტის მეფე რამსეს მე-11?

სად ცხოვრობდენ **მუსკები ანუ მესხები?** რომელ საუკუნეში იჩინეს თავი? რა ხელობას მისდევდენ? ასწერეთ მათი ბრძოლა ასურეთთან (1150 და 1100 წელს).

**კასრები (ანუ კოლხები და კახები?)** სად ცხოვრობდენ? რა ბედი ეწიათ მათ და მესხებს მე-9 საუკუნეში.

რა და რა სახელებით არიან ცნობილი **ტაბალები?** სად ჰქონდათ ბინადრობა? რამდენ სამეფოდ იყვნენ გაყოფილი? რა ხელობით იყვნენ განთქმული? ასწერეთ მათი ბრძოლა ასურეთთან მე-7 და მე-8 საუკუნეში ქრ. წინ. როდის დაეცა საბოლოოდ მათი და მესხების სახელმწიფო?

ახლა ჩამოთვალეთ საერთოდ დასავლეთის ქართველი ტომები, რომელთაც თავი იჩინეს მე-14—8 საუკუნეში ქრ. წინ. უჩენეთ ქარტაზე მათი მიწა-წყალი და ქალაქები.

#### IV

### აღმოსავლეთის ქართველები მე-11—7-ე საუკუნეში ერთ ქრ. წინ.

როგორც ჯემოთ შევნიშნეთ, შუმდინარიდნ გამოსული ქართველების ერთი ნაწილი ტიგრის სათავეებისკენ გამოემართა და ვანის ტბისა და არარატის არე-მარე დაიჭირა. რადგან მათი ქვეყანა ეფრატის აღმოსავლეთით მდებარეობდა, ამიტომ, დასავლეთის ქართველთაგან გასარჩევად, მათ ჩვენ **აღმოსავლეთის ქართველებს** დავარქევთ.

თავის ახალ სამშობლოში აღმოსავლეთის ქართველებმა ორი ძლიერი სახელმწიფო დაიარსეს: **ნაირი** და **ურართუ**, რომელნიც ერთმანეთისაგან ვანის ტბით იყვნენ გაყოფილი. ნაირის სახელმწიფო ვანის ტბის სამხრეთით მდებარეობდა, ურართუსი კი—იმავე ტბის ჩრდილოეთით.

1. **ნაირი.** ეს სახელმწიფო მრავალ სამთავროთა კავშირს წარმოადგენდა. მისი საზღვრები იყო ჩრდი-

ლოეთით ვანის ტბა, აღმოსავლეთით ურმის ტბა, სამხრეთით და დასავლეთით—მღ. ტიგრი. მსოფლიო ისტორიაში ნაირის ქვეყანა პირველად მე-11-ე საუკუნის დამდეგს იხსენება, როცა მას ასურეთის მეფე ტიგლატ-პილესარ I-ელი შეესია. სწორეთ იმავე 1100 წელს, როცა ამ მეფემ მესხები და კოლხები დაამარცხა, მან დაიპყრო ნაირის ქვეყანაც და ტიგრის სათავეში თავისი ძეგლი ამართა ლურსმული წარწერით, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაწია. ამგვარივე შემოსევა ასურეთის მეფეებმა განსაკუთრებით მე-9-ე საუკუნეში გაახშირეს: ტიგრატ-პილესარ I-ელის მსგავსად მოიქცენ ასურ-ნაზირ-აბალ II (885—860 წ.) და სალმანასარ II (860—825 წ.). რომელთაც იმავე ადგილებში ამოაჭრევინეს წარწერანი თავის სახელმძღვანელოში. მაგრამ ამ დროს ნაირის ჩრდილოეთით იწყო გაძლიერება აღმოსავლეთის ქართველთა მეორე სახელმწიფო—ურართუმ, რომელმაც ერთხანად დიდად შეაფერხა ასურეთის მეფეთა მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ.

2. ურართუ. მე-9 საუკუნეში ურართუს სახელმწიფო ვანის ტბიდან გოგჩის ტბამდე აწევდა. სახელი „ურართუ“ ამ ქვეყანამ არარატისაგან მიიღო, რომელსაც ასურელები „ურართუს“ ეძახოდენ. თვის თავს კი მისი მკვიდრნი „ქალდ-ებს“, ანუ ქარდუელებს (იგივე ქართველი-ქართველი) უწოდებდენ. ქართველ ტომთა შორის, ხეთელებს შემდეგ ძალითა და განათლებით ურართელებს პირველი ადგილი ეჭირათ. მათ ჰქონდათ საქამაოთ განვითარებული სარწმუნოება, ხუროთმოძღვრება, მწერლობა და სალაშერო წესი; მათს ქვეყანაში ბევრი კარგი ქალაქი და სიმდიდრე მოიპოვდოდა. იმ დროის დიდრონ შენობებს და სარწყავ არხებს განცვითრებაში მოპყავს დღევანდელი მკვლევარი: ძველი ურართუს არე-მარე სავსეა ურართული წარწერებით; ამ წარწერების გარევანი მხარე ასურული ლურსმულია, ენა კი ადგილობრივი—ურართულია, ე.

ი., როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ძველის-ძველი ქართული, ანუ დღევანდელი ქართულის ერთი უუძველესი შტო-კილოკავი.

ურართუს სახელმწიფომ განსაკუთრებით მე-9-ე საუკუნეში იწყო გაძლიერება. 860 წელს ურართუს მეფედ არამე იყო. ამ დროს ურართუს სატახტო ქალაქიდ არზაშეუ ითვლებოდა, რომელიც ვანის ტბილან ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარეობდა მდ. ეფრატის ხეობაში. აღნიშნულ წელს ასურეთის მეფე სალმანასარ II (860—825 წ.) პირველად შემოესია ურართუს სამეფოს, ხოლო სამი წლის შემდევ (857 წელს) აილო მისი სატახტო ქალაქი არზაშეუ.

მაგრამ ასურელების გამარჯვება ხანგრძლივი არ ყოფილა. არამედ შემდევ ურართუს მეფედ **სარდური I**-ელი დაჯდა, რომელმაც სატახტო ქალაქი ვანის ტბის აღმოსავლეთის ნაპირებზე გადაიტანა (ქალაქი ტუსპა, ანუ დღევანდელი ვანი), რაღაც აქედან უფრო აღვილი იყო ასურელების დამარცხება.

სარდურის შემდევ ურართუში მისი შეილი იშპაუინი გამეფდა, რომელმაც პირველმა შემოილო ლურსმული მწერლობა ადგილობრივ ენაზე. ამ მიზნით მან ისარგებლა ასურული ლურსმული ნიშნებით, რომელნიც ქართული ენის ხმებს შეუფარდა. ამ მეფის დროს ურართუს ძლიერებამ უუმაღლეს წერტილამდე მიაწია. ამავე მდგომარეობაში იყო ურართუს სახელმწიფო იშპაუინის შეილის მენუას მეფობაშიაც.

ამ უკანასკნელის შეილმა და მემკვიდრემ **არგიშტი** I-ლმა კველა თანამოძმე ურართელი ტომი შემოიკრიბა და პირიქით დაუწყო შესევა ასურეთის სამეფოს, სანამ იგი არ დამარცხა. მაგრამ ურართელების ძლიერებამ ამის შემდევ დიდხანს აღარ გასტანა.

არგიშტის შემდევ ურართუს ტახტი **სარდური** მე-II-მ დაიჭირა. 742 წელს იგი თავისი მოკავშირე ტამებით შუამდინარეს შეესია, სადაც მას დაუხვდა

ასურეთის მეფის ტიგრატ-პილესარ II-ის (745—728 წ.) ძლიერი ლაშქარი. აქ საჩდური დამარცხდა და 72,000 კაცამდე ტყვედ დაუტოვა ტიგლატ-პილესარს, თვითონ კი მთებში გახიზენით გადაირჩინა თავი ტყვეობისაგან. 735. წელს ტიგლატ-პილესარი პირაქეთ შემოესია ურართუს და ოლყა შემოარტყა მის დედაქალაქს და ტუსპას. თუმცა ეს ქალაქი ვერ აიღო, მაგრამ დანარჩენი მხარე კი დაიპყრო და გამგედ თავისი მოადგილე დააყენა. რამდენიმე წლის შემდეგ ურართელებმა ისევ ძალა მოიკრიბეს და თავის თანამოძმე დასავლეთის ქართველებთან — მესხებსა და ტაბალებთან, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, კავშირი შეადგინეს ასურეთის ულლის მოსაშორებლად. ამ საქმის დამწყები ტაბალების მეფე ამბარისი იყო, ურართელებს მეფედ რუსა I ჰყავდათ, ხოლო ასურეთს საჩვონი განაგებდა (722—705 წ.). 714 წელს საჩვონმა ჯერ ვანის აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია მანუ დაიჭირა, შემდეგ თვითონ ქალაქ ვანს (ტუსპას) მიმართა და აიღო იგი. ურართუს მეფემ რუსამ ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და თავი მოიკლა.

ამას შემდეგ ურართუს სამეფო წელში აღარ გამართულა. მაგრამ ამის მიზეზი იყო არა მარტო ასურეთის სამეფო, არამედ სრულიად ახალი და მოულოდნელი გარემოება, რომელსაც ახლავე გავეცნობით.

რუსა I-ელის შემდეგ ურართუს ტახტზე არგიშტი II ავიდა. სწორეთ ამის მეფობაში, 710—705 წლებს შორის, ურართუს აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით დაიწყო მანამდე უცნობის ველური და ყაჩალი ტომების მოძრაობა. ეს ტომები იყვნენ ინდოგერმანულის ანუ არიულის მოდგმისა, სახელდობრ: კიმერიელები, აშკუზა ანუ „სკვითები“ და მიდიელები. ეს მოძრაობა შემდეგშიაც გაგრძელდა, თითქმის ერთ საუკუნეს (მე-7 საუკუნის დამლევამდე), და სრულიად ბოლო მოულო როგორც ქართველების მფლობ-

ლობას ურართუსა და კაპადოკიაში, ისე თვით ასუ-  
რეთის სამეფოსაც. დასავლეთით კიმმერიელებმა დასცეს  
მცირე აზის ტრი სამფლობელო: ფრიგია და ლილია,  
აგრეთვე მიწასთან გაასწორეს კაპადოკიის მკვიდრი  
ქართველები: ტაბალნი, მესხენი და კოლხები, რომელ-  
თაგან ამ მოძრაობის დროს მრავალი გაწყდა და გადა-  
გვარდა, ზოგმა კი ამიერ-კავკასიას შემოაფარა თავი და  
გადაგვარებას გიდაურჩა. ამავე დღეში ჩაცვიდენ  
ურართუში მცხოვრები ქართველებიც. არგიშტი მე-II ის  
შემდეგ ამ მხარეს კიდევ ჰყავდი რამდენიმე მეფე (რუსა  
II, რუსა III და სარდური III) მე-7 საუკუნის უკა-  
ნასკნელ მეოთხედამდე. მაგრამ, ინდო-გერმანელი „სკვი-  
თებისა“ (აშკუზა) და მიღიერების შემოსევის წყალო-  
ბით, არც ერთს ამ მეფეთაგანს ნამდვილი სამეფო ძა-  
ლა აღარ შეჩერინა: იგინი მხოლოდ აჩრდილს წარმო-  
ადგენდენ ურართუს ძევლი მეფეებისას. ურართუს  
უკანასკნელ მეფედ სარდური III ითვლება, რომელიც  
ასურეთის მეფის ასურბანიპალის (668—662 წ.) თანა-  
მედროვე იყო. როცა ინდო-გერმანელმა ველურებმა  
სარდურის ძლიერ გაუკირვეს საქმე, მან ასურბანიპალს  
დახმარება სთხოვა, მაგრამ ვერც ამით გადაარჩინა სიკვ-  
დილს თავისი სამეფო. 607 წელს მიღიის მეფემ კიაქ-  
სარმა დაამხო ასურეთის სახელმწიფო და თავისი სა-  
მეფოს საზღვრები მდ. ლალისამდე მიიტანა, ე. ი. მთე-  
ლი ურართუ და კაპადოკია ახლა მიღიერების ხელში  
გადავიდა. ამას შემდეგ ურართელი ქართველების ერთი  
ნაწილი ახალშემოსულ ინდო-გერმანელებთან შეირჩია  
და აქედან წარმოდგენ ეგრეთ წოდებული სომხები;  
მეორე ნაწილი კი არაქსისა და მტკვრის აუზებში გად-  
მოიკრიფა, სადაც, სხვა ქართველ ტომებთან ერთად,  
ნიადაგი მოუშნადა ახალი სამეფოების აღმოცენებას  
ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდში.

კითხვები გასაშეორებლად. ვის ვეძახით „აღმოსავლე-

თის ქართველებს? რა და რა სახელმწიფოები დაიარსეს აღმო-  
სავლეთის ქართველებმა.

უჩვენეთ **ნაირის** საზღვრები (ქარტაზე). რა მდგომარეო-  
ბაში იყო ეს ქვეყანა მე-11 და 9 საუკუნეებში?

უჩვენეთ დაახლოებით სივრცე ურართუს სამეფოსი (სამ-  
ხრეთით და ჩრდილოეთით). საიდან წარმოსდგა ეს სახელი? რა  
ერქევა ამ სამეფოს მკვიდრთ? რამდენად განვითარებული იყვნენ  
ქალდები მე-9—8 საუკუნეში? ჩამოთვალეთ ურართუს მეფეები  
მე-9—7 საუკუნეში და აღნიშნეთ მათი მოღვაწეობა: რომელმა  
მეფემ გადმოიტანა ტახტი არზაშეუდან ტუსბაში? მონახეთ ქარ-  
ტაზე ეს ქალაქები. ვინ შემოილო ლურსმული მწერლობა ურარ-  
თულ ენაზე? როგორი განწყობილება ჰქონდათ ურართუს მე-  
ფეებს: **სარდური** მე-11-სა და **რუსა** I-ელს ასურეთთან? რომელ  
წლებში დაიწყეს შემოსევა ინდოგერმანელმა ველურებმა? როდის  
დაამხვეს მათ ასურეთი და ქართველების სახელმწიფოები? რა  
მოუვიდათ ქართველ ტომებს? როგორ წარმოდგენ დღევანდელი  
სომხები? სად გადასახლდენ ის ქართველები, რომელთაც არ  
ისურვეს მტერს დამონქებოდენ და გადაგვარუბულიყვნენ?

## V

### ქართველი ტომები მე-6—4-ე საუკუნეები ძრ. ჭინ.

1. **ქართველ ტომთა ბინადრობა ამ ხანაში.**  
როგორც წინა თავში შევნიშნეთ, მე-7-ე საუკუნიდან  
იწყება ქართველი ტომების მრავლად გადმოსახლება  
ჩვენს დღევანდელ სამშობლოში, ე. ი. ცოროხისა,  
მტკვრისა და რიონ-ენგურის ხეობებში. ამ გადმოსახ-  
ლების მსვლელობა, რომელიც მე-4-ე საუკუნის მეორე  
ნახევრამდე გაგრძელებულა, დაახლოვებით ასე შეგვი-  
ძლია წარმოვიდგინოთ:

რიონისა და ენგურის ხეობაში ქართველ ტომ-  
თაგან ყველაზე უწინ **სვანები** შემოსულან, რომელ-  
თაც ერთხანად ის ადგილები დაუპირიათ, სადაც დღეს  
სამეგრელოა. ამას ამტკიცებს ზოგიერთი სოფლების  
სვანური სახელები სამეგრელოში. სად ცხოვრობდენ  
სვანები უძველეს პერიოდში, ისტორიაში არ იცის.

სვანებს მოსდევნებიან **კასკები** ანუ **კოლხები**,  
რომელთაც პირველად მტკვრის სათავეში უცხოვრიათ

(კოლა); აქედან მათი ერთი ნაწილი ჭოროხისა და რიონ-ენგურის აუზებში გადმოსულა. ჭოროხის მარცხნია მხარეზე, შავი ზღვის ნაპირებამდე, მათ დაუტოვებით თავისი შონათესავე ტომები: მოსსინიკები და მაკრონები, რომელთაც სხვანაირად კიდევ ზანებს ან ფანებს ეძახოდენ(იგივე ლაზები). კასკების მეორე ნაწილი მტკვრის ხეობაში გავრცელებულა, თითქმის მდინარე ალაზნამდე. ამ უკანასკნელის ხეობაში მათი ჩამომავლობა დღეს კახებად იწყდება.

კოლხების შემდეგ კაპადოკიიდან დაძრულან მესხები, რომელთაც დაუკერიათ მტკვრის ხეობის უდიდესი ნაწილი, მისი სათავიდან არაგვამდე. მთელს ამ მხარეს ამის გამო დარქმევია მცხეთი (იგივე მესხეთი), ე. ი. მესხების ქვეყანა. რომ მესხების ქვეყანა ერთ ძროს არაგვამდე ყოფილა, ამას მოწმობს დღემდე დარჩენილი სახელი სოფელ „მცხეთისა“.

მესხებს მოჰყოლიან ტაბალები, რომელთაც დაუკერიათ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთად მდებარე მაღლობები, სადაც მკირეოლნად სახელი უცვლიათ: ტაბარენი ანუ თიბერი. შემდეგ ეს ტომი წვრილწვრილათ შემოსულა ჭოროხისა, რიონისა და ყვირილა-ძირულის აუზებში. აქ მისი სახელი სხვა და სხვა ნაირად შეცვლილა: ჭოროხის მარჯვენა მხარეზე † მას დარქმევია ჰიბერი ანუ ოვერი \*); რიონის მარცხნა მხარეზე შავ ზღვამდე—ჰგერი ანუ გური (გურია, გურული); რიონის მარჯვენა მხარეზე—ჰგერი ანუ ეგერი (ეგრისი, სამეგრელო—მეგრელი); ხოლო ყვირილისა და ძირულის ხეობაში მისი სახელია—იმერი (იმერეთი). ერთი სიტყვით, ამ ტომს ყველა ქართველ ტომზე მეტი ადგილი დაუკერია: ჭოროხის ხეობის

\*) ამათვან ცოტა უფრო აღმოსავლეთით, იმავე ჭოროხის ხეობაში დასახლებულან ტაოხები; რომელთაც თავისი სახელი თვით ამ მდინარისთვის გადმოუკით (ჭოროხი—ტაოხი).

უდიდესი ნაწილი და მთელი ჟღვანდელი იმერეთი,  
გურია და სამეგრელო.

ბოლოს ურართუს მხრიდან დაძრულა ძლიერი  
ტალღა ქართველებისა, რომელთაც, როგორც ვიცით,  
შერჩენილი ჰქონდათ თავისი სატომო სახელი: **ქალდ-  
ნი** ანუ **ქართნი**. ამათ თან და თან დაუტოვებიათ  
ვან-არარატის მიდამოები, დაუტოვებიათ არაქსის მარ-  
ცხენა მხარეც (სადაც მათ უცხოელები აღაროდიე-  
ლებს \*) ეძახდენ) და ბოლოს მტკვრის შუაწელი  
დაუჭირიათ, დებედა-არაგვიდან ბორჯომის ხეობამდე;  
ხოლო იქ მცხოვრები მესხები იმდენად გადაუგვარე-  
ბიათ, რომ მთელი იმ მხრისათვის თავისი სატომო სა-  
ხელი დაუმკვიდრებიათ — **ქართლი**. სახელი **მესხეთი**  
კი (სხვანაირად **სამცხე**, ე. ი. **სა-მესხე**) მარტო  
მტკვრის ზემო წელს შერჩენია, ბორჯომის ხეობიდან  
სათავემდე. მათვე გადაუგვარებიათ ენით კახნი, იმერნი  
და გურულნიც.

ცხადია, ამავე დროს უნდა გადმოსახლებულიყო  
ურართუს მხრიდან მანამდე ისტორიაში უცნობი ქარ-  
თველი ტოში **ალბანები**, რომელთაც დაუჭირიათ  
მტკვრის მარცხენა მხარე ალაზნიდან კასპის ზღვამდე  
(ალბანია).

მეგვარად: სვანები, კოლხები, მოსსინიკები და  
მაკრონები (ჭანები), ტიბარენ-ჭიბერ-ივერნი (გურულ-  
მეგრელ-იმერნი), ტაოხნი, მესხნი, ქართლელნი, კახნი  
და ალბანნი, --აი ქართველთა მოდგმის უმთავრესი  
ტოშები, რომელთაც მე-7--4-ე საუკუნის განმავლო-  
ბაში არიელების შემოსევას თავი გადაარჩინეს და თა-  
ვის დღევანდელ სამშობლოში სამუდამოდ დაბინავდენ.

ახლა განვიხილოთ მათი პოლიტიკური ვითარება  
აღნიშნულ პერიოდში.

\*) აღაროდიელი იგივე არაროდიელი ანუ არარატელი,  
ე. ი. ურართუ-ელია.

2. პოლიტიკური ვითარება. როგორც ზემოდ შევნიშნეთ, 607 წელს ასურეთის ნანგრევებზე მიღი- ელების სამეფო დაარსდა. გაიარა ნახევარ საუკუნეზე ცოტა შეტმა და 550 წელს თვით ამ ახალშა სამეფომ ადგილი დაუთმო მეორე არიელ ტომს—**სპარსელებს.** მეფემ კვიროსშა მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში თა- ვის სამეფოს დაუმორჩილა ის ქვეყნები, რომელნიც წინეთ ასურეთსა და მიღიას ემორჩილებოდენ. რო- გორც ჩანს, კვიროსის მემკვდღერებს მთელი ამიერ- კავკასიაც დაუმორჩილებიათ. სპარსეთის მეფის და- რიოზ-ჰისტადაბის დროს (521—486 წ.) ქართველების ახალი მიწა-წყალი უკვე სპარსეთის მოხარკე იყო: სპარსეთის იმპერიაში ქართველი ტომები მე-18 და მე-19 ოლქს შეადგენდენ (სულ კი დარიოზის იმ- პერიაში 20-ზე მეტი ოლქი იყო). ეს ორი ოლქი სპარსეთის სასარგებლოდ ყოველ წლივ 500 ტალანტს, ე. ი. თითქმის 7.500.000 მანეთს იხდიდა. კერძოდ კოლხებს ფულის ხარკი არ ჰქონდათ გაწერილი, სამა- გიეროდ ყოველ წლივ 100 ჰაბუქს და ამდენსავე ყაბწვილ ქალს აგზავნიდენ სპარსეთის სასახლეში. ამას გარდა თვითოვეულ ოლქს ჰყავდა სპარსეთის მეფისგან დადგენილი უფროსი (სატრაპი), რომელსაც თან ახლ- და მუდმივი ჯარი სპარსელებისა. ამ ჯარის რჩენაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ევალებოდათ.

სამაგიეროთ სპარსელები არ ერეოდენ ქართვე- ლების შინაურ ცხოვრებაში. მართალია, მას შემდეგ, რაც ქართველები სპარსელებს დაემორჩილენ, მათ სა- კუთარი სახელმწიფო მოესპოთ, მაგრამ შინაურ საქმე- ებს თვითოვეული ტომი თვითონ განაგებდა. ყოველი ტომის უფროსს „მამასახლისი“ ერქვა. ეს იყო ტო- მის მამასახლისი. ტომები კიდევ თემებად და თემები გვარებად იყვნენ დაყოფილნი. ამათაც თავთავისი მამა- სახლისები ჰყავდათ, რომელნიც ტომის მამასახლის ემორჩილებოდენ.

ამგვარ მდგომარეობაში დარჩნენ ქართველი ტო-  
მები სპარსეთის იმპერიის დამხობამდე ალექსანდრე  
მაკედონელის მიერ, 330 წ. ქ. წინ, ე. ი. საქარ-  
ოველოს ისტორიის უუძველესი პერიოდის დასასრუ-  
ლამდე.

**3. კულტურა.** არიული მოდგმის ველურთა შემო-  
სევამ, ახალ სამშობლოში ნახერიად ველურ ბუნებას-  
თან ბრძოლამ და უცხო ტომის ხელქვეშ ყოფნამ  
მე-6—4-ე საუკუნეში ქართველი ტომები ძლიერ გაა-  
ღარიბა და ძირს დასწია კულტურულად, თუმცა მათი  
მთლად გაველურება კი ვერ შესძლო. ბერძნის ისტო-  
რიკოსები მოწმობენ, რომ ამ დროს ქართველები ძვე-  
ლებურად მისდევდნენ მიწის-მუშაობას, მაღალის  
შემუშავებას, ღვინის დაყენებას, მეფუტკრეობას  
და ზოგნი სელის-ქსოვასაც. მაგალითად, კოლხიდური  
სელის-ქსოვილები უცხოეთშიაც კი განთქმული იყო.  
— ამას გარდა, როცა სპარსელებმა წინ წაიწიეს კულ-  
ტურულად, ამ გარემოებით მათ ხელში მყოფმა ქართ-  
ველებმაც რამოდენადმე ისარგებლეს. მაგალითად მე-6-ე  
საუკუნეში სპარსელებმა ხმარებაში შემოიღეს **არაშეუ-  
ლი ანბანი** (არამელები ერთი უუძველესი კულტურუ-  
ლი ხალხი იყო სემურის მოდგმისა, ცხოვრობდა  
სიჩიისა და შუამდინარეში). როგორც ქართული ანბა-  
ნის შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, დაახლოვებით  
ამავე დროს (6—4 საუკუნეში) ქართველებსაც ეს არა-  
მეული ანბანი შემოულიათ; დღეს ამ ანბანის ნაშთს  
ჩვენი ასომთავრული ხუცური წარმოადგენს. — ამავე  
დროს ქართველებმა სპარსელებისაგან **ზოროასტრის**  
**სარწმუნოებაც** შეითვისეს. როგორც ვიცით, სპარსეთ-  
ში იმ დროს ზოროასტრის სარწმუნოება იყო გავრცე-  
ლებული. სპარსელებს ორგვარი ღვთაება სწამდათ:  
ერთი მხრით იდგა სიკეთისა და სინათლის ღმერთი  
**აჟურა-მაზდა**, რომელსაც ქართველები **არმაზს** ეძახო-  
დნენ; მეორე მხრით — სიბნელისა და ბოროტის წარმო-

ასეთი იყო ქართველების კულტურული მდგომარეობა მე-6—4-ე საუკუნეებში ქრ. წინ.

კითხვები გასამორჩებლად. ასწერეთ ქართველი ტომების მოძრაობა კაპადიკიდნ ამიერ კავკასიისაკენ. რა და რა სახელებით არიან ცნობილი თავის ახალ სამშობლოში კასკები და ძველი ტაბალები? რას ნიშნავს „მცხოვი“? სადამდი აღწევდა მისი საზღვრები ჰირველ ხანად? რომელი ადგილები და იკირქს ქართ-ებმა, კახებმა და ალბანებმა? —ჩამოთვალეთ ქართველი ტომების სახელები მე-6—4 საუკუნეში.

ვის დაემორჩილებნ ქართველები მე-6—4 საუკუნეში? რა ხარქს იხდიდენ ისინი სპარსეთის სასარგებლოდ? როგორი იყო მათი შინაური გამგეობა?

რა ხელობას მისდევდენ იმ დროს ქართველები? რა შეი-  
თვისეს ქართველებმა სპარსელებისაგან? როდის შემოუღიათ ქარ-  
თული ანბანი? როგორი იყო ქართველების მაშინდელი სარწმუ-  
ნოება?

---

# ქველი ისტორიას

## I

პერიოდის განსაზღვრა, ჩართველ ტომთა ბინა-  
ძრობა და გეზობლები ამ პერიოდში.

**1. პერიოდის განსაზღვრა.** „ძველ ისტორიას“ საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდს ვეძახით. ეს ხანა ოწყება მცხეთაში სამეფო ცენტრის დაარსებით, 330 წლას მახლობლად ქრ. წინ, და თავდება რომა-ელთა მფლობელობის დამყარებით იმავე მხარეში მე-3-ე საუკუნის დამლევს ქრ. შემდევ, რასაც მალე თან მოჰყვა ქრისტიანობის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში (326 წ.). ამგვარად საქართველოს „ძველი ისტორია“ შეი-ცავს ექვს-ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტს. ამ პერიო-დის განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიწა-წყალს უმ-თავრესად მტკვრისა, ჭოროხისა, რიონისა და ენგურის აუზებში შეადგენდა. როგორც ვიცით, ქართველები, დღესაც ამავე მიწა-წყალზე ცხოვრობენ. მაშასადამე, 2200 წელზე მეტი გასულა, რაც ქართველები თავის ახლანდელ სამშობლოში საბოლოოდ დამკვიდრებულან და თავისი ისტორიული ბედი ამ ქვეყანასთან მჴიდროდ შეუკავშირებიათ. ამიტომ, სანამ წინამდებარე პერიო-დის შესწავლას შევუდებოდეთ, საჭიროა მოკლეთ მაშინდელი საქართველოს გეოგრაფიული სურათი გავი-თვალისწინოთ.

**2. ზღვები, მთები და მდინარეები.** ძველ სა-ქართველოს სამი ძლიერი დარაჯი ჰყავდა: ალმოსავლე-თით კასპის ზღვა, დასავლეთით—შავი ზღვა და ჩრდილოეთით—კავკასიონის ქედი. ეს სამი ბუნებრივი

დარაჯი იფარავდა დიდხანს საქართველოს ამ სამი კუთხით ძლიერი მტრების შემოსეებისაგან. ამ მხრით ყველაზე მეტი ლვაწლი ჩვენი წინაპრების წინაშე კავკასიონის ქედს მიუძღვის: მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იგი იცავდა ქართველებს ჩრდილოეთის ველურ ხალხთაგან. საზოგადოდ მთებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერის ცხოვრებაში. დავასახელოთ უმთავრესნი მათგანნი:

კავკასიონის უმთავრესი ქედიდან გამოდის და პარალერულად სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება შემდეგი ხუთი მთა: **ბზიბისა, კოდორისა, სვანეთისა, ლეჩეუმისა და რაჭისა.** შემდეგ იმავე უმთავრესი ქედიდან იწყება **ლიხისა ანუ სურამის მთა, რომელსაც აქეს გაგრძელება** სამხრეთისაკენ სხვა და სხვა სახელებით: **ახალციხის მთა, არსიანის მთა, მესხეთის მთა და პარხალის მთა.** ეს ოთხი მთა სურამის მთასთან ერთად მთელს საქართველოს ორ უმთავრეს ნაწილად ყოფს: აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოდ. დასავლეთის საქართველოში მდებარეობს კიდევ: **გურია-აჭარის მთა, რომელიც ახალციხის მთის ტოტს წარმოადგენს, და ჭანეთის მთები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაპირად.**

აღმოსავლეთის საქართველოში შემდეგი მთებია შესანიშნავი: **ცივის მთა, რომელიც კავკასიონის ქედიდან გამოდის და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართება; თრიალეთისა და ჯავახეთის მთები და, დასასრულ ის მაღლობები, რომელიც მესხეთ-არსიანის მთების შესართავიდან იწყებიან და მიხვეულ-მოქვეული ხაზით გოგჩის ტბისკენ მიემართებიან;** ამ მთებს ჩვენ ვუწოდებთ მტკვრისა და არაქსის წყალთ-გამყოფ მაღლობებს.

ამ მთებში სათავეს იღებს მრავალი მდინარე, რომელნიც უხვად რწყავენ ჩვენს სამშობლოს. აი ზოგიერთი მათგანი: **ბზიბი, კოდორი, ენგური** (სვანეთის

მთებიდან), რომი თავისი შენაკადებით: **ცხენის-წყალით** და **უკირილა-ძირულით:** ამ ორს უკანასკნელ შენაკადს (უკირილა-ძირულას) და რომის გაგრძელებას შავ ზღვამდე ბერძნები და რომაელები ფაზისს ეძახოდნენ. აქ ჩამოთვლილი მდინარეები უველა შავ ზღვაში ჩადის. ამავე ზღვაში ჩადის **მდ.** **ჭოროხი,** თავისი შენაკადით **ისპირით.** უუდიდესი მდინარე საქართველოში **მტკვარია,** რომელიც არსიან-მესხეთის მთებში იწყება, ჯერ ჩრდილოეთისაკენ მოემართება, შემდეგ (ბორჯომის ხეობაში) აღმოსავლეთისკენ მოჭრის, გზაში იქრთებს მარცხნით **ლიახვს,** ქსანს, არაგვს და **იორ-ალაზანს,** მარჯვნით—**ხრამ-დებედას,** აქსტაფას, ბოლოს **არაქსს** (არეზი) და ჩადის ქასპის ზღვაში. მტკვარს უცხოეთის მწერლები „კიროსი“ ეძახოდნენ, არაგვს—„არაგოსს“, ხოლო ალაზანს—„ალაზონი“—ს.

ამ მდინარეთაგან უველაზე მეტი მნიშვნელობა მტკვარსა და რიონს ჰქონდა, რადგან ამ მდინარეებით სწარმოებდა მიმოსვლა შავსა და კასპის ზღვებს შუა, ხოლო შემდეგ ევროპასა და ინდოეთს შუა, რაზედაც თავის ადგილას გვექნება საუბარი.

3. **ჰავა და ბუნების სიმდიდრე.** საქართველოს ჰავა სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა გვარია. ეს დამოკიდებულია მთების მიმართულებაზე, ქარებზე, ზღვის სიშორე-სიახლოვეზე და ამა თუ იმ ადგილის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, კავკასიონის ქედი ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის კედელს წარმოადგენს: იგი იფარავდა და იფარავს საქართველოს არა მარტო მტრებისგან, არამედ ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგანაც. ამიტომ აქ ჩრდილო ქვეყნების ყინვა-სიცივე არ იცის. მაგრამ ჰავა აქ ერთგვარი მაინც არ არის. ამ მხრით აღმოსავლეთის საქართველო დიდად განსხვავდება დასავლეთის საქართველოსაგან. როგორც ვიცით, ამ ორ მხარეს ერთმანეთისაგან სურამისა და ახალციხის მთები გაჰყოფს. და-

სავლეთის საქართველო ზედ აკავს შავ ზღვას, რომელიც მას უხვად უგზავნის წვიმას, ხოლო ზაფხულ გრილსა და ზამთრობით შედარებით თბილ ქარს. ეს ქარი და წვიმა იშვიათად თუ გადმოსცილდება სურამის მთას. სამაგიეროდ, აღმოსავლეთის საქართველო ერთ-გვარად დაშორებულია, როგორც შავს, ისე კასპის ზღვას. ამიტომ ზაფხული აქ ცხელი იცის, ზამთარი კი ცივი. აქაური ქარებიც მშრალია და ჭინახულის მაზარალებელი. წვიმა იშვიათად მოიდის, რისგამოც მცხოვრებლებს მიწის შემუშავების სარწყავი არხების გაყვანა სჭირდებათ. მხოლოდ ალაზნის გაღმა-მხარი ირწყვის უხვად წვიმით, რომელიც კასპის ზღვიდან მოაქვს აღმოსავლეთის ქარს. საქართველოს ეს ნაწილი (ალაზ-ნიდან კასპის ზღვამდე) ძველადაც განთქმული იყო მდინარეების სიუხვით და ბუნების სიმდიდრით. საზოგადოდ საქართველო მდიდარი ქვეყანაა ბუნებით და, როგორც უცხოელები მოწმობენ, ძველად კიდევ უფრო მდიდარი ყოფილა. მისი მთები ხელუხლებელი ტყეებით იყო დაფარული, ვაკე-გორები და დაბლობები თვალგადაუწვდენელ საძოვარ იალაღებს წარმოადგენდა. ზოგიერთი მთა რკინისა და ოქრო-ვერცხლის მაღნებითაც იყო განთქმული (განსაკუთრებით, კოროხისა და რიონის აუზები).

ასეთი იყო ის ქვეყანა, სადაც ქართველები ამ 2200 წლის წინად საბოლოოთ დაემკვიდრენ.

**4. საქართველოს ნაწილები და მცხოვრებლები.** მთელს ამ ქვეყანას უცხოელი მწიგნობრები სამსუმთავრეს ნაწილად ჰყოფდენ: **კოლხიდად, იბერიად და ალაზნიად.** — კოლხიდის საზღვრები იყო: დასავლეთით შავი ზღვა, ბზიბის წყლიდან ქალაქ ტრაპიზონამდე; ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი სურამის მთამდე; აღმოსევლეთით — სურამის მთა და მისი გაგრძელება: ახალციხისა და არსიანის მთები; ხოლო სამხრეთით მესხეთისა და პარხალის მთები. — იბერიის საზღვრებს

შეადგენდა: დასავლეთით სურამისა, ახალციხისა და არსიანის მთები; ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი ალაზნის უკანასკნელი შენაკადის სათავემდე; ხოლო დანარჩენის შერით: ჯერ მტკვარ-არაგვის წყალთ-გამ-ყოფი მაღლობები, შემდეგ მდ. აქსტაფა, მერე მტკვრის შუა-წელი ალაზნამდე და ბოლოს ალაზანი 'თავისი უკანასკნელი შენაკადით კავკასიონის ქედიდან. — აღმანისა საზღვრავდა: დასავლეთით ალაზანი თავისი შენაკადებით, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით მდ. მტკვარი და აღმოსავლეთით კასპის ზღვა.

კოლხიდაში ცხოვრობდენ უმთავრესად უუძველესი დროის ტუბალ-კაინის (=ტაბალის) ჩამომავალი ქართველი ტომები: ტიბერნი, ჰბერნი, ჭანნი (=კაინ), მეგრელნი, გურულნი და იმერნი, რომელთ შორის შერეულნი იყვნენ (ახალშენებად სხვა და სხვა აღვილას): კოლხნი, ტაოხნი, მესხების ერთი ნაწილი, სვანნი და აფხაზნი. ამ ქვეყნის უმთავრესი ენა საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდში, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ჭან-მეგრული, რომელსაც იმ დროს ლაპარაკობდენ როგორც ჭანნი და მეგრელნი, ისე ჰიბერნი და გურულ-იმერნი \*). ამ ქვეყნისათვის ბერძნებს კოლხიდა დაურქმევიათ, აღმათ იმიტომ, რომ უკელაზე უწინ აქ მცხოვრებთაგან კოლხებს გაცნობიან, რომელთა ერთი ახალშენი, ბერძნებისავე მოწმობით, ქ. ტრაპიზონის მახლობლადაც (ცხოვრობდა (ტრაპიზონი კი ბერძნების ქალაქი იყო). ამგვარად, ერთის, შედარებით მცირე, ტომის სახელი

\*) საჭიროა ახლავე შევნიშნოთ, რომ ჭოროხის ბასეინში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა და გურულ-იმერლებმა მხოლოდ შემდეგში (მესამე პერიოდში) შეითვისეს „ქართული“ ენა, როცა მათ მრავლად შეერიენ აღმოსავლეთის ქართველები. წინად კი ამ ქვეყნის დედა-ენა მეგრული ყოფილა, რასაც სხვათა შორის მოწმობს აქა-იქ გაფანტული გეოგრაფიული სახელი (დვაბზუ, ოზურგეთი, ოფიშკვეთი, ოკრიბა და სხვ.).

უცხოელებს მთელს დასავლეთის საქართველოზე გად-  
მოუტანიათ.

კიდევ უფრო უცნაურად მოქცეულან იგივე ბერ-  
ძნები აღმოსავლეთის საქართველოს შესახებ, რომლის  
ერთი ნაწილისათვის მათ დაურქმევიათ „იბერია“, ე.  
ი. იმ ტომის სახელი (პიბერი), რომელიც ცხოვრობდა  
კოლხიდისა და „იბერიის“ საზღვარზე (კოროხის აუზ-  
ში) და არა თვით „იბერიაში“. ამ ქვეყნის ნადვილი  
მცხოვრები კი იყვნენ: **მესხების** მეორე ნაწილი,  
**ქართლელნი** და **კახნი**. მაშასადამე, სისწორით რომ  
ვთქვათ, ამ ქვეყანას „ივერიას“ ვერც კი დავუძხებთ,  
მაგრამ რადგან უცხოელ ისტორიკოსთა შორის ასეთი  
სახელია მიღებული, ამიტომ პირობითად ჩვენც ამავე  
სახელს ვიხმართ, მხოლოდ საჭირო კია გვახსოვდეს,  
რომ იმ დროს „იბერია“ აღნიშნავდა დღევანდელს  
ქართლსა და კახეთს მესხითურთ და არა იბერთა  
(ჭან-მეგრულ-გურულ-იმერთა) ქვეყანას, რომელსაც მა-  
შინ „კოლხიდას ეძახოდენ. „იბერიის მცხოვრებთა  
ენა იყო საკუთრივ „ქართული“ (ქართლ-კახურ-მეს-  
ხური), რომელიც შემდეგს პერიოდში ყველა ქართველ  
ტომთა ეროვნულ ენად გადაიქცა.

ალბანია მცხოვრებლებით მეტად აქრელებულ  
ქვეყანას წარმოადგენდა. ბერძნის მწერალთა მოწმობით  
აქ 26 სხვა და სხვა კილოზე მოლაპარაკე ტომი ცხოვ-  
რობდა. უეჭველია მათ შორის არა-ქართველებიც ერე-  
ოდენ, მაგრამ ზოგიერთი გარემოება საბუთს გვაძ-  
ლებს ვიფიქროთ, რომ ამ 26 ტომში ფრიად საპატიო  
ნაწილი ქართულის ჩამომავლობისა უნდა ყოფილიყო.  
შემდეგში ალბანიის ქართველობამ უცხო ტომელებს  
დაუთმო თან და თან ადგილი, მათში გაერია და გა-  
დეშენდა, ან სრულიად დასტოვა ალბანია და „იბე-  
რიაში“ გადმოსახლდა.

**5. მეზობელი ქვეყნები და სახელმწიფოები.**  
როგორც წინად შევნიშნეთ, საქართველოს ძველი ის-

ტორია იწყება 330 წლის მახლობლად ქრ. წინ და თავდება 326 წლის მახლობლად ქრ. შემდეგ ეს პერიოდი ფრიად შესანიშნავი ხანაა წინა-აზიის ცხოვრებაში. 330 წლამდე აქ ბატონობა სპარსეთის სამეფოს ეკუთვნოდა. მაგრამ 330 წელს იგი დაამხო ალექსანდრე მაკედონელმა, რომლის გარდაცვალების შემდეგ († 323 წ.), მისი მონარქიის ნანგრევებზე წინა-აზიაში აიმართა (312—306 წ.) ახალი **სახელმწიფო სელევკიდებისა**, რომლის უმთავრესი ცენტრი სირიაში იქნა გადატანილი, ქ. ანტიოქიაში. ამიტომ ამ სახელმწიფოს კიდევ სირიისა ანუ ასურისტანის სამეფოსაც ეძახიან. 250 წელს ამ სამეფოს მოსწყდა კასპის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე **პართია**, რომელიც ცალკე სამეფოდ გამოცხადდა; შემდეგ ეს სამეფო თანდათან გაიზარდა და თავისი დასავლეთის საზღვრები შუამდინარემდე მოიტანა (150 წლის მახლობლათ). ცოტა უფრო აღრე სელევკიდების სამეფოს ჩამოშორდა სომხეთი, რომელიც დამოუკიდებელ სამეფოდ იქნა გამოცხადებული (189 წელს ქრ. წინ).—120 წლიდან ქრ. წინ მცირე აზიაში იწყო გაძლიერება **პონტის სამეფომ** (შავი ზღვის პირად) მიტრიდატ მე-VI-ის ხელმძღვანელობით. მაგრამ პონტის ძლიერებას 64 წელს, ქრ. წინ ბოლო მოულო რომის **რესპუბლიკა**. რომელიც 30 წელს ქრ. წინ ვრცელ იმპერიად გადაიქცა და თავის გავლენა თანდათან თითქმის ტიგრამდე და კასპის ზღვამდე მოიტანა. ამას შემდეგ მთელი ამიერკავკასია ორი ძლიერი მეტოქის სადაც საგნად გადაიქცა: რომის იმპერიისა და პართიისა, ანუ სპარსეთისა, სადაც 226 წელს ქრ. შემდეგ პართელთა დინასტიის აღვილი დაუთმო ახალ სასანიანთა დინასტიის.

ამგვარად: ალექსანდრე მაკედონელისა და სელევკიდების სამეფოები, შემდეგ პართია, სომხეთი და პონტის სამეფო, ბოლოს რომის იმპერია და სპარსეთის სახელმწიფო, — აი საქართველოს მეზობელი ქვეყ-

ნები და სამეფოები, მისი ისტორიის მეორე პერიოდში, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთით.

ამათ გარდა საქართველოს ჩრდილოეთითუც ჰყავდა საქმაოდ ძლიერი, თუმცა ნახევრად ველური, მეზობლები: **სკვითები და სარმატები**, რომელნიც კავკასიონის ქედს გადაღმა ცხოვრობდენ და ზოგჯერ ქართველებს გარეშე მტრებთან ბრძოლაში მეზობლურად ეხმარებოდენ, თუმცა არა იშვიათად ქართველების მტრის ლაშქარშიაც იღებდენ ხოლმე ქირით მონაწილეობას.

**კითხვები გასამეორებლად.** აღნიშნეთ საქართველოს „ძევლი ისტორიის“ დასაწყისი და დასასრული: როდის და რა ფაქტით იწყება იგი და როდის და რა ფაქტით თავდება?

ჩამოთვალეთ (უსათუოდ ქარტაზე) საქართველოს ზღვები, მთები და მდინარეები.

ასწერეთ საქართველოს ჰავის სხვადასხვაობა და ბუნების სიმდიდრე.

უჩვენეთ (ქარტაზე) საქართველოს ნაწილები უცხოეთის მწერალთა მოწმობის თანახმად: კოლხიდა, „იბერია“ და ალბანია. აღნიშნეთ მათი საზღვრები და მცხოვრებლები. რომელი ენა უფრო იყო გაერცელებული კოლხიდაში და რომელი — „იბერიაში?“ რამდენ ენაზე ლაპარაკობდენ ალბანელები?

ჩამოთვალეთ (ქრონილოგიურად) საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები ამ პერიოდში.

## II

### საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი მე-4—1-ელ საუკუნეში ძრ. ზ06.

**1. მცხეთის სამეფოს დაარსება.** როგორც ვიცით, მე-6 საუკუნიდან მოკიდებული მთელი ქართველობა სპარსეთის ხელში იმყოფებოდა. სპარსეთის სატრაპები (მეფის მოადგილენი) და ჯარი მძიმე ტვირთად აწვენ საქართველოს და მის მკვიდრთ ძალაუნებურად ულვიძებდენ უცხოთა მფლობელობისადმი ზიზღა და მძულვარებას. მეორე მხრით, სპარსეთის ხელ-

ში ყოფნამ ქართველები თან და თან შეაჩვია სამონარქიო იდეას, შეაგნებინა ის აზრი, რომ, თუ ერსა სურს მოსვერებით და თავისუფლად იარსებოს, საჭიროა შეერთება და ძლიერი ცენტრალური ხელმძღვანელი, მონარქი ანუ მეფე, როგორიც მაშინ მეზობელ ქვეყნებში—თვით სპარსეთსა და მაკედონიაში არსებობდა. მაგრამ, სანამ სპარსეთის მონარქია ცოტალი და ძლიერი იყო, ქართველებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ, დამოუკიდებლობა მოვპოებინათ და საკუთარი სამეფო შეექმნათ: საამისოდ შესაფერი შემთხვევა იყო საჭირო. და, აი, სწორედ ასეთი შემთხვევა დაფა ვაშინ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის სამეფო დაამხო (330 წელს ქრ. წინ) და წინა აზიაში მრავალის ახალი სამეფოს აღმოცენებას ნიადაგი მოუმზადა. ამ დროით ისარგებლეს ქართველებმა და მცხეთის მხარეში, ე. ი. ქართლში, საკმაოდ ძლიერი სამეფო დაიარსეს. ქართული წყაროების მოწყობით, ამ სამეფოს საზღვრებში მოქცეულა კოლხიდისა და ალბანიის ზოგიერთი ნაწილიც.

ამ დიდებული საქმის განხორციელება წილად ხედა ქართლის მამასახლისის გვარეულობას, რომელსაც გინა ახლანდელი მცხეთის არქმარეში ჰქონდა და სპარსთა ბატონობის დროს ერთ უძლიერეს გვარეულობად ითვლებოდა, რადგან მის ხელში იყო ორის სალაშქრო და სააღებმიცემო გზის ჯვარედინზე გაშენებული ქალაქი მცხეთა. მცხეთაში თავს იყრიდა კასის ზღვიდან შავი ზღვისკენ და სკეით-სარმატიიდან (ჩრდილოეთიდან) არაგვის ხეობით სომხეთისკენ მიმავალი გზები, და, ვინც მცხეთას ჰფლობდა, იგი იმავე დროს თითქმის მთელის ამიერ-კავკასიის ფაქტური მბრძანებელიც ხდებოდა. ეს მფლობელი გახლდათ ქართლს მამასახლისის გვარეულობა, რომლიდანაც გამოვიდენ პირველი ქართველი მეფეები „მცხეთას შინა“: აზო და ფარნავაზ I.

ამგვარად ქართული სამეფო უფლება სამამასახლისო უფლებიდან გამოვიდა და, როგორც შემდეგ დავინახავთ, მას უკანაც დიღხანს ატარებდა ამავე ხასიათს.

**2. აზო, ფარნავაზ I** და მათი უუახლოესი მემკვიდრეები: საურმაგ I, მირვან I, ფარნაჯომ და არსეკ I. აქ ჩამოთვლილის შეფერხის შესახებ სასიტორიო წყაროები მეტად მცირე სანდო ცნობას იძლევა. ქართული წყაროების თქმულებანი ამ პირთა შესახებ უმეტეს შემთხვევაში ზღაპრული ხასიათისანი არიან. ამ თქმულებათა კრიტიკულ - შედარებითი შესწავლიდან ჯერჯერობით შემდეგ დასკვნათა გამოტანა შეიძლება:

აზო იყო „პირველი მეფე მცხეთას შინა“. მან იმეტა დაახლოვებით 330 წლიდან 272 წლამდე ქრ. წინ და ამ ხნის განმავლობაში მოასწრო მესხეთ-ქართლკახეთის შეერთება, კოლხებისა და ალბანის ზოგიერთი პროვინციებით.—**ფარნავაზ I-ელი** მეფობდა აზოს შემდეგ, დაახლოვებით 272 წლიდან 206 წლამდე. მან დააარსა ქალაქი არმაზი, მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, სადაც, სხვათა შორის, ააგო ტაძარი ორანული ღვთაების აპურა-მაზდის. ანუ არმაზის სახელობაზე, საიდანაც წარმოდგა თვით ამ ახალი ქალაქის სახელი. შემდეგ ფარნავაზმა მთელი თავისი სამეფო რამდენსამე სამმართველო ნაწილად გაპყო და თვითოვეულს ნაწილს უფროსად ერისთავი დაუყინა. ერისთავების მოვალეობა იყო: ადგილობრივს გამგეობაზე თვალი სჭეროდათ, მეფის ხაზინაში მცხოვრებთაგან ხარკი ეგზავნათ და ომიანობის დროს მეფისათვის ჯარი მიეშველებინათ. დასასრულ, ფარნავაზმა დიდი ყურადღება მიაქცია ქართულ „მწიგნობრობას“: ქართველების მიერ წინა პერიოდში შეთვისებული ასო-მთავრული ანბანი, რომელიც ყველა ქართულ ხმას ვერა ხატავდა, რამდენისამე ახალი ასოთი შეავსო და შეეცადა ქართულ ენაზე იმ დროის შესაფერი მწერ-

ლობა დაერსებია. აი ამის შესახებ ამბობს „ქართლის-ცხოვრება“: „ამანვე მეფემან შექმნა მწიგნობრობა ქართულიო“.

**საურმაგ I-ლი** ფარნავაზის მემკვიდრე იყო (დაახლოვებით 206—162 წ.). ამის მეფობაში, 189 წლის მანაბლობად, ასურასტანის მეფის ანტიოქის დიდის ორმა სარდალმა — არტაშესმა და ზარიალრმა, რომელნიც ჩამომავლობით სომხები იყვნენ, სომხეთს თავისუფლება მოუპოვეს. მაგრამ, რაღაც იმ დროს სომხეთის ტერიტორია პატარა იყო, რამოდენიმე პროვინცია მეზობელ სახელმწიფოებს ჩამოგლიჯეს. სხვათა შორის, საქართველომ ამ დროს დაჰკარგა ზოგიერთი ადგილები არაქსისა და ჭოროხის ხეობაში.

**საურმაგის შემდეგ მცხეთა-არმაზის ტახტი მირგან I** დაიკირა (162—120 წ.). სომხის ისტორიკოსთა მოწმობით, ამ დროს აღმანის ცალკე მმართველი მიუღია სომხეთის მეფისაგან, სახელად „არანი, კაცი სახელმოვანი, ცნობილი სიბრძნითა და გონებითა“; ხოლო საკუთრივ „იბერიის“ სამეფოს ჩამოშორებია ერთი პატარა პროვინცია „სომხითი“ (დებედასა და აქსტაფას შუა), რომელიც დიდი სომხეთის მეფის ხელში გადასულა. ამას გარდა, როგორც „ქართლის-ცხოვრება“ გადმოგვცემს, მირგანს შეხვედრია ბრძოლა კავკასიონის მთის ჩრდილოეთად მცხოვრებ ველურ ხალხებთან, რის შემდეგაც იგი შესდგომია დარიალის ხეობის გამაგრებას, სადაც დიდი კიშკარი გაუკეთებია. ამ კიშკარს შემდეგს საუკუნეებში რომაელი მწერლებიც იხსენიებენ.

მირგანის შემდეგ მცხეთის ტახტზე **ფარნაჯომი** ავიდა, რომელმაც დაახლოვებით 120—88 წლებს შორის იმეფა. ამის დროს მცირე აზიაში, კოლხიდის მეზობლად, გაძლიერდა პონტის სამეფო, რომლის მეფემ, მიტრიდატ VI დიდმა (120---63 წ.), სასტიკი ომი აუტეხა რომაელებს და თავის ხელ ქვეშ მრავალი

წვრილ-წვრილი სამთავრო შეიერთა. 88 წელს კოლხიდაც მიტრიდატის ხელში გადავიდა. თვით კოლხიდელების თხოვნით, 84 წელს მან აქ მეფედ დანიშნა ოლთაკი.

კოლხიდის დაკარგვის შემდეგ ფარნაჯომს დიდ ხანს აღარ უცოცხლია. 88 წელს „იბერიის“ ტახტზე უკვე არსოკ 1-ელი იჯდა. არსოკმა საქართველოს საზღვრები გაამაგრა და არმაზის ქალაქს მეორე ზღუდე შემოავლო. ამის მეოთხში რომის მთავარ-სარდლებმა სულლამ და ლუკულლმა რამდენჯერმე დაამარცხეს მიტრიდატი (84 წ., 74 წ. და 72 წ.) და მისი მოკავშირე სიძე, სომხეთის მეფე, ტიგრანი (69 წ.). მაგრამ მიტრიდატი მაინც არა ცხრებოდა. მან კვლავ იწყო საომრად მზადება და რომაელების წინააღმდეგ მეზობელ მეფეთაგან მთელი კავშირი შეადგინა. ამ კავშირში უნდა შესულიყვნენ მეფეები სომხეთისა, კოლხიდისა, იბერიისა და ალბანიისა. მაგრამ ამასობაში მცხეთა-არმაზის მეფე არსოკი გარდაიცვალა (66 წ.) და მის ნაცვლად, კავშირში მონაწილეობის მიღება მის მომდევნო მეფეს, არტავს, მოუხდა.

3. მეფეები: არტავი, ოროდი და ოლთაკი, და პომპეი საქართველოში. მიტრიდატის მზადებამ უქმად არ ჩაიარა: პონტის არწივმა რომაელთა წინააღმდეგ სულ მცირე ხნის განმავლობაში საკმაოდ ძლიერი კავშირი შეადგინა. ამ კავშირს ეკუთვნოდენ: თვითონ პონტის მეფე მიტრიდატი, მისი სიძე სომხეთის მეფე ტიგრანი, კოლხიდის მეფე ოლთაკი, ალბანიის მეფე ოროდი და იბერიის მეფე არტავი. სამი უკანასკნელი, როგორც ვიცით, საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის მეფეები იყვნენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ცნ წლის მახლობლად ქრ. წინ ქართველ ტომთა მიწა-წყალზე სამი სამეფო არსებობდა: კოლხიდა, იბერია და ალბანია.

რომის სენატმა აღმოსავლეთის ჯართა მთავარ-

სარდლად პომპეი დანიშნა, რომელმაც თავისი მოვალეობა საუკონიდ შეასრულა. პირველად იგი საიდუმლო ზავით შეეკრა პართიის მეფეს და, რაც ამ მხრით ზურგი გაიმაგრა, 66 წლის გაზაფხულს სამოცი ათასი მხედრით პონტის საზღვრებში შემოვიდა. მიტრიდატი სასტიკად დამარცხდა და სამი მხლებლით-ლა მოასწრო კოლხიდისკენ გაქცევა. ამას შემდეგ პომპეი სომხეთის მეფის ტიგრანისკენ გაემართა. ტიგრანი მოწიწებით გამოცხადდა რომის მთავარ-სარდალთან, ფეხურეშ ჩაუგარდა. სრული მორჩილების ნიშნად გვირგვინიც კი გადასცა და 8 მილიონ მანეთამდე ხარჯის გადახდა იტვირთა, ამასთანავე უარი სთქვა იმ ქვეყნებზე, რომელნიც ამას წინად დაემორჩილებია, სახელდობრ: ფინიკიასა, სირიასა, კაპადოკიასა და ქურთისტანზე. ამ გვარად პომპეის ერთმა გამოლაშქრებამ პონტის სამეფო დაამხო და სომხეთი ისევ თავის კალაპოტში ჩააყენა.

რომის ლაშქარმა საზამთროდ (66 წ.) იბერიისა, სომხეთისა და ალბანიის საზღვრის მახლობლად დაიბანაკა, რომ მომავლ გაზაფხულს მიტრიდატის სხვა მოკავშირენიც დაემორჩილებინა. მაგრამ არც ამ მოკავშირებს ეძინათ. როცა ალბანიის მეფემ იროდმა პომპეის ჯარის დაბანაკება შეიტყო, მსწრაფლ 40,000 ლაშქარი შეპყარა და მტერს მოულოდნელად თავს დაესხა. მაგრამ პომპეი არ დაიბნა: მთელი ლაშქარი მსწრაფლ ფეხზე დააყენა, ოროდს ჯარი დაუმარცხა და აიძულა ზავი ეთხოვა, თანაც მოსთხოვა, რომს კავშირით შეკვროდა.

65 წელს, გაზაფხულზე, პომპეის ძლევამოსილი ლაშქარი იბერიის დედა-ქალაქისკენ გამოემართა. იბერიის მეფეს არტაგს მტკიცედ გადაწყვეტილი პქონდა, მიტრიდატისათვის არ ეღალატნა; ამიტომ, როცა პომპეი არმაზ-ქალაქს მოუახლოვდა, არტაგმა მას თავი არ მოუხარა, მაგრამ, რაღვან ამასთანავე საკმაოდ მომზა-

დებული არ იყო და ომის იმედი არა ჰქონდა, სატახ-  
ტო ქალაქი გასწირა, მტერს მიუტოვა, მთელის ლაშ-  
ქრით მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, ხიდი დას-  
წვა და არაგვის ხეობას მიმართა. მაგრამ, როცა პომპეი  
წამოეწია, მეფემ ჯარი შეჩერა და, როგორც რომაე-  
ლი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, პომპეის „დიდი  
ბრძოლა“ აუტეხა. ამ ბრძოლაში 9,000 ქართველი  
დაიხოცა და 10,000-ზე მეტი მტერს ტყველ ჩაუვარდა.  
ამის შემდეგ კი არტაგი იძულებული შეიქნა ზავი ეთ-  
ხოვა და ერთგულობის ნიშნად პომპეის მევლები და  
ძვირფასი ძღვენი მიართვა, სახელდობრ: ხალასი ოქ-  
როთი შეჭედილი ტახტი და მაგიდა.

იბერიიდან პომპეი მტკვრისა და ძირულა-ყვირი-  
ლის ხეობით კოლხიდაში გადავიდა, სადაც მიტრიდატი  
ეგულებოდა, მაგრამ მიტრიდატმა შავი-ზღვის ჩრდი-  
ლოეთით მდებარე ბოსფორის სამეფოს მიმართა. კოლ-  
ხიდაში ყოფნის დროს პომპეიმ, ოლთაკის ნაცვლად,  
მეფედ არისტარხი დააყენა. ამ მეფისაგან ჩვენს დრომ-  
დე უულმაც კი მოაღწია ბერძნულის წარწერით:  
„კოლხიდის მეფის არისტარხისა“. კოლხიდაში პომპეის  
ამბავი მოუვიდა—ალბანელებმა რომთან კავშირზე უა-  
რი განაცხადეს და აჯანყდენო; და იგიც იძულებული  
გახდა, უკანვე გამობრუნებულიყო. დიდის გავივრებით  
გაიყვანა მტკვარში ქვეითი ჯარი და ზაფხულის პაპა-  
ნებაში შარაქის ველს შეუდგა. რადგან ეს ველი  
უწყლოა, წინამძღვრის რჩევით, პომპეიმ 10,000 ტკი  
წყალი ისაგზლა და ამგვარათ შემზადებული მტერს  
დაედევნა. მაგრამ მტერი არსად ჩნდა. მარტო ალაზ-  
ნის მარცხენა ნაპირას შეხვდა ალბანიის დიდალი ლაშ-  
ქარი (60,000 ქვეითი და 12,000 ცხენოსანი), ორო-  
ლის მის კოზისის წინამძღვრილობით. როცა ხელჩარ-  
თული ომი დაიწყო, პომპეიმ კოზისი საკუთარი ხე-  
ლით განგმირა, რის შემდეგაც ალბანელები ტყეში  
გაიფანტენ. პომპეიმ ტყეს ცეცხლი წაუკიდა და ირგვ-

ლივ ჯარი შემოარტყა. მაშინ ალბანელები დამორჩილდენ და პომპეისთან ხელშეკრულობა მოახდინეს,

ალბანიიდან პომპეი კასპის ზღვისკენ გაემგზავრა, მაგრამ, ეხლანდელ მუღანს რომ მიუახლოვდა, აუარებელმა შხამიანმა გველმა აიძულა უკან გამობრუნებულიყო. ამას შემდეგ მან მცირე-სომხეთისაკენ გასწია, საიდანაც რომში დიდი ტრიუმფით დაბრუნდა. ტრიუმფის წინ დიდრონი ფიცრები მიჰქონდათ, რომლებზედაც წარწერილი იყო პომპეისგან დამარცხებულ მხარეთა და მეფეთა სახელები: პონტისა, სომხეთისა, ალბანიისა, იბერიისა, კოლხებისა და სხვათა. აქვე მიჰყავდათ, სხვათა შორის, სომხის მეფის-წული მეუღლი-თურთ და ალბანიისა და იბერიის მძევლები.

ასე დათავდა პომპეის ბრძოლა კავკასიაში და მასთან ერთად (64 წ.) არტაგის მეფობაც დასრულდა. ამას შემდეგ დიდხანს აღარც მიტრიდატს უცხოვრია. 63 წელს, სამოც და რვა წლის მოხუცმა თავი მოიწამლა, ხოლო, როცა საწამლავმა დროიანად ვერ იმოქმედა, ერთ თავის ჯარისკაცთაგანს მოეკლევინა.

პომპეის ლაშქრობის შემდეგ მთელი კავკასია და, კერძოდ, საქართველო დიდის ხნით რომის კულტურულ გავლენას დაემორჩილა. ამავე დროიდან რომაელებიც თანდათან გაეცენენ ჩევნებს ქვეყანას და ჩევნი ხალხის შესახებ ფრიად ძვირფასი საისტორიო ცნობები დაგვიტოვეს.

**4. მეფეები: ფარნავაზ II, მირვან II და არსოვ II.** არტაგის შემდეგ არმაზის ტახტი ბრატმანმა დაიკირა, რომელსაც უცხოეთის მწერლები ფარნავაზს ეძახიან. ეს არის **ფარნავაზ III**, რომელიც დაახლოებით 64—32 წლებში მეფობდა. ამის დროს მიტრი-დატის შვილი ფარნაკი შეეცადა თავისი მამის სამფლობელო აღედგინა: 48 წელს პომპეისა და კეზარს შორის ატენილი მტრობით ისარგებლა და, სხვათა შორის, კოლხები. და სომხეთიც ადვილად დაიმორჩილა.

მაგრამ, հռუა ცეზარმა პომპეიზე გაიმარჯვა, მაშინვე ფარნაკის წინააღმდეგ გამოილაშქრა, ფარნაკი შეხვედრისთანავე დაამარცხა და პომპეის დაპყრობილი ქვეყნები ისევ რომის სახელმწიფოს დაუბრუნა. მართალია, 36 წელს ქრ. წინ, იბერიელები რომის წინააღმდეგ აჯანყდენ და მისი მეგობრობა უარჲყვეს, მაგრამ რომის სარდალმა პუბლიოს კანიდი კრასსმა იგინი დაამშევიდა და ფარნავაზ მე-II-ე აიძულა, კვლავ რომაელთა მეგობრობა ეკისრნა.

ფარნავაზის მეორე მოადგილის არსოკ მე-II-ის (22—1 წ. ქრ. წინ) დროს, სახელდობრ 15 წელს ქრ. წინ, იბერიაში კიდევ მოხდა აჯანყება, მაგრამ რომაელებმა ეს აჯანყებაც მაღლ ჩაატარეს, და ქართველებმა ისევ რომის მეგობრობა აირჩიეს.

ამგვარად, I-ელ საუკუნეში ქრ. წინ რომაელებმაც მტკიცედ ფეხი ჩასდგეს საქართველოს ორსავე ნაწილში: კოლხიდასა და იბერიაში, თუმცა საჭიროა შევნიშნოთ, რომ რომის უფლება ამ ორ მხარეში ერთი და იგივე არ იყო: კოლხიდაში ეს უფლება სრულს ბატონობამდე აღწევდა, იქ რომაელები მეფეებსაც კი ნიშნავდენ, ხოლო იბერიასთან. როგორც შემდეგ თავში დავინახავთ, მათ მხოლოდ „სამეგობრო კავშირი“ აერთებდათ.

**კითხვები გასამეორებლად.** რამ შეუწყო ხელი მცხეთის მხარეში სამეფოს დაარსებას? ვინ იყო პირველი მეფე „მცხეთას შინა“? ჩამოთვალეთ ფარნავაზ I-ელის ნამოლვაწევი. დასახელეთ უმთავრესი ფაქტები საურმაგ I-ელისა და მირვან I-ელის ცხოვრებიდან. აღწერეთ პლიტის მეფის მიტრიდატ დიდის მოქმედება ფარნაჯომისა და არსოკ I-ელის მეფობაში. აღნუსხეთ მოკლედ პომპეის ლაშქრის მოძრაობა მცირე აზიასა და ამიერ-ჯავახისაში. რა შედეგი მოჰყვა პომპეის ლაშქრობას საქართველოს ცხოვრებაში? აღნიშნეთ უმთავრესი ამბები საქართველოს ცხოვრებიდან 64—1 წლებს შორის ქრ. წინ.

III

საქართველოს ცხოვრება და თავგადასავალი  
1--3 საუკუნეში ჩრ. შემდეგ.

1. მეფეები: ადერკ, მიპრდატ I-ლი და ფარს-  
ბან I-ლი. როცა არმაზის მცენ არსოკ მე-II-რე გარ-  
დაიცვალა, სამეფო ტახტზე ადერკი ავიდა, რომლის  
ცხოვრებაც იმითაა შესანიშნავი, რომ მისი მეფობის  
პირველსავე წელს „იშვა უფალი ჩვენი იქსო ქრისტე  
ბეთლემს ურიასტანისასა“. ადერკიმ იმეფა 1--30 წელს  
ქრ. შემდეგ. ქართული წყაროები ამ მეფეს მიაწერს  
სიკვდილის წინ საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფას,  
მაგრამ, როგორც თანამედროვე რომაელი ისტორიკო-  
სები მოწმობენ, სრულიად საქართველო ის დროს  
უკვე კაი ხნიდან სამ სამეფოდ იყო განაწილებული:  
კოლხიდად, იბერიად და ალბანიად. რაც შეეხება სა-  
კუთრივ „იბერიას“, იქ არც ადერკის დროს და არც  
შემდეგ ამ პერიოდში არავითარი „ორ-მეფობა“ არ  
ყოფილა.

მე-3(I)-ე წელს ქრ. შემდეგ იბერიის ტახტი დაი-  
ჭირა ადერკის შვილმა „ქართამმა“. რომელსაც უცხო-  
ეთის მწერლები „მიტრიდატს“ ანუ მიპრდატს უწოდე-  
ბენ. ეს არის მიპრდატ I-ელი, რომელმაც სულ ხუ-  
თიოდე წელს იმეფა (30—35 წ. ქრ. შემდეგ). ამ მე-  
ფის დროს იბერიის ცხოვრებაში ფრიად საინტერესო  
ისტორიული ხანა იწყება. რომის იმპერატორების კავ-  
შირით წათამამებული იბერიის მეფეები რამდენისამე  
ხნით მთელი სომხეთის ბრძანებლები ხდებიან და პარ-  
თიის სამეფოსაც საქმეს უჭირვებენ. ამ სავნის შესახებ  
დიდად საინტერესო ცნობებს რომაელი მწერლები  
იძლევიან.

მას შემდეგ, რაც რომის რესპუბლიკა იმპერიად  
იქცა (30 წ. ქრ. წინ) და პართიის არშაკიდებმაც წინა  
აზიაში უპირატესობა მოიპოვეს, ამ ორ ძლიერ სახელ-

მწიფოს შორის მცირე აზია და კავკასია სომხეთითურთ  
მუდმივი განხეთქილების საგნად და ბრძოლის ასპარე-  
ზად გადაიქცა. არშაკიდები ცდილობდენ, სომხეთში  
თავისი დანასტია დაემყარებიათ; რომის იმპერატორები  
კიდევ თავის კანდიდატებს აგზავნიდენ ამავე მხარეში.  
34 წლის მახლობლად რომის იმპერატორმა, ტიბე-  
რიუსმა \*), იბერიის მეფეს მიჰრდატს შემოუთვალი—  
სომხეთს შესეეოდა და სამეფო ტახტიდან პართელი მე-  
ფის არტაბანის ძე არსაკი ჩამოეგდო. მიჰრდატმა იმპე-  
რატორის ბრაძანება შეასრულა და სომხეთის ტახტზე  
არსაკის ნაცვლად თავისი შვილი მიტრიდატი გაამეფა;  
თეოთონ კი იმავე წელს გარდაიცვალა და იბერიის  
ტახტი თავის მეორე შვილს ფარსმან I-ელს დაუ-  
ტოვა.

ამგვარად ვა წლის მახლობლად ქრ. შემდეგ რო-  
გორც იბერიაში, ისე სომხეთში ერთისა და იმავე ქარ-  
თველი სამეფო გვარეულობის წევრები გამეფდენ.  
მოთმინებიდან გამოსულმა არტაბანმა (პართის მეფემ)  
თავის მეორე შვილს ოროდს დიდალი ლაშქარი მის-  
ცა და შურის საძიებლად სომხეთის ახალი მეფის  
მიტრიდატისა და ფარსმანის წინააღმდეგ გამოგზავნა.  
ფარსმანმა თავის ჯარს აღმანელები და სარმატები შეუ-  
ერთა და ოროდი პირდაპირს ომში გამოიწვია. მაგრამ  
ფარსმანს პირდაპირს ომში არ გაჰყვა. მაშინ ფარს-  
მანმა პარტიზანულ ბრძოლას მიმართა: დღეს რომ  
პართელთა ბანაქს თავს დაესხმიდა, ხვალ საძოვარ ად-  
გილებს ჩაიგდებდა ხელში და ყოველ ღონეს ხმარობ-  
და მტერი მოთმინებიდან გამოეყვანა. მართლაც ამ  
ხერხმა გასჭრა და პართელებმა გადასწყვიტეს, ფარსმა-  
ნის ჯარს პირდაპირ შებრძოლებოდენ. დაიწყეს მზა-  
დება. აღმოსავლეთის ხალხთა ჩვეულებისამებრ, ოროდ-

\*) ტიბერიუსი იმპერატორობდა 14—37 წ. ქრ. შემდეგ.

მა ტრაბახსა და თავის-ქებას მიმართა: მან თავის ჯარს არშაკილების სახელი და მათი სამეფოს ღილებულობა მოაგონა, თანაც იბერიელების „მოჯამაგირეთა“ (სარ-მატების) სიმდაბლეს დასკინოდა. ამავე ღროს ფარს-მანი თავის ჯარს შემდეგის სიტყვებით ამხნევებდა: „ჩვენ არასოდეს პართელების ხელში არა ვყოფილ-ვართ! ამიტომ, რაც უფრო მამაკაც ვიბრძოლებთ, მით უმეტეს სახელს მოვიპოვებთ გამარჯვებით; ხოლო, თუ მტერს ზურგს ვუჩვენებთ, სირცხვილი და დალუპვა არ აგვილება! შეხედეთ აქ ამ ჩვენს მრისხანე რაზმებს და იქ, ოქრო-ვერცხლით მოკმაზულს, პართელთა ლაშ-ქარს: აქ ვაუკაცებია, იქ კი — დავლაო!“ ბრძოლა ის-რის სროლით დაიწყეს, მაგრამ ქართველების მოკავ-შირე სარმატებმა მალე ისარს თავი ანებეს და მტერზე პირდაპირ ხმლით იერიში მიიტანეს. იბერიელ-ალბანე-ლებიც მათ მიჰყვენ. შეიქნა ჩვეულებრივი შეხლა-შე-ტაკება და უკან-დახევა. ამ ღროს ოროდი თვითონ ჩაერია ლაშქარში და გამხნევება დაუწყო. ფარსმანიც ამ წუთს უცდიდა: იცნო თუ არა ოროდი, მედგრად ცხენი ზედ მიაგდო და შუბით მუზარადი გაუხვრიტა; მაგრამ მეორედ მოქნევა ველარ მოასწრო, რადგან გაანჩხლებულმა მერინმა შორს გაიტაცა. ხოლო ორო-დი საკუთარმა რაზმებმა დაპფარეს. უეცრად ხმა გავრ-ცელდა: „ოროდი მოჰკულესო“ და პართელებმა პირი იბრუნეს. — ამას შემდეგ არტაბან-მეფე კიდევ შეეცადა, სომხეთი ხელში ჩაეგდო; მაგრამ ვერაფერი გააწყო, რაღაც იბერიელებს რომაელები ჰქომავობდენ.

ამასობაში ორმის იმპერატორი ტიბერიუსი გარ-დაიცვილა და მისი ტახტი გაიის კალიგულამ დაიჭირა (37—41 წ.). უკანასკნელმა ფარსმანის ქმას მიტრი-დატს რაღაც ორგულობა შეამჩნია, რომში დაიბარა და ბორკილი დაადო, ხოლო მცირე სომხეთი ვილაც კო-ტიოს მისცა. ეს მოხდა 39 წელს ქრ. შემდეგ. მალე კალიგულა შეთქმულობის მსხვერპლი შეიქნა და

იმპერატორის ტახტი ბიძა-მისმა კლავდიოსმა დაიკავა (41—54 წ.). ამან მიტრიდატი გაათვისუფლა და ურჩია, ფარსმანის დახმარებით კვლავ სომხეთის ტახტი დაეჭირა. მართლაც აშ დროს პართიაში არეულობა იყო და, ამის გამო, თავის ძმისა და კეისრის დახმარებით, მიტრიდატმა სომხეთის ტახტი აღვილად დაიბრუნა. მაგრამ თავისი სისასტიკით ქვეშევრლომებს მალე თავი მოაბეზრა და სომხეთში არეულობა გამოიწვია. ამით ისარგებლა მისმა ძმისწულმა (ფარსმანის ძე) რადამისტმა, რომელიც იმავე დროს მიტრიდატის სიძეც იყო (ცოლად მისი ქალი ზენობია ჰყავდა), თავისი მამის, ფარსმანის, ჩაგონებითა და დახმარებით მიტრიდატი ტახტიდან ჩამოაგდო და სომხეთში გამეფდა.

რადამისტმა სომხეთში 52 წლამდე იმეფა, მაგრამ თავისი სისასტიკით ამანაც თავი შეაძულა სომხებს, რომელთაც მის წინააღმდეგ შეთქმულობა მოახდინეს, ტახტიდან ჩამოაგდეს და განდევნეს. \*) რადამისტი ამას შემდეგ კიდევ შეეცადა, სომხეთის ტახტი დაებრუნებია, მაგრამ 55 წლის დამლევს პართელებმა სომხეთი დაიპყრეს და რადამისტიც იძულებული გახდა, თავისი განზრახვა მიეტოვებია. ოთხი წლის შემდეგ (59 წ.) იგი თავისი მამის მსხვერპლი შეიქნა. ამას შემდეგ ფარსმან I-ელმა კიდევ ათოოდე წელს იმეფა და 70 წლის მახლობლად იბერიის ტახტი თავის მეორე შვილს, „აზორქს“ ანუ როგორც მცხეთის ქვის

\*) ამ გაქცევის დროს რადამისტს მისი ორსული ცოლი ზენობიაც თან გაცყეა; მაგრამ, როცა ტკიფილების გამო ცხენოსნობა ველარ შესძლო, ქმარსა სთხოვა, მტრის ხელში ცოცხალს ნუ ჩამაგდებო; ამ დროს რადამისტი არაქსის ნაპირას იყო; მან საკუთარის ხელით საყვარელ ცოლს გულში ხანჯალი დასცა და მისი გვამი მდინარეში გადააგდო, რომელმაც იგი ნაპირზე გაირანა. ზენობის კრილობა სასიკვდილო არ ყოფილიყო; იგი სოფლის მწყემსებმა მოასულიერეს, მოარჩინეს და შემდეგ სომხეთის ახალ მეფეს წარუდგინეს.—ამას მოგვითხრობს რომაელი ისტორიოსი.

ბერძნული წარწერა უწოდებს, მიტრიდატ მე-II-ეს გადასცა.

ამგვარად, 35—70 წლებს შორის იბერიის ტახტის ფარსმან I-ელი განაგებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქრისტეს მოციქულები მთელს რომის იმპერიასა და, განსაკუთრებით, წინა აზიას მოედვენ და წარმართობით სულშეხუთულ კაცობრიობას ახალი მოძღვრება უქადაგეს. აი, სწორედ ამ დროს (50 წლის მახლობლად) ჩვენს მეზობლად მდებარე პონტია და კაპადოკიაში პეტრე-მოციქული შემოვიდა საქადაგებლად, ხოლო მისმა ძმამ ანდრია პირველწოდებულმა კოლხიდა და აფხაზეთი ანუ დასავლეთის საქართველო მოიარა. ამ დროს ტრაპიზონიდან დაწყებული ბიჭვინთამდე შავი ზღვით თავისუფალი მიმოსვლა სწარმოებდა. ამ ზღვის პირად მდებარეობდა შემდეგი ქალაქები: ტრაპიზონი, ფაზისი ანუ ფოთი. ცხეუმი ანუ დიოსკურია, ბიჭვიანთა და სხვანი. ანდრია-მოციქული შემოვიდა ტრაპიზონით და ყველა ზემო ჩამოთვლილი ქალაქი ინახულა. საეკლესიო გარდამოცემით, ამ მგზავრობაში ანდრიას თან ახლდენ სფიმონ კანანელი და მატათა, რომელთაგანაც პირველი დიღ-სებასტოპოლის (=დიოსკურია=სუბჟი) და ნიკოფისაში დარჩა, ხოლო შეორე სეანეთში გადავიდა, --ამავე დროს სომხეთსა, იბერიასა და ალბანიაში მოციქულმა ბართლომეზ იქადაგა.

2. მეფები: მიპრდატ II, აზგანვ I და ფარსან II. მეფის ფარსმან I-ლის გარდაცვალების შემდეგ, 79 წლიდან 96 წლამდე, რომის ტახტი ზედი-ზედ შემდეგს სამს იმპერატორს ეკირა: ვესპასიანეს (70—79), ტიტესა (79—81) და დომიციანეს (81—96 წ.). ამათ დროს იბერიაში მეფობდა ფარსმანის ძე მიპრდატ მე-II-ე, რომელსაც აღნიშნული იმპერატორები დიდის პატივისცემით ეპყრობოდენ და მეგობრობის ნიშნად მცხეთის მიდამოებში ციხეც კი აუშენეს. ამას მოწმობს

იმ დროიდან დღემდე შენახული ქვა ბერძნულის წარ-წერით, რომელიც ქართულად ასე ითარგმნება:

„იმპერატორმა, კეისარმა ვესპასიანემ, ავგუს-ტოსმა, დიდმა მღვდელმთავარმა, ტრიბუნის უფლებით მეშვიდეჯერ შემოსილმა, მეთოთხმეტეჯერ ტრიუმფა-ტორმა, ექვსჯერ კონსულმა და მეშვიდეჯერ არჩეულ-მა, სამშობლოს მამაშ და ცენზორმა და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ძემ ავგუსტოსისამ, ტრიბუნის უფლე-ბით მეხუთეჯერ შემოსილმა და ცენზორმა; და დომი-ციანე კეისარმა, ძემ ავგუსტოსისამ, მეოთხეჯერ კონ-სულად არჩეულმა — იბერთა მეფეს მიტრიდატს, მეფის ფარასმანისა და იამაზიდის ძეს, კეისრისა და რომაე-ლის ხალხის მეგობარს, აღუშენეს ციხე“ \*).

ამგვარად ჩვენი წელთ-ალრიცხვის პირველი საუ-კუნის მეორე ნახევარში რომის ხალხსა და იბერიას შორის არსებული ურთიერთობა მეგობრულის კავ-შირით გამოიხატებოდა. შემდეგი მეფეების, ამზად 1-ლისა და ფარსმან მე-II-ის, დროს ამ მეგობრულმა განწყობილებამ კიდევ უფრო იმატა და იბერიას მთელს წინა აზიაში დიდი ძალა და მნიშვნელობა შესძინა. ამ მხრით განსაკუთრებით ფარსმან მე-II-ის მეფობაა შესა-ნიშნავი.

ფარსმან მე-II-ე რომის იმპერატორის ადრიანეს (117—138 წ.) თანამედროვე იყო და მისი მეფობაც დაახლოვებით იმავე წლებს ეკუთვნის (სახელდობრ, 119—140 წ. ქრ. შემდეგ). ქართული წყაროები მას „ფარსმან—ქველს“ უწოდებს და რომაელი მწერლე-ბიც მოწმობენ, რომ აგი მართლაც წარჩინებული ვაჟ-კაცი ყოფილა. „ადრიანე იმპერატორიო, — ამბობენ იგინი, — არც ერთ მეფეს იმდენ საჩუქარს არ უგზავნი-და, რამდენსაც იბერთა მეფეს ფარსმანს, რომელსაც,

\* ) ამ ქვის წარწერა 75 წელს შეეხება. აღნიშნული ქვა მცხეთის მახლობლად იპოვნეს 1867 წელს.

სხვა დიდებულ საჩუქართა შორის, სპილო და 500-კა-  
ციანი სამეფო ამაღლა გაუგზავნაა“.

იმპერატორების ამგვარ განწყობილებას ფასმან  
მე-II-ც კარგად ჰქედავდა და ყოველ ღონეს ხმარობდა,  
მათი გულის მოსაგებად, პართიის სამეფო და სომხეთი  
(სადაც იმ დროს უკვე პართელი არ შაკიდები მეფობ-  
დენ) შეევიწროებინა. ამ განზრახვით მან საიდუმლოდ  
ალანებთან ანუ მასაგეტებთან (რომელნიც დიდი-კავკა-  
სის ჩრდილოეთით ცხოვრობდენ) მოლაპარაკება გამარ-  
თა, წაქეზა ივინი, პართების სახელმწიფოს შესეყიდენ,  
და ამ მიზნით დარიალის ხეობით თავის სამფლობელო-  
ზე გზა მისცათ. ალანებმა მთელი სომხეთი და მიდია  
(სპარსეთის ნაწილი) შეარყიეს და მხოლოდ მაშინ  
გამობრუნდენ უკან, როცა პართიის მეფემ ვოლოგეზ  
მე-II-მ მათი სარდლები დიდის ქრთამით მოისყიდა.  
როცა პართებმა ფარსმანის საიდუმლო შეიტყეს, ამ  
საქმის გარჩევა რომის იმპერატორთან გადაიტანეს. ამავე  
დროს ფარსმანმა „წარჩინებული“ ქართველები შეჰვა-  
რა და თავისი მეულლითურთ რომს გაემგზავრა. იქ  
იმპერატორისა და სენატის წინაშე ისეთის წარმატებით  
დაიცა თავი, რომ იმპერატორმა, მეგობრობის ნიშ-  
ნად, სამფლობელოც კი გაუფართოვა (ვგონებთ, კოლ-  
ხიდის ზოგიერთი ოლქის გადაცემით) და პირადად მას  
და მის მეულლეს არაჩვეულებრივი პატივი მიაგო: ნება  
დართო კაპიტოლიის ტაძარში მსხვერპლი შეეწირათ  
და ფარსმანის ცენტრიანი ქანდაკება მარსის მინდორზე  
დაადგმევინა. აქვე ადრიანემ დიდის სიამოვნებით ინა-  
ხულა თვით ფარსმანისა, მისი ვაჟისა და „იბერიელი  
აზნაურების“ სამხედრო ვარჯიშობა. ეს მოხდა 138  
წელს \*). ორი წლის შემდეგ ფარსმან-ქველიც გარდა-  
იცვალა.

\*) ამგვარად მე-II საუკუნის პირველ ნახევარში, რო-  
გორც ვხედავთ, ჩვენს ხალხში უკვე თავი უჩენია აზნაურთა  
წოდებას.

3. საქართველო, რომი და სპარსეთი 140  
წლიდან მესამე საუკუნის დასასრულამდე ქჩ. შემ-  
დეგ. ფარსმან-ქველის შემდეგ არმაზის ტახტზე მესამე  
საუკუნის დამლევამდე ათი შევე გამოიცვალა. \*) მათ  
შორის ჩვენს ყურადღებას ყველაზე მეტად რევ-მარ-  
თალი იქცევს (182—190 წ.) თავისი სარწმუნოებრივი  
რეფორმით. უუძველესი დროიდან ზოგიერთ ქართველ  
ტომში (მაგალითად, ალბანელებში) ადამიანის მსვერპ-  
ლად შეწირვა იყო დარჩენილი. სამსხვერპლოდ გამზა-  
დებულ პირს წელს ასუქებდენ, შემდეგ მთავრის  
ტაძარში შეჰყავდათ, სადაც მთავარ-ქურუმი „საღვთო  
ლახვრით“ გულს გაუგმირავდა. როცა მსხვერპლი მი-  
წაზე დავარდებოდა, ქურუმები მისი დაცემის კვალო-  
ბაზე წინასწარმეტყველებას იწყებდენ, რასაც ხალხი  
დიდი მოწიწებით ისმენდა. შემდეგ მსხვერპლი განსა-  
კუთრებულ ადგილას მიჰკონდათ, სადაც მლოცველები  
მის გვამს ფეხით შეეხებოდენ—გავიწმინდებით—და  
დაიშლებოდენ. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გად-  
მოგვცემს, რევ-მეფეს ეს სამარცხვინო ჩვეულება აუ-  
კრძალავს, რის გამოც მას ზედმეტ სახელად „მართა-  
ლი“ დარქმევია. მატიანე იმასაც დასაქენს, რომ რევი  
ასე მოიქცა, რადგან ქრისტიანობას იცნობდათ. ჩანს,  
იმ დროს ჩვენში ამ ახალ მოძღვრებას უკვე ფეხი მოუ-  
კიდებია, თუ კი მის საკეთილო გავლენას თვით მმარ-  
თველ წრეებშიაც ასეთი ნაყოფი გამოულია.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგო-  
მარეობას, ე. ი. მის დამოკიდებულებას მეზობელ სა-  
ხელმწიფოებთან მესამე საუკუნის დასასრულამდე, ამ  
მხრივ საქართველოს ცხოვრებაში არსებითი ცვლილება  
არა მომხდარა რა: როგორც წინად, ისე ახლაც ქარ-

\*) აი მათი სახელები: როვ (140—146), ლადამ (146),  
ფარსმან III (146—164), ამზად II (164—182), რევ-მართალი  
(182—190), ვაჩე (190—208), ბაკურ I (208—216), მიჰკონდარ  
III (216—224), ასფაგურ (224—265), ლევ (265—300 წ.).

თველ ეს რომაელთა მეგობრობით ზურგი ჰქონდა გამაგრებული სპარსელების წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩა 226 წლის შემდეგაც, რომა სპარსეთში არშაკიდების აღვილი საკმაოდ ძლიერმა სასანიანთ დინასტიამ დაიჭირა. მართალია, მეორე სა-სანიან მეფის შაბურ I-ელის დროს (238—272 წ.), რომა ქართლ-კახეთს ასფაგური განაგებდა (224—265 წ.), სპარსეთმა კვლავ დაიჭირა ჩვენს მეზობლად მდებარე სომხეთი (252 წ.); მართალია, 260 წელს, შაბურმა მოტყუებით ხელში ჩაიგდო თვით რომის იმპერატორი ვალერიანე და შეეცადა იბერია და ალბანია თავის მხარეზე გადაეყვანა; მაგრამ იბერიელებმა და ალბანელებმა შაბურის წერილიც კი უკან გააბრუნეს, სამაგიეროდ რომაელ სარდლებს მისწერეს: მზად ვართ დაგეხმაროთ და იმპერატორი ტყვეობიდან დაგახსნევინოთ. იბერიელებსა და ალბანელებს ამ შემთხვევაში თავრო-სკითხებიც მხარს უჭერდენ.

ამასობაში გარდაიცვალა მეფე ასფაგური (265 წ.) და მცხეთ-არმაზის ტახტი დაიჭირა ლევ-მეფემ, რომელმაც იმეფა დაახლოებით მესამე საუკუნის დასასრულამდე. ამის დროს რომისა და სპარსეთის განწყობილება შემდეგს მდგომარეობაში იყო: 282 წელს რომის იმპერატორმა კარბა (282—284 წ.) სომხეთი და შუამდინარე კვლავ რომს დაუბრუნა და, კერძოდ, სომხეთში წინანდელი პოლიტიკური წყობილება აღადგინა. კარის შემდეგ რომის ტახტი დიოკლეტიანე იმპერატორმა დაიკავა (284 - 305) წ.), რომლის დროსაც მისმა თანამმართველმა კეისარმა გალერიუსმა სპარსეთის მეფე ნარსე სასანიანი სასტიკად დაამარცხა და 298 წელს მესოპოტამიის (შუამდინარის) ქალაქ ნიზი-ბინში ხელშეკრულობა დაუწერა. ამ ხელშეკრულობის ძალით რომის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრად მდ. ტიგრი დაინიშნა, სავაკრო ქალაქად თვით ნიზიბინი, ხოლო იბერია რომის საფასსალოდ გამოცხადდა:

ქართველი მეფეები ვალდებული გახდენ „სამეფო ლირ-სების ნიშნები რომის იმპერატორებისაგან მიეღოთ“.

ამგვარად საქართველოს წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის დამლევს, ნიზიბინის ხელშეკრულობის ძალით, იბერიაში რომაელთა სამეფობრო კავშირი ბატონობად იქცა: იბერიის მეფეებს რომის იმპერატორებმა დაუწყეს დანიშნვა. ამგვარივე მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში, როგორც ვიცით, პომპეის აქეთ არსებობდა. სწორედ ამ წესის ძალით რომის იმპერატორმა ანტონინ პიუსმა (138—161 წ.) ლაზებს მეფედ დაუნიშნა „პაკორი“ ანუ ბაკური. იბერიის მეფეების მსგავსად, ლაზთა (ჭანთა) მეფეებიც სამეფო ნიშნებს რომის იმპერატორისაგან იღებდნენ. ეს ნიშნები იყო: თეთრი წამოსასხამი (ქლამიდა), თეთრი ხალათი (ტუნიკა), ფეხსაცმელი, მარგალიტებით შემკული სარტყელი და რომაული გვირგვინი.

კითხვები გასამეორებლად. ვინ იჯდა არმაზის ტახტზე, როცა მაცხოვარი დაიბადა? რამდენ სამეფოდ იყო გაყოფილი ამ დროს და შემდეგშიაც მთელი საქართველო? რით არის შესანიშნავი მიზრდატ I-ელის მეფობა? გადმოეცით მოკლედ ფარსმან I-ელისა და მისი შეილის რადამისტის თავგადასავალი. ვის დროს და რომელმა მოციქულებმა იქადაგეს საქართველოში?

როგორი იყო რომისა და იბერიის ურთიერთობა მიპრდატ II-ისა და ფარსმან II ქველის დროს? რამელ დროს ეკუთვნის პირველი ცნობა საქართველოში „აზნაურობის შესახებ“?

რა რეფორმა მიეწერება რევმართალს? როგორი განწყობილება არსებობდა რომსა, სპარსეთსა და საქართველოს შორის ჩეენის შემდეგ მესამე საუკუნის დამლევამდე? რა მნიშვნელობა ჰქონდა ნიზიბინის ხელშეკრულობას საქართველოს ცხოვრებაში?

#### IV

#### სოციალ-კულტიურული წყობილება.

1. სამეფო, ტომი, თემი და გვარი. როგორც ვნახეთ, ქართველების მიწა-წყალზე, მათი ისტორიული ცხოვრების მეორე პერიოდში, სამი სამეფო აღმოცენ-

და: იბერია, კოლხიდა და ალბანია. თვითოეული სამეფო მჩავალი ტომისაგან შედგებოდა, რომელთა რიცხვი, მაგალითად, ალბანიაში 25-მდე აღიოდა. ყოველი ტომი, თავის მხრივ, კიდევ წვრილ-წვრილ საზოგადოებრივ ნაწილებად იყო დაყოფილი; სახელდობრ, **თემებად** და თემები-გვარებად. გვარს სხვანაირად „სახლს“ ეძახოდენ. გვარზედ უფრო პატარა სოციალ-ეკონომიკურ (საზოგადოებრივს და სამეურნეო) ერთეულს მაშინდელი საქართველო არ იცნობდა.

გვარი ანუ სახელი წარმოადგენდა, ერთის ჩამომავლობით, საერთო საკუთრებითა და წარმოება-განაწილების საერთო წესით შეეკეთებულს, ძირითადს საზოგადოებრივს ჯგუფს. სამოსახლო, სახნავ-სათესი, საბალახო, სანადირო, სათევზაო ადგილები, მაღნები, ჯოგი და თითქმის ყოველი მოძრავი ქონება მთელი გვარის საკუთრებას წარმოადგენდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქონება მაშინდელ ქართველებს საერთო-გვაროვნული ჰქონდათ და კერძო საკუთრებას (იარაღისა და ტანისამოსის გარდა) არ იცნობდენ. საერთო-გვაროვნული იყო აგრეთვე წარმოებისა და განაწილების წესიც: ამ საქმის მომწერიგებლად ითვლებოდა მთელი გვარის უუხუცესი მამაკაცი, რომელსაც მამასახლისი ერქვა. მთელს თემში ერთი რომელიმე უძლიერესი ვეარი დანარჩენ გვარებს ხელმძღვანელობას უწევდა და ამ გვარის მამასახლისი იმავე დროს თემის მამასახლისადაც ირიცხებოდა. მის ხელში იყო ისეთი საქმეები, რომლებიც მთელ თემს შეეხებოდა. ფარნავაზ I-ელის შემდეგ თემის მამასახლისების შეთვალყურედ, როგორც ჩანს, ერისთავები დაუყენებიათ. ერისთავები სამხედრო და სამოქალაქო უფლებებით იყვნენ შემოსილი და, რამოდენადმე, უძველესი დროის „ტომის მამასახლისთა“ ადგილი უნდა დაეჭიროსთ. ამათ გარდა ყოველ სამეფოში იყო თითო ისეთი გავლენიანი გვარი, რომლიდანაც მეფეს ირჩევდენ.

ამგვარად: სამეფო, ტომი, თემი და გვარი; მეფე, ერისთავი, თემის მამასიხლისი დი გვარის მამასახლისი, — აი რა ელემენტებისაგან შედგებოდა ჩვენი ხალხის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სხეული და მართველობა მისი ისტორიის მეორე პერიოდში.

**2. გვართა სხვა-და-სხვაობა.** მეორე პერიოდის პირველ ნახევარში გვარი ანუ სახელი ყოველ სამეფოში ოთხნაირი იყო: სამეფო, სასულიერო, სამეფის-მონო და თავისუფალი.

**ა) სამეფო სახლი.** სამეფო სახლად ის გვარი ითვლებოდა, რომლიდანაც მეფები გამოდიოდენ. საქრისტიანო წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ბერძენ ისტორიკოსთა მოწმობით, საქართველოში მეფედ სამეფო გვარის უუხუცესს წევრს და წინანდელი მეფის უახლოეს ნათესავს ირჩევდენ. მეფე იმავე დროს თავისი გვარის მამასახლისიც იყო. შემდეგში კი ეს წესი თანდათან შეიცვალა და მეფედ პირდაპირ მეფის შვილი დგებოდა, თუნდაც თავისი გვარის უუხუცესი წევრიც არ ყოფილიყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ პერიოდის მეორე ნახევარში საქართველოს ტახტის მემკვიდრეობა პირდაპირს ხაზე მოეწყო \*). — მეფე იყო უუმაღლესი მბრძანებელი, რაც იმ დროს კანონდებელსაც ნიშნავდა, მსაჯული და მხედართ-მთავარი. ომში ხშირად თვითონაც უბრალო მხედარივით იბრძოდა. მაგრამ საკუთრივ ომისა და მართლ-მსაჯულობისათვას მეფეს თანაშემწეო ჰყავდა. რომელსაც მეფის შემდეგ მთელ სახელმწიფოში პირველი ადგილი ეჭირა. იგი ითვლებოდა მეფის მეორე პირად, იმავე სამეფო „სახლის“ წევრთაგან ირჩეოდა, მშვიდობიანობის დროს მეფეს სამართლის წარმოებაში ეხმარებოდა და ომის დროს ლაშქარს წინამძღვრობ-

\*) კოლხიდაში კი ზოგჯერ ეს წესიც არა სრულდებოდა, რადგან იქ ხშირად რომაელები ნიშნავდენ მეფეებს.

და.—ზოგიერთი ტომი თითქმის დამოუკიდებელი იყო მეფეზე, და ამ შემთხვევაში მთელ ტომს სათვმო ან საგვარო მამასახლისთა კრებული ანუ საბჭო განავებდა. სეანეთში, მაგალითად, ამგვარი საბჭო 300 წევრისაგან შესდგებოდა. ეს საბჭო განავებდა მთელი სვანეთის საშინაო საქმეებს და მის ურთიერთობას გარეშე მეზობლებთან.

ბ) **სასულიერო ანუ სამვლდელო გვარები.** ჩვენი ისტორიის მეორე პერიოდში ქართველი სამლვდელოება არგვარი იყო: მნათობთა-მსახური და ცუცხლის-მსახური, რაღან, როგორც ქვემოდ ვნახავთ, სარწმუნოებაც უმთავრესად ორგვარი იყო. პირველს ეკუთვნოდენ „მემარგენი“, ე. ი. ვარსკვლავთმრიცხველნი, ხოლო მეორეს „მოგვები“. ერთსაც და მეორესაც ხალხი „ხუცებს“ უწოდებდა. ხუცების თანამდებობა მემკეიდრეობით არმოდენსამე გვარს ანუ „სახლის“ ჰქონდა მითვისებული. საკუთრივ სარწმუნოებრივ სამსახურს გარდა, რაზედაც შემდეგს თავში გვექნება საუბარი, მაშინდელი სამლვდელოება სახელმწიფო სამსახურსაც ასრულებდა; სახელდობრ, მოვალე იყო მეზობელ ერებთან კეთილგანწყობილებაზე ეზრუნა და ზავისა და ხელშეკრულობის მოწყობაში მონაწილეობა მიეღო.

როგორც სამეფო, ისე სამლვდელო გვართა რიცხვი საქართველოში ძლიერ ცოტა იყო.

გ) **მეფის მონები, ანუ „მდაბიო ხალხი“.** ცოტა იყო, აგრეთვე, მეფის მონათა გვარებიც. ეს გვარები შეადგენდენ სამეფო „სახლის“ საკუთრებას, მის მიწაზე ცხოვრობდენ და მეფის საგვარეულოს შრომით ემსახურებოდენ. მართალია, ეს ჯგუფი „მონებად“ იწოდებოდა, მაგრამ არავის უფლება არა ჰქონდა, რომელიმე მათგანი გაეყიდა, გაეტა ან გაეცვალა იმ მამულის განშორებით, რომელზედაც ეს მონები ცხოვრობდენ; არც მცირე რამ დანაშაულისათვის შეიძლებოდა მათი სიკვდილით დასჯა და სხვ.—როგორც უცხოეთის

მწერლები მოწმობენ, ასეთი „მონები“ ალბანიაში  
სამღვდელოებასაც ჰყოლია.

(დ) **თავისუფალი ერი.** ქართველი ერის ყველაზე  
უძრავლეს ნაწილს „თავისუფალი გვარები“ შეადგენ-  
დენ, რომელნიც მშეიღობიანობის დროს შინ მუშა-  
ობდენ, ომის დროს კი იარაღს ისხამდენ და მტერს  
ებრძოდენ. საქართველოს ისტორიის შეორე პერიოდ-  
ში, თითქმის მე-II-ე საუკუნემდე ქრ. შემდეგ, თავისუ-  
ფალ გვართა შორის სოციალური თანასწორობა სუ-  
ფევდა. მე-II-ე საუკუნიდან კი ზოგიერთმა დიდმა  
(რიცხვმრავალმა) და შეძლებულმა გვარმა თან და თან  
სამეფოს მართველობაში მეტი ძალა და გავლენა მოიპო-  
ვა: სამსახურით დაწინაურდა და, სუსტ გვარებთან შედა-  
რებით, ერის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკირა.  
ასე წამმოდგა „დიდი“ და „მცირე“, „წარჩინებული“ და  
„უჩინო“ გვარები“. დიდისა და წარჩინებული გვარის  
წევრებს „გვაროვანი“ ანუ „აზნაური“ დაერქვათ, ხო-  
ლო მცირესა და უჩინო გვარის წევრებს — „უაზნო“  
ანუ „უგვარო“ ეწოდათ, რადგან სიტყვა „აზნი“ ქარ-  
თულში სპარსულიდან შემოსული და ნიშნავს „გვარს“.  
შემდეგს პერიოდში ამ უთანასწორობაში უფრო იმატა და  
ნამდვილის ბატონყმობას მოუმზადა ნიაღავი.

**3. სახელმწიფო ხარჯი და ლაშქრობის წესი.**  
მას შემდეგ, რაც აზომა და ფარნავაზმა თავის სამეფოს  
შესაფერი წეს-რიგი მისცეს, ყოველი გვარი, თემი და  
ტომი ვალდებული გახდა სახელმწიფოსათვის განსაზ-  
ღვრული სამსახური ეწია. ეს სამსახური ორგვარი იყო:  
**ხარჯი და სამხედრო ბეგარა.** ხარჯს აღგილობრივ  
ერისთავები ჰკრეფდენ, ერთ ნაწილს თვითონ იტო-  
ვებდენ, მეორეს მეფის ხაზინაში გზავნიდენ. ამის მი-  
ხედვით სახელმწიფო ხარჯიც ორგვარი იყო: სამეფო  
და საერისთავო.

მეორე ვალდებულება, რომელსაც ხალხი სახელ-  
მწიფოს სასარგებლოდ ეწეოდა, იყო სამხედრო ბეგარა.

აქ პირველად უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვეხებით, საქართველოში სამუდამო რეგულიარული ჯარი არ არსებობდა; არც ისეთი წოდება მოიპოვებოდა. რომელსაც მარტო სალაშქრო საქმე სდებოდა ბეგრად. არამედ ერთი და იგივე უდიდესი ნაწილი ჩვენის ერისა, სახელდობრ მეოთხე ჯგუფი (ანუ თავისუფალი გვარები) შევიღობიანობის დროს მიწას მუშაობდა და საზოგადოდ მეურნეობდა, ხოლო მტრის შემოსევის დროს იარაღს ისხამდა და საომრად გადიოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არსებობდა მხედრობა, არამედ თვითონ ერი იქცეოდა მხედრობად, როცა საჭიროება მოითხოვდა. ამიტომაც ძველად ქართულს ენაზედ ჯარი და „ერი“ ერთმანეთს უდრიდა. აქედან ჯარის უფროსებსაც ერისთავები ერქვათ. ამ ერისთავებს გამოჰყავდათ „ერი“ თავისი საერისთაოდან, ხოლო მთელი სამეფოს ლაშქრის მთავარსარდლობა მეფის მეორე პირს ეკუთვნოდა, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმავე სამეფო გვარეულობიდან ირჩევდენ.

მშინდელი ქართველების **საჭურველს** შეადგენდა: მშევლდ-ისარი, ფარი (ხისა ტყავგადაკრული ან ლითონისა), შუბი, სატევარი და მახვილი (ხმალი). თავზე ომის დროს იხურავდნ მუშარაღს, ხოლო ტანზედ იცვამდენ ჯავშანს. ომში ქართველები სალაშქრო სიმღერით გადიოდენ.

გჩნდებოდა საიდანმე თუ არა მტერი, ერი იმ წუთსკე მზადებას იწყებდა: ცოლშეიღლა და მსხვილ-ფეხ საქონელს მიუდგომელი ადგილისაკენ გახიზნავ-დენ, მტრის შემოსავალ გზას ქვებითა და ხეებით ჩა-ხერგავდენ, რომ მტრის ჯარისთვის შემოსვლა გაედნე-ლებიათ. ბრძოლა ზოგჯერ „ბუმბერაზობით“ ანუ ფალავნების შეჯახებით იწყებოდა; ზოგჯერ კი ქართველ ჯარს პირდაპირი იერიში მიჰქონდა მტრის ბანაკ-ზე; ზოგჯერაც პარტიზანული თავდასხმა (თარეშობა)

იკოდნენ. ომში ქართველები გადიოდენ როგორც ცხე-ნით, ისე ქვევითად. ჩვეულებრივ ქვევითი ჯარი უფრო ზეტი იყო ხოლმე ცხენოსანზე.

თუ, ვინცობაა, მტერი სახიზნავ აღგილებამდე მიაწევდა, და ქართველებს თავის გადარჩენის იმედი გადაუწყდებოდათ, ზოგჯერ ქართველი ქალები გასა-ოცარს თავისანწირულობას იჩენდენ: რომ მტერს ტყვედ არ ჩავარდნოდენ ხელში, ჯერ თავის შვილებს ისრო-დენ უფსკრულისკენ და მერე თვითონაც თან მიჰყვე-ბოდენ.

ასეთი იყო ლაშქრობის წესი.

**4. მეზობელ სახელმწიფოებთან განწყობილე-ბა:** ზავი, კავშირი და ვასსალობა. ომის გათავების შემდეგ, ჩვეულებრივ, ზავის ანუ მშვიდობიანობის შესახებ იწყებოდა მოლაპარაკება, რომელშიაც დიდ მონაწილეობას იღებდა სამღვდელოება. ზავის ჩამოგდე-ბის დროს, ზოგჯერ, მოწინააღმდეგები რამე პირო-ბას ანუ „ხელშეკრულობასა“ სდებდენ. ხელშეკრუ-ლობა ასე ხდებოდა: ორივე მხრიდან გამოდიოდენ მთავარ-სარდლები ანუ მეფეები; მათ თან სასულიერო პირიც გამოყვებოდა. როცა მეფეები ერთმანეთს მიუ-ახლოდებოდენ, სასულიერო პირი მათს ცერებს შეა-ერთებდა და მაგრაც (ძუით) შეუკრავდა; როცა ცე-რებში სისხლი შედგებოდა, იგივე პირი ცერებს ოდნავ უჩხველეტდა, რის შემდეგაც მეფეები ერთმანეთს სისხლს ამოსწოდენ ცერებიდან. ეს წესი ითვლებოდა ყოვე-ლი პირობის დამამტკიცებელ საბუთად და მისი და-მარლეველი მხარე პირდაპირ ღმერთთან იყო პასუხის-მგებელი.

ხან და ხან მეზობელი სახელმწიფოები დროებით ერთდებოდენ რაიმე საზოგადო მიზნით, მაგალითად, საერთო ძლიერი მტრის დასამარცხებლად. ასეთს დროებითს ერთობას ეწოდებოდა კოალიცია სხუ კავ-შირი. სწორედ ამგვარი კავშირი გაიმართა, როგორც

ვიცით, რომაელების წინააღმდეგ, მიტრიდატ დიდის თაოსნობით I-ელ საუკუნეში ქრ. წინ. ამ კავშირში მონაწილეობას იღებდენ: პონტისა, სომხეთისა, ალბანიისა, იბერიისა და კოლხიდის მეფეები. უფრო ხშირად კი იბერიელები და ალბანელები ერთდებოდენ ხოლმე საზოგადო მტრის წინააღმდეგ. კავშირის წევრნი უმეტეს შემთხვევაში სწორუფლებიანი სახელმწიფოები იყვნენ: იურიდიულად მათ შორის არავითარი უთანასწორობა არ არსებობდა; ამიტომ მათს კავშირსაც „სამეგობრო კავშირი“ ეწოდებოდა, თუმცა ცხოვრებაში, ფაქტიურად, ეს სამეგობრო კავშირი ხანდა ხან „ბატონყმობად“ იქცეოდა ხოლმე. უუძლიერესი მხარე თან და თან მეტს გავლენას პოულობდა სუსტი მეგობრის შინაურ საქმეებში და მაშინ „კავშირი“ ეგრეთ წოდებულ „ვასსალობად“ იქცეოდა. ამის საუცხოვო მაგალითს იბერიისა და რომი ურთიერთობა წარმოადგენს.

როგორც ვიცით, 65 წლიდან ქრ. წინ მესამე საუკუნის ბოლო წლებამდე ქრ. შემდეგ (ნიზიბინის ხელშეკრულობამდე 298 წ.) რომსა და იბერიის შორის მხოლოდ „სამეგობრო კავშირი“ არსებობდა: რომის იმპერატორები იბერიის მეფეებს „რომის ერის მეგობარს“ ეძახოდნ. ნიზიბინის ხელშეკრულობით კი ეს მეგობრობა უფროს-უმცროსობად, ბატონ-ყმობად ანუ ვასსალობად გადაიქცა: იბერიის მეფეები ვალდებული გახდენ სამეფო ნიშნები რომის იმპერატორებისაგან მიეღოთ: რომის იმპერატორებმა მოიპოვეს უფლება იბერიის მეფეთა დამტკიცებისა. ამგვარივე განწყობილება უკვე დიდი ხანია არსებობდა კოლხიდასა და რომს შორის. როგორც კოლხიდის, ისე იბერიის მეფეები ვალდებული იყვნენ, რომისათვის ჯარი ეძლიათ, როცა საქიროება მოითხოვდა, რომაელთა ლაშქრისათვის საზრდო მიეწოდებიათ და იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები გა-

რეშე მტერთა შემოსევისაგან დაეცათ. ამით განი-  
საზღვრებოდა კოლხიდისა და იბერიის ვასსალური  
დამოკიდებულება რომის იმპერიაზე. შეფეთა დანიშვნის  
ან დამტკიცების გარდა, იმპერატორები ამ ქვეყნების  
შინაურს საქმეებში არ ერეოდენ. ამგვარმა ურთიერ-  
თობამ შემდეგს პერიოდშიაც დიღხანს გასტანა, რაზე-  
დაც თავის დროს გვექნება საუბარი.

კითხვები გასამეორებლად. რამდენ სამწოდ იყო გა-  
ყოფილი ქართველების მიწა-წყალი? თვითოვეული სამეფო ო.ა და  
რა ნაწილებისაგან შედგებოდა? რამდენგვარი იყო „მამასახლი-  
სი“? ეინ იყვნენ „ერისთავები“? რა უფლება ჰქონდა „მეფეს“?

რამდენნაირი იყო „გვარი“? რა წესით იქტერდენ მეფეები  
ტახტს? როგორი გამგეობა იყო სენატში?—რას წარმოადგენდა  
სამღვდლო გვარი? რას წარმოადგენდა „მეფის მონათა გვარი“  
ანუ „მდაბიო ხალხი“?—ვის ეწოდებოდა „თავისუფალი ერი“?  
როდის იჩინა ამ უკანასკნელში თავი „აზნაურობამ“? რას ნიშ-  
ნავს ეს სიტყვა და როგორ წარმოდგა საქართველოში ეს  
წოდება?

რამდენგვარი იყო სახელმწიფო ხარჯი? როგორის წესით  
იყვებებოდა იგი?—ასწერეთ ლაშქრობის წესი ძველ საქართვე-  
ლოში. ჩამოთვალეთ მაშინდელი საჭურველი

როგორი იყო ზავი და ხელშეკრულობა ძველ საქართვე-  
ლოში? რას ეძახოდენ „სამეგობრო კავშირს“? რას წარმოადგენ-  
და „ვასსალობა“? უჩვენეთ ამათი მაგალითები რომისა და სა-  
ქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან.

## V

### კულტურული ვითარება.

1. **მეურნეობა, დაბები და ციხე-ქალაქები.**  
ქართველების მეურნეობა ამ პერიოდში და დიღხანს  
მას შემდეგაც უმთავრესად შოვნით-ნატურალური  
იყო. მეურნეობის უმთავრეს დარგს აღმანიაში მეჯო-  
გეობა შეადგენდა, იბერიაში—მიწის-მუშაობა, კოლ-  
ხიდაში—ზოგან მიწის-მუშაობა, ზოგანაც სელის-ქსო-  
ვა და სამთა-მაღნო წარმოება. აღმანიაში ბუნება

მევენახობასაც უწყობდა ხელს (როგორც დღეს კა-  
ხეთში), მაგრამ იქ ვაზი უფრო ველურად და მოუვ-  
ლელად იზრდებოდა, ვინემ კაცის ხელის მზრუნველო-  
ბის ქვეშ: ხუთ წელიწადში ერთხელაც არ გაისხვლო-  
და, თუმცა მოსავალი საუცხოვო იცოდა. აღბანის  
ტყეებში გარეული ყურძენიც ბლომად მოიპოვებოდა.  
ამას გარდა, თითქმის ყველა ქართველი ტომი მისდევ-  
და **ნადირობა-მეთევზეობას** და **მეფუტკრეობას**.

მთელი იბერია „დაბებითა“ და ციხე-ქალაქებით  
იყო დაფარული. მაშინდელი „დაბა“ იმასვე ნიშნავდა,  
რასაც ახლა „სოფელს“ ვეძახით, დასახლებულს და  
შემუშავებულ ადგილს, წინააღმდეგ დაუსახლებელის  
და შეუმუშავებელი ადგილისა, რომელსაც ქართულად  
„უ-დაბნო“ ეწოდება. დაბები უგალავნო (კედელშემო-  
უვლებელი) იყო და უმთავრესად ვაკე-დაბლობებში და  
ხეობებში შენდებოდა, ქალაქი კი უსათუოდ ციხე-  
გალავნინი იყო და ჩვეულებრივ ისეთს ადგილებში  
შენდებოდა, რომ ერთის ან ორი მხრით საკმაოდ მა-  
ლალი ბუნებრივი სიმაგრე (მთა ან კლდე) ჰქონდა.  
ამგვარს ადგილებში იყო, მაგალითად, გამაგრებული  
იბერიის ქალაქები: **არმაზი და წიწამური.** არმაზ-ქა-  
ლაქის შუაგული „შიდა-ციხედ“ იწოდებოდა, რადგან  
საკუთარი კედელი ჰქონდა შემოვლებული, სადაც მე-  
ფის სასახლე და უმთავრესი შენობები იყო. საზოგა-  
დოდ, იბერიის ქალაქებში შენობებს ქვისას აგებდენ  
და ზემოდანაც კრამიტით ხურავდენ. ბლომად მოიპო-  
ვებოდა ქალაქებში ლაბაზალ მოკირწყლული მოედნები  
და ბაზრები, სადაც ხალხი იკრიბებოდა ან **ალებ-მიცე-  
მობა** სწარმოებდა,

ალებმიცემობის მხრივ განსაკუთრებით კოლხი-  
დის ქალაქები იყო ცნობილი. აქ მეტად საინტერესო  
ადგილს წარმოადგენდა ცხუმი ანუ **დიოსკურია**, სადაც  
70-მდე სხვა და სხვა ხალხი იყრიდა თავს სავაჭრო  
მიზნით. კოლხიდაში სხვა ქალაქებიც იყო: **ბიჭვინთა**

ანუ პიტიუსი, ფაზისი ანუ ფოთი, „კიტაისი“ ანუ ქუთაისი და სხვანი. აღებ-მიცემობის გარდა, ფოთი ცნობილი იყო როგორც მიუდგომელი სიმაგრე, სამ-ხედრო პორტი. მას სამი მხრით წყალი იფარავდა (შა-ვი ზღვა, რიონი და პალიასტომის ტბა), თანაც გარს მაღალი კედელი ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც ირგვლივ სამი წყება ღრმათხრილი მისდევდა. 135 წლის მახლობლად ქჩ. შემდეგ ამ ციხის კედლებზე საომარი მანქანები დადგეს და მცველად 400 რჩეუ-ლი ჯარისკაცი ჩააყენეს.

ამ პერიოდის დამლევს ქალაქები აღმანიშვიაც მოიპოვებოდა, როგორც მაგალითად: **თელაიბა, ხაბა-ლა, თიავნა, თილბისი** და სხვანი, რომელნიც ძლიერ მოგვაგონებენ ჩვენი დროის ქალაქების და დაბების (თელავი, ქაბალი, თიანეთი, თფილისი) სახელებს; მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ეს ქალაქები გაცილებით უფრო აღმოსავლეთისაკენ მდებრეობდა (თითქმის კასპის ზღვის მახლობლად), ვინემ დღევანდელი თელავი, თფილისი და თიანეთი მდებარეობს. ჩანს, როცა ქართველ-ალბანელებს შემდეგს პერიოდში თავისი წინანდელი მიწა-წყალი დაუტოვებიათ და ეხლანდელ თფილისის გუბერნიაში გადმოსახლებულან, ნაცნობი გეოგრაფიული სახელები თან წამოულიათ და ახალ მიწა-წყალზე გაშენებულ დაბა-ქალაქებისათვის გადმოუკიათ.

**2. გზები და მისვლა-მოსვლა.** საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს შორის მისვლა-მოსვლა და საქონლის გადაზიდვა წყლითა და ხმელეთის გზით წარმოებდა. უმთავრეს გზას მტკვარი და რიონი წარმოადგენდა. ამავე გზით უცხო ქვეყნის საქონელიც შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნიდან გაპირდათ უცხოეთში. უუძველესი დროიდან ინდოეთის საქონელი ჯერ ოქსუს-იაქსარტით (სირდარია და ამუ-დარია) გადმოქონდათ კასპის ზღვამდე, შემდეგ

յանուն է Ցղვոր և թիւքրութ Տաղամամլց, մերը սայհրմց  
գիտ հոկուլա-պարունակութ վեսարտազամլց, սահապ սայմա-  
լուն սայպոծո լուս Ցույց Շորաპանո (սահապանո) օդցա \*),  
ծոլուն մը. պարունակութ և հոռոնութ մազ Ցղվամլց,  
սահապանու պարունակութ շուշունը (\*\*). առ Եթորեց ամ  
ջուզ ՏաղրտաՇորապանուն ցիւնց ուսու սամո սայպուրագլցնց  
ձունքու: առմաժ-կալայո, Եթոր-Ըստակցլցնցնու Շորա-  
պանո և ցանչուն անյ ցոռու. մերուց ՏաղրտաՇորապանուն  
ցիւն մազց առմաժնց ցագուու, մեռունց սամերցուուան  
հիւլունցուուսայցն. ոչո Շեթուուուու սումենուուան (մանու-  
ցնցնցու եցունու և թիւքրու) և մոյեմարտեցնցնու առա-  
ցուն եցունու քարուալուն եցունուսայցն. այ ցիւն ՔոՇյրուու  
և լուսու ուսու ցամացրցնցնու. հոմեցլ ութուրույուուտա  
մովմունու, յս ՔոՇյարու հյունուն սալու-Շեթուրույու-  
լուն սակար-մածարու եցլցնուսայցն ուսու Շեյրուու և լո-  
ւեստան յրտաւ, հոմեցլսապ Կայմանու հյմեցու, հյուն-  
կցյանու հիւլունցուուսայցն այլուրու սալուեցնուսայցն ույա-  
հացաւ.

მისვლა-მოსვლა და გადაზიდვა, როგორც ჩანს,  
ურმით, ცხენითა და ნავებით წარმოებდა.

**3. კერძო ცხოვრება, ზნეობა და სწავლა-განათლება.** ოფიციალურ წინა თავში შევნიშნეთ, საქართველოს ძველი ისტორია სოციალ-ეკონომიკურად „გვარზე“ უმცირეს ჯვეუფს არ იყნობდა; მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომოვ იმ დროს ქართველებში არავითარი „ოჯახი“ არ ყოფილიყოს: ოჯახი, როგორც ზნეობრივ-ბილოგიური კავშირი, მაშინაც არსებობდა, მაგრამ სოციალ-უფლებრივის მხრით იგი მხოლოდ გვარის განუყრელ ნაწილს შეადგენდა. ოჯახებს შეეძლო

\*) ბერძნის მწერალთა მოწმობით, ზორაპანი იმდენად ვრცელი სიმაგრე იყო, რომ მთელი ქალაქის მცხოვრებთ დინოშვრა:

\*\*) რიონის პირად მისვლა-მოსვლა ხმელეთითაც წარმოებდა, რისთვისაც ამ მდინარეზე 120-მლი ხილი იყო გამართული.

ლოთ, რასაკვირველია, ცალკე ბინებშიაც ეცხოვრათ, მაგრამ იურილიულ-ეკონომიურად იგინი მაინც გვართან იყვნენ მტკიცედ შეკავშირებულნი და გვარის გარეშე სოციალური შრომა და უფლებრივი არსებობა არ შეეძლოთ.

უფრო ხშირად რამდენიმე ოჯახი ერთ ჭერს ქვეშ ცხოვრობდა. საცხოვრებელ ბინებს იბერიაში უმთავრესად აგურისა და ხისა აშენებდენ, როგორც უცხოელები მოწმობდნ, ლამაზად და ხუროთ-მოძღვრების მოთხოვნილებათა თანახმად. კოლხიდაში კი ხის სახლი უფრო ხშირი იყო, ალაგ-ალაგ (ჭაობიან დაბლობებში) მაღალ ბოძებზე შედგმულს წნევლის ფარხებსაც შეხვდებოდით. ხის სახლები ორ-ორ-სართულიანი იცოდნენ: ქვედა სართულში ჯალაბობა ცხოვრობდა, ზედაში ხილს და სანოვაგეს ინახავდენ. — მარტივი იყო ქართველების ტანსაცმელიც: იბერიელ-ალბანელები თავზე პატარა ნაბდის ქუდებს იხურავდენ, ტანზე გრძელ-სახელოებიანი კაბა (ჩიხა) ეცვათ და ფეხზე თბილ ფეხსაცმელს ატარებდენ. კოლხიდაში უფრო სელის-ქსოვილის ტანსაცმელი იყო გავრცელებული. სელის მსხვილი ძაფისაგან კოლხიდელები საომარს „თოკჯავშანსაც“ კი იკეთებდენ, რომელიც ჯაჭვით პერანგის მაგიერობას ეწეოდა.

რადგან „გვაროვნულ“ წყობილებაში გვარის უფრო-სად ჩვეულებრივ უუხუცესი მამა-კაცი დგებოდა, ამიტომ ძველ საქართველოში მოხუცებულებს დისი პატივით ეპურობოდენ. საზოგადოდ უფროსთადმი პატივისცემა მაშინდელ ქართველებში ფრიად გავრცელებული საონოება იყო. — გვარის წევრები სისხლის ნათესაობით იყვნენ ერთ-მანეთთან შეკავშირებულნი და ამიტომ თვითოეული გვარი-შვილის შეურაცყოფა მთელი გვარის შეურაცყოფა იყო, აგრეთვე მთელი გვარის სახელი ან შეურაცყოფა თვითოეული მისი წევრის სახელად ან შეურაცყოფად ითვლებოდა. გვარის ყოველი წევრი მოვალე იყო თა-

ვისი მოგვარის სიცოცხლე და ლირსება დაეცა, შეუ-  
რაცხმყოფელისაგან შური ეძიებია, „სისხლი აელო“.  
აქედან წარმოდგა „სისხლის აღება“ ანუ საგვარეუ-  
ლო შურის ძიება, რომელიც დღემდეც კი დარჩენი-  
ლია ჩვენს მთიელებში.—მართალია, გვარის წევრები  
ერთმენეთის ნათესავებად ითვლებოდენ, მაგრამ ეს არ  
უშლიდა გვარის რომელსამე წევრს, იმავე გვარის წევ-  
რი შეერთო. ქორწინება მხოლოდ მშობელ-შვილებსა  
და დაძმათ შორის ყოფილა აკრძალული; ბიძაშვი-  
ლებს შორის ქორწინება კი იშვიათს მოვლენას არ  
შეადგენდა. მაგალითად, რაღამისტს ცოლად ჰყავდა  
თავისი ბიძაშვილი ზენობია, მიტრადატის ქალი. ასეთი  
იყო ქართველების ზნეობა.

რაც შეეხება ქართველ ტომთა გონებრივ მდგო-  
მარეობას, ჩვენ ვიკით რომ წერა-კითხვა მათ შორის  
უკვე მეფობის დაარსებამდე იყო ცნობილი. ფარნავაზ  
I-ელმა მხოლოდ ხელი შეუწყო ქართული „მწიგნობ-  
რობის“ განვითარებასა და გავრცელებას. მაშინდელი  
ქართული ანბანი იყო „ხუცური“ (ასო-მთავრული),  
და, როგორც სახელი გვიჩვენებს, უმთავრესად სამღვ-  
დელოებაში ყოფილა გავრცელებული. ამიტომ უნდა  
ვიფიქროთ, რომ ამ მწიგნობრობის შინაარსაც უმთავ-  
რესად სარწმუნოებრივი ხასიათისა იქნებოდა. შეცდომა  
იქნება ვიფიქროთ, ვითომეც გონებრივად ყველა ქარ-  
თველი ტომი ერთს დონეზე მდგარიყოს. პირიქით,  
ალბანელები პირველ საუკუნეშიაც კი ქრ. შემდეგ  
მეტად ჩამორჩენილს ტომებს წარმოადგენდენ: მაგალი-  
თად, ასზე ზევით თვლაც კი არ იცოდენ. საეჭვოა,  
ამგვარს ხალხში მწიგნობრობა ყოფილიყოს გავრცე-  
ლებული. კოლხიდაში უფრო ბერძნული წერა-კითხვა  
იყო მიღებული, რამაც მესამე პერიოდშიაც კარგა  
დიღხანს გასტანა. ამგვარად, ნაციონალური „მწიგნო-  
ბრობა“ ქართველთა შორის მეორე პერიოდში მარტო  
იბერიის ტომებს მოეპოებოდათ. სამწუხაროდ, იმ მწიგ-

ნობრობის არც ერთს ნაშთს (თხზულებას) ჩვენს დრომდე არ მოუწევია.

4. **სარწმუნოება.** როგორც ვიცით, ქართველობის უუძველესი სარწმუნოება **მნათობთა თაყვანისცემა** იყო. რომელსაც სპარსთა ბატონობის დროს არმაზისა და **ცეცხლის თაყვანისცემა** ამოუდგა გვერდში. მნათობთა თაყვანისცემა არც ამ პერიოდში შემწყდარა. ბერძნის ისტორიკოსთა მოწმობით ქართველები კვლავ განაგრძობდენ **ცისა, მზისა, მთვარისა და დედამიწის თაყვანისცემას**. მთვარეს, როგორც მეჯოგე ხალხი, ალბანელი ტომები უფრო მეტ პატივსა სცემდენ. მთვარის სახელობაზე მათ იბერიის საზღვარზე ტაძარიც კი ჰქონდათ აგებული, სადაც რევ-მართალის დრომდე ადამიანის მსხვერპლად წირვა წარმოებდა.

არმაზის ქალაქში ირანულ ღმერთს არმაზისაც საკუთარი ტაძარი ჰქონდა აშენებული, რომელიც უსახურავო შენობას წარმოადგინდა, სადაც შუაგულში **საცეცხლე** იდგა და მუდამ ცეცხლი ენთო. ყოველ დღე შედიოდენ „მოგვები“ ამ ტაძარში და მთელი საათობით ცეცხლის წინ საიდუმლო საგალობლებს გალობდენ; თანაც ცდილობდენ, ცეცხლს მათთი სუნთქვა არ მიჰკარებოდა, რათა მისი სიწმინდე არ შეელახა; ამიტომ პირისახეზე ნიკაპამდე, გალობის დროს, მუდამ პირბადე ჰქონდათ ჩამოფარებული. ცეცხლს მსხვერპლსაც სწირავდენ. აირჩევდენ რომელსამე წმინდა ადგილს, უმეტესად მაღლობებს, სადაც ადამიანის ფეხი იშვიათად მოხვდებოდა. მიიყვანდენ სამსხვერპლო ცხოველს (ზვარაქს), ანთებული ცეცხლის შორი-ახლოს დაჰკლავდენ, გაატყავებდენ და გამოშიგნავდენ. მოგვი აიღებდა ზვარაქის კუჭის ქონს; ზედ ზეთს დაასხამდა და ცეცხლს უკიდებდა; დანარჩენ ხორცს კი ნაჭრებად დასჭრიდა და იქ დამსწრეებს ურიგებდა. ასეთი იყო მსხვერპლის წირვა.

ერთი საინტერესო ტაძარი მესხების მხარეშიაც იყო აშენებული კოლხიდისა და სომხეთის საზღვრებზე. ამ ტაძარს ქადაგიც ჰყავდა და ერთ დროს სიმღიღით იყო განთქმული, მაგრამ შემდეგში ეს სიმღიღე თან და თან ხელიდან გამოიყალა.

ფოთის (ფაზისის) მახლობლად, ბერძნის მოახალ-შენებს ომის ღმერთის სახელობაზედაც ჰქონდათ ტაძარი აგებული, რაც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მიმღინარე პერიოდში კოლხიდელი ქართველები ბერძნულ-რომაულ კულტსაც უნდა გასცნობოდენ.

ძველ ქართველებს წამდათ საიქო ცხოვრება; სწამდათ, რომ ადამიანს სიკვდილის შემდეგაც იგეთივე მოთხოვნილებანი აქვს, როგორიც სააქო ცხოვრებაში. ამიტომ მიცვალებულს როცა მარხავდენ, თან ჩატან-დენ სამკაულებს, იარალს, ჭურჭელს, ფულებსა და სხვას.

განვლილ პერიოდში ეს ჩვეულება განსაკუთრებული მტკიცედ აღბანიაში იყო დაცული, იბერიასა და კოლხიდაში კი, როგორც ჩანს, ამ ძველ ჩვეულებასთან ერთად, სპარსელების გავლენით, მიცვალებულთა დაუმარხაობაც შემოულიათ: კოლხიდაში მიცვალებულებს ხარის ტყავში ახვევდენ და მაღალ ხეებზე ჰკიდებდენ.

ასეთი იყო ჩვენი წინაპრების წარმართული სარწმუნოება მათი ისტორიის მეორე პერიოდში. როგორც ვიცით, იმავე პერიოდის მეორე ნახევარში, მოციქულების დროიდან, ჩვენი ქვეყანა ქრისტიანობასაც თან და თან გაეცნო. ამ ახალმა მოძღვრებამ საქმიად მოიპოვა მიმღევარნი ქართველთა შორის, თუმცა ოფიციალურად ვერავინ ჰბედავდა, ახალი სარწმუნოება აღეარებია. უველა კი გრძნობდა, რომ ძველმა სარწმუნოებამ თავისი დრო მოსჭამა და ახალი მოძღვრებისათვის უნდა დაეთმო ადგილი, მაგრამ ეს მხოლოდ მესამე პერიოდში მოხდა. მეორე პერიოდის

დამლევს კი, როცა საქართველო რომის იმპერიის სა-  
ვასალოდ გამოაცხადეს (298 წელს), ამას აზრადაც კი  
ვერავინ წარმოიდგენდა, რაღაც სწორედ იმ დროს  
რომის ტახტს ქრისტიანობის მდევნელი დიოკლეტიანე  
განაგებდა. მაგრამ, როცა რომის ტახტზე ქრისტიანო-  
ბის მფარველი იმპერიატორები ავიდენ და ახალი მო-  
ძღვრება სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადეს,  
რომზე დამოკიდებულ სომხეთსა და იბერიაშიაც იგივე  
სარწმუნოება ნებადართულ და სავალდებულო მოძ-  
ღვრებად იქცა. ამგვარად, მეორე პერიოდის დასა-  
სრულს შემზადებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ სა-  
ქართველოში ნიადაგი მოუმზადა ახალი სარწმუნოების  
გამარჯვებას მესამე პერიოდში, რამაც კიდევ უფრო  
გაამწვევა რომისა და სპარსეთის ურთიერთობა, და  
ჩვენი ქვეყანა, სომხეთთან ერთად, მათის პოლიტიკუ-  
რისა და სარწმუნოებრივი განხეთქილების სარმიელად  
გახდა. ასე დამზადდა ჩვენი ისტორიის შემდეგი პე-  
რიოდი ანუ საშუალო ისტორია.

---

**კითხვები გასამეორებლად.** ჩამოთვალეთ მეურნეობის  
უმთავრესი დარგები ძველი საქართველოს სხვა და სხვა ნაწილ-  
ში.—რას ეძახოდნ „დაბას“? რას წარმოადგენდა ქალაქი? და-  
სახელეთ (და ქარტაზედაც უჩვენეთ) მაშინდელი ქალაქები კოლ-  
ხიდასა და იბერიაში. რა ვიცით ალბანიის ქალაქების შესახებ  
და როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ცნობებიდან?

დასახელეთ საქართველოს უმთავრესი საერთაშორისო  
გზები. რით წარმოებდა მიმოსვლა და ტვირთის გადაზიდვა?

როგორი ურთიერთობა იყო „ოჯახსა“ და „გვარს“ შო-  
რი? ასწერეთ ძველი ქართველების საცხოვრებელი ბინები და  
ტანსაცმელი.

რაზედ იყო დამყარებული უფროსთადმი ღრმა პატივის-  
ცემა? რაში მდგომარეობდა „სისხლის აღება“? როგორ ესმოდათ  
ნათესაობა ძველი დროის ქართველებს?

როგორი იყო ქართველ ტომთა გონიერი მდგომარეობა  
აღნიშნულ პერიოდში?

რა და რა ელემენტებისაგან შედგებოდა ქართველების  
წარმართობა განვლილს პერიოდში? რა აზრისა იყვნენ ძველი  
ქართველები საიქიო ცხოვრებაზე.

რა ადგილი დაიჭირა ქრისტიანობამ ამ სარწმუნოებათა  
შორის და როგორს ვითარებას მოუშადა ნიადაგი შემდეგის  
პერიოდისათვის?

---

# დ ა გ ა ტ ე გ ა:

## I. უმთავრესი თარიღები და ფაზები.

### ა) უუძველესი ისტორიიდან:

- 2000 წელს: ქრ. წინ—მიტანების ბრძოლა ბაბილონელებთან.  
1430 „ „ —მიტანების მეფე ოუშრატა ნინევიას იპყრობს.  
1296 „ „ —ხეთასარისა და რამსეს II-ის ხელშეკრულობა.  
1100 „ „ —ნაირი, მესხები და კოლხები პირველად მარცხდებიან ასურეთთან ბრძოლაში.  
857 „ „ —სალმანასარ II იპყრობს ურართუს ძელ სატახტო ქალაქს არზაშეუს.  
837 „ „ —იგივე მეფე ტაბალის ქვეყანას შემოსევა.  
742 „ „ —ურართუს მეფე სარდური II შუამდინარეში ასურეთის მეფეს ებრძვის.  
· 714 „ „ —ტაბალი და ურართუ ასურეთის წინააღმდეგ კავშირს შეადგენენ; მაგრამ ასურეთის მეფე სარგონი ურართუს სატახტო ქალაქს ტუსპას იჭერს, რის გამოც ურართუს მეფე რუსა I თავს იკლავს.  
710—705 „ „ —კაპადოკიასა და ნაირ-ურართუს ნახევრად ველური ინდო-გერმანელი ტომები შემოსევიან.

### ბ. ძველი ისტორიიდან:

- 330 წელს ქრ. წინ—ქართველები სპარსეთისაგან თავისუფლდებიან და მცხეთის მხარეში სამეფოს იარსებენ.  
65 „ „ —პომპეი საქართველოში.

35 წელს ქრ. შემდეგ —იბერიის მეფე მიპრდატ I თავის შვილს  
მიტრიდატს სომხეთში ამეფებს; ხოლო  
მისი მეორე შვილი ფარსმან I იბერიის  
ტახტს იჭერს.

- 138      „      „ —იბერიის მეფე ფარსმან II რომში ადრია-  
ნე იმპერატორისაგან დიდი პატივს იღებს.  
298      „      „ —ნიზიბინის ხელშეკრულობით იბერია რო-  
მის სავასსალო ხდება.

## II არმაზ-მცხეთის მიზანები:

1.	აზო . . . .	330—272	წ. ქრ. წინ.
	ფარნაგაზ I .	272—206	" "
	საურმაგ I .	206—162	" "
	მირვან I . .	162—120	" "
	ფარნაჯომ. .	120—88	" "
	არსოკ . . . .	88—66	" "
	არტაგ . . . .	66—64	" "
	ფარნაეგზ II .	64—32	" "
	მირვან II . .	32—22	" "
10.	არიკ . . . .	22—1	" "
	ადეკუი . . . .	1—30	წ. ქრ. შემდეგ.
	მიპრდატ I .	30—35	" "
	ფარსმან I .	35—70	" "
	მიპრდატ II .	70—96	" "
	ამზასპ I . .	96—116	" "
	ფარსმან II .	116—140	" "
	როკ . . . .	140—146	" "
	ღადამ . . . .	146—	" "
	ფარსმან III .	146—164	" "
20.	ამზასპ II . .	164—182	" "
	რევ-მართალი	182—190	" "
	ვაჩე . . . .	190—208	" "
	ბაკურ I . . .	208—216	" "
	მიპრდატ III .	216—224	" "
	ასფაგურ . . .	224—265	" "
26.	ლევ . . . .	265—300	" "



# ს პ რ ჩ ე ვ ი.

წინასიტყვაობა

გვერდი 3

## შ ვ ს ა ვ ა ლ ი:

I. წინასწარი ცნობები:	1. ქართული ენა. 2. ქართველები. 3. საქართველო. 4. საქართველოს ისტორია. 5. საქართველოს ისტორიის ნაწილები. —კითხვები გასამეორებლად . . . . .	6—9
II. საქართველოს ისტორიის წყაროები:	1. ნივთიერი ნაშთები. 2. ზეპირ - სიტყვაობა. 3. მწერლობა: ქართული და არა-ქართული.—კითხვე- ბი გასამეორებლად . . . . .	9—17

## უცდველესი ისტორია:

I. პერიოდის განსაზღვრა და ქართველე- ბის მიწა-წყალი ამ პერიოდში.—კითხვები გასა- მეორებლად . . . . .	—18
II. ქართველები ქალდუსა და შუამდინა- რები:	1. ქართველების პირვანდელი სამშობლო. 2. ქართველები შუამდინარები; მიტანების სახელ- მწიფო. 3. მაშინდელი კულტურა და სარწმუნოე- ბა.—კითხვები გასამეორებლად . . . . .
III. დასავლეთის ქართველები მე-14—8 საუკუნეში ქრ. წინ:	1. ხეთები. 2. მუსკები ანუ მესხები. 3. კასკები ანუ კოლხები. 4. ტაბალნი ანუ ტუბალნი.—კითხვები გასამეორებლად . . . . .
IV. აღმოსავლეთის ქართველები მე-11 —7 საუკუნეში ქრ. წინ:	1. ნაირი. 2. ურართუ.

—კითხვები გასამეორებლად. . . . .	გვ. 28—33
I. ქართველი ტომები მე-6—4 საუკუნე-	
ში ქრ. წინ: 1. ქართველ ტომთა ბინადრობა ამ ხანაში. 2. პოლიტიკური ვითარება. 3. კულტურა.	
—კითხვები გასამეორებლად. . . . .	„ 33—39

### დველი ისტორია:

I. პერიოდის განსაზღვრა, ქართველ ტომ- თა ბინადრობა და მეზობლები ამ პერიოდში:	
1. პერიოდის განსაზღვრა. 2. მაშინდელი საქართ- ველოს გეოგრაფია: ზღვები, მთები და მდინარეები. 3. ჰავა და ბუნების სიმდიდრე. 4. საქართველოს ნაწილები და მცხოვრებლები. 5. მეზობელი ქვეყ- ნები და სახელმწიფოები.—კითხვები გასამეორებ- ლად. . . . .	„ 40—47
II. საქართველოს ცხოვრება და თავგადა- სავალი მე-4—1 საუკუნეში ქრ. წინ: 1. მცხე- თის სამეფოს დაარსება. 2. აზო, ფარნავაზ და მათი უახლოესი მემკედრები: საურმაგ I, მირვან I. ფარნაჯომ და არსოვ I-ელი. 3. მეფეები: არტავი, ოროდი და ოლთაკი, და პომპეი საქართველოში. 4. მეფეები: ფარნავაზ II. მირვან II, არსოვ II. —კითხვები გასამეორებლად . . . . .	„ 47—56
III. საქართველოს ცხოვრება და თავ- გადასავალი 1—3 საუკუნეში ქრ. შემდეგ: 1. მეფეები: ადერკ, მიკრდატ I და ფარსმან I-ელი. 2. მეფეები: მიკრდატ II, ამზას I და ფარსმან II. 3. საქართველო და სპარსეთი 140 წლიდან მესამე საუკუნის დასასრულამდე.—კითხვები გასამეორებ- ლად. . . . .	„ 56—65
IV. სოციალ-პოლიტიკური წყობილება:	

1. სამეფო, ტომი, თემი და გვარი. 2. გვართა  
სხეა-და-სხეაობა: а) სამეფო სახლი, ბ) სასულიერო  
ანუ სამღვდელო გვარები, გ) მეფის მონები ანუ

„მდაბიო ხალხი“, და დ) თავისუფალი ერი. 3. სახელმწიფო ხარჯი და ლაშქრობის წესი. 4. მეზობელ სახელმწიფოებთან განწყობილება: ზავი, კავშირი და ვასსალობა.—კითხვები გასამეორებლად. გვ. 65—73

V. კულტურული ვითარება: 1. მეურნეობა, დაბები და ქალაქები. 2. გზები და მიმოსვლა. 3. კერძო ცხოვრება, ზნეობა და სწავლა-განათლება. 4. სარწმუნოება.—კითხვები გასამეორებლად. „ 73—82

### დ ა გ ა ტ ე ბ ა:

- |                                   |           |
|-----------------------------------|-----------|
| I. უმთავრესი თარიღები და ფაქტები. | . გვ. 83. |
| II. არმაზ-მცხეთის მეფეები . .     | „ 84.     |

### ქ ა რ ტ ა:

- ა) უუძველესი ბინადრობა ქართველის ტომებისა.  
ბ) ძველი საქართველო და მეზობელი ქვეყნები 330  
წლიდან ქრ. წინ 330 წლამდე ქრ. შემდეგ.
-

## შეცდომების გასწორება:

გვ.	სტრიქონი:		უნდა იყოს:
15	ზემოდან		შეუკრებიათ
20	ქვემოდან	10-11	მეორე
23	ზემოდან	16	მიტანების
"	ქვემოდან	9	თითქმის
25	ზემოდან	1	ეგვაპტეს
"	"	2	რამსესს
"	"	11	მუსკებს
27	ქვემოდან	5	გამობრუნებულა
28	ზემოდან	9	კასკები
30	"	14	არამეს
31	"	1	ტიგლატ
32	"	8	გადურჩა
"	"	10	ჰყავდა
34	"	20	ტიბარენნი
40	ქვემოდან	13	აუზები
43	"	3	გაგრძელება
45	ზემოდან	17	მოწმობით
49	ქვემოდან	11	სამართველო
50	ზემოდან	14-15	მირვან 1-ელმა
52	ქვემოდან	9	დააყენა
54	ზემოდან	19	მოეკვლევინა
55	"	15-16	ომაჟელებმა
"	"	21	იბერიასთან,
57	ქვემოდან	5-6	ხმარობდა,
58	ზემოდან	16	მიჰყნენ
60	"	17	ბიჭვინთა
"	"	23	გადავიდა.—
"	ქვემოდან	7	70
61	ზემოდან	7	ცენზორმა;
"	ქვემოდან	6	იგი
67	ზემოდან	7	სახლი
"	ქვემოდან	8	მართლმსაჯულობისათ ვის
72	ზემოდან	16	რომის
74	ქვემოდან	6	სწარმოებდა.
77	"	13	ჯაჭვის
78	"	13	შინაარსიც

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის  
საკუთარი გამოცემანი.

1) ბ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება	20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც.	20 "
3) ბრ. ვ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველ- დაწყებითი შეოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით.	15 "
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . . . .	10 "
" იგივე, ქარტონები გაკრული . . . .	25 "
" იგივე, ორ და სამ-ომისლექტანი . . . .	50 "
5) ს. ყიფიანი. ჟაქარას ნაამბობი . . . .	3 "
6) არქიმ. იესტორ. უცხოუკურის ვაკილა ხ. ია	20 "
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, 5. I ისტორიული ქარტით, მეორე გამოცემა . . . .	35 "

აქვე იმყოფება საჭყობი შემდევი წიგნებისა:

1) გუთანი, ოჯახსა და მკოლებში საკითხავი წეგნი, შედგ. ი. თეველისა, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით.	85 "
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველ-დაწყებითი შეოლებისათვის, ყდით . . . .	20 "
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს ილწრი, სასართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყლუა . . . .	60 "
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანევშვილი) პირველ- დაწყებითი დარიგებულისადგით საღვთო საკულტო უფლებაზე 30 "	
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ქმობა საქართველოში . . . .	55 "
6) კ. აბაშიძე. ეტოლები ე. XIX. ს. ქართ. ლი- ტერატურის შესახებ. ტ. I. . . . .	70 "
7) მისივე. იგივე, ტ. II. . . . .	70 "
8) ი. შექმაბირი. თტელი, პალეტი და მეცნ. ციმ- ბელინი, ყრმათაოვის ნათარგმნი. ს. ყიფიანისა	20 "
9) ბრ. ა. ვერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . .	15 "
10) ა. ტრანძაძე. პირველ-დაწყებითი ცოდნა გეოგრა- ფიისა ფ. 50 კ., ყდით . . . .	50 "
11) ს. ნიკოლაძე. ჩემი პოლიტიკაზე	

89

რესული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ  
ეგზაგნებათ.